



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 24-2422343195
 თარიღი: 09/12/2022

ადრესატი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
 მისამართი: გამსახურდიას 45

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარეს
 ბატონ გიგა ფარულავას**

ბატონო გიგა,

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგინებ განსახილველად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ ვარიანტს თანდართული მასალებით:

1. ინფორმაციას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების, წინადადებების და რეკომენდაციების რეაგირების თაობაზე-17 გვერდზე;
2. განმარტებითი ბარათი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე-14 გვერდზე;
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი - 79 გვერდზე;
4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი 2023-2026 წლებში - 178 გვერდზე;
5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული დანართი - 133 გვერდი;
6. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მისაღები საკუთარი შემოსავლების და გასაწევი გადასახდელების ნუსხა-1 გვერდზე;
7. ინფორმაცია კაპიტალური ბიუჯეტის შესახებ-2 გვერდზე.

სულ : 424 გვერდი ელექტრონული ფორმატით.

პატივისცემით,

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი



განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის ტანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,3 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155¹ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6¹-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში **46113.3** ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება **8035.2** ათასი ლარით (17.4 %).

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **37833,3** ათასი ლარით;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 19,6%-ით (7434.3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს **8300.0** ათას ლარს;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 7,8%-ით (600.0 ათასი ლარით) იზრდება.

მათ შორის ქონების გადასახადი გარდა მიწისა 6860.0 ათასი ლარი.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 340.0 ათასი ლარის და არასასოფლო სამეურნეო მიწაზე გადასახადი 1100.0 ათასი ლარის ოდენობით.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება **430.0** ათასი ლარამდე, მათ შორის:

- ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები **430.0** ათასი ლარი;

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1860.0** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ პროცენტები 260.0 ათასი ლარი.

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 25.7%-ით (90.0 ათასი ლარით) მცირდება.

✓ რენტა 1600.0 ათასი ლარი;

შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 3858.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ სანებართვო მოსაკრებლები 387,9 ათასი ლარი;

✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 1.0 ათასი ლარი;

✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 2500.0 ათასი ლარი;

✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 550.0 ათასი ლარი;

✓ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 420.0 ათასი ლარი;

➤ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1,720.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

✓ საგზაო მოძრაობის დარღვევის გამო 1,100.0 ათასი ლარი;

✓ შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 370.0 ათასი ლარი;

✓ შემოსავლები სხვა დანარჩენი ჯარიმებიდან 250.0 ათასი ლარი;

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 180.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

✓ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 180.0 ათასი ლარი;

• **არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 3,700.0 ათას ლარს;**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 57,882.2 ათას ლარს (2022 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 10,882.2 ათასი ლარით).

პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის მოცულობის ზრდა **10882.2** ატასილარით აისახა შემდეგ მიმართულებებსა და ღონისძიებებზე.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის დარგი მთლიანობაში წარმოდგენილია სულ 12,882.5 ათასი ლარის მოცულობით და ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია სხვა პრიორიტეტებს შორის. რაც საწყის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით პროექტით იზრდება 2957,5 ათასი ლარით. მნიშვნელოვანი ზრდა პროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამაში. პროექტით გათვალისწინებულია 2350.0 ათასი (ორ მილიონ სამასორმოცდაათი ათასი)

ლარი და მიმდინარე წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 998.0 ათასი ლარით. საპროექტო განაცხადი სატრანსპორტო უწყებას წარმოდგენილი აქვს გაცილებით მეტი ოდენობით, თუმცა მუნიციპალიტეტი საკუთარი შემოსავლების ზრდის, ასევე ხარჯების მიზნობრივად და ეფექტურად გამოყენების მდგომარეობის გასატარებელ ღონისძიებათა გათვალისწინებით ბიუჯეტიდან გამოსაყოფი თანხების მოცულობას საკმარისად მიიჩნევს.

საგზაო ინფრასტრუქტურაზე თანხები პროექტით იზრდება **200.0** ათასი (ორასი ათასი) ლარით და წარმოდგენილია **850.0** ათასი (რვას რმოდგაათი ათასი) ლარით. მართალია აღნიშნული თანხა შედარებით მცირეა საგზაო ინფრასტრუქტურისათვის, მაგრამ რეგიონალური ფონდებიდან გამოყოფილი თანხების მოლოდინი 7 მილიონ ლარამდეა, რაც სხვადასხვა ინფრასტრუქტურასთან ერთად ძირითადად საგზაო ინფრასტრუქტურას მოხმარდება.

150.0 (ასორმოდგაათი ათასი) ათასი ლარით იზრდება გარე განათების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯები და პროექტით წარმოდგენილია **1450.0** ათასი ლარი.

450.0 ათას ლარს ითვალისწინებს პროექტი წყლის სისტემების განვითარებაზე.

200.0 (ორასი ათასი) ათასი ლარი გათვალისწინებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისთვის.

კეთილმოწყობის პროგრამა შესაბამისი ა(ა)იპის ბაზაზე იზრდება **608.2** (ექვსასრვა ათას ორასი) ათასი ლარით, აქედან **306.0** ათასი ლარი არის ხელფასების 10 პროცენტისა ზრდა, **100.0** ათასი ლარით გათვალისწინებულია მწვანე ბიუჯეტი.

92,5 ათასი ლარით იზრდება **მუნიციპალური აქტივების კეთილმოწყობისა და შექმნის პროგრამა** და პროექტით გათვალისწინებულია **392,5** ათასი ლარის ოდენობით. რაც ძირითადად ითვალისწინებს სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სხვადასხვა შენობების თუ საოფისე ფართების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას.

რეგიონალური ფონდებიდან გამოსაყოფი თანხებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების ოდენობა გათვალისწინებულია **670.0** ათასი ლარის, საპროექტო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები **400.0** ათასი ლარის ოდენობით. **200.0** ათასი ლარი გამოიყოფა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსებისათვის.

და ბოლოს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიკრო ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გათვალისწინებული სამოქალაქო ბიუჯეტი **1000.0** ათასი ლარის ოდენობით (ერთი მილიონი).

დასუფთავების და გარემოს დაცვის დარგით პროგრამები 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია **7655.0** ათასი ლარის მოცულობით და მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება **611.0** ათასი ლარით.

2023 წლის პროექტით წარმოდგენილია ახალი **სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამა**, მთლიანობაში **120.0** ათასი ლარის ოდენობით

აღნიშნული პროგრამის ქვეპროგრამაა **აგრარული რუკა**, რომელიც ითვალისწინებს ყველა ტიპის ნიადაგზე (მწირი, მლაშე, დაჭაობებული, მჟავე, ძლიერ დატენიანებული) ინფორმაციების მოპოვებას, რაც აუცილებელია, რათა სწორად განისაზღვროს ნიადაგის ნაყოფიერების შესაბამისად. სასოფლო - სამეურნეო კულტურების შერჩევა და ნაყოფიერება. ქვეპროგრამების განხორციელებას მოხმარდება **60.0** ათასი ლარი.

პროგრამით გათვალისწინებულია **დაფნის ბაღის მოწყობის ხელშეწყობა** რომლის მიზანი არის სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ოჯახების დახმარება თვითდასაქმებისა და შინამეურნეობით შემოსავლების უზრუნველსაყოფად. კონკრეტულად, სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი 0,1 ჰა მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს დაფნის ნერგის შექმნას თითოეულს 1.0 ათას ქვეპროგრამის ღირებულებაა **60.0** ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში მოხდება საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება და გამრავლება აგრარულ სფეროში დასაქმებული პირების სახელმწიფო პროგრამებსა და პროექტებზე, ასევე ფართოდ გავრცელებულ მავნებლებსა და დაავადებებზე ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით.

შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობა საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით განსაზღვრულია **725.0** ათასი (შვიდას ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.

ასევე საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით **ბოტანიკური ბაღის** ხელშეწყობის პროგრამა განსაზღვრა **980.0** ათასი ლარის ოდენობით და მიმდინარე წელს საწყის ბიუჯეტთან შედარებით იზრდება **130.0** ათასი ლარით.

განათლების დარგი

2023 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია **9652.2** ათასი ლარის ოდენობით. რასაც ინფრასტრუქტურის შემდეგ პროცენტულად ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს ბიუჯეტის პროექტის მთლიან მოცულობაში.

განათლების სფეროში ძირითადი **85.7** პროცენტი არის **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა**, რომელიც პროექტით 8277.2 ათას ლარს და მიმდინარე წლის საწყის პერიოდთან შედარებით იზრდება **1777,2** ათასი ლარით. პროგრამის ფინანსური მაჩვენებლის ზრდა ასახულია კვების ხარჯებში, სახელფასო ფონდში, საქონელსა და მომსახურების სხვადასხვა მუხლებში.

პროექტით **970.0** ათასი ლარით არის წარმოდგენილი **სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** სასახლის ბაზაზე და იგი მიმდინარე წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით **200.0** ათასი ლარით იზრდება. პროექტით **270.0** ათასი ლარი გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდობის ხელშეწყობის, **30.0** ათასი ლარი შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობის, **105.0** ათასი ლარი საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამებზე, ამასთან საჯარო სკოლების ხელშეწყობა ძირითადად დელეგირებული თანხებით ხორციელდება რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ხელშეკრულებით გამოიყოფა და გათვალისწინებულ იქნება წლის განმავლობაში სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სფეროში

აღნიშნულ პრიორიტეტზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია **6054,2** ათასი ლარის გამოყოფა, რაც **1103,2** ათასი ლარით აღემატება მიმდინარე წლის დასაწყისში შესაბამისი პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილ თანხას.

სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება იზრდება **151.0** ათასი ლარით, რაც ძირითადად სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირების ზრდით აიხსნება.

სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით **100.0** ათასი ლარით იზრდება **ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა**.

საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა კვლავ წარმოდგენილია **100.0** ათასი (ასი ათასი) ლარის მოცულობით, ამასთან პროგრამის განხორციელება მოხდება ახალი სოციალური პრინციპით. რაც გულისხმობს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში უსასყიდლოდ, განსაზღვრული კონტიგენტით, ვარჯიშებს და მონაწილეობა სსორტული ფიზიკური აქტივობის.

კულტურის სფეროს განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის პროექტით გათვალისწინებულია **3887.2** ათასი ლარის გამოყოფა, რაც მიმდინარე წლის საწყისი ბიუჯეტით შესაბამის პროგრამასთან შედარებით იზრდება **802.0** ათასი ლარით. მათ შორის **510.0** ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებებისათვის, რაც ბიუჯეტის მიმდინარე წლის საწყის მაჩვენებელზე ორჯერ მეტია. ეს ძირითადად განპირობებულია 2023 წელს „**ზუგდიდქალაქობის**“ დღესასწაულის ჩატარების გათვალისწინებით, რომელიც ბოლო წლებში ვერ მოხერხდა.

30.0 ათასი ლარის გამოყოფა არის გათვალისწინებული ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფინანსური ხელშეწყობისათვის.

200.0 ათასი ლარით იზრდება **ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა**, **217.0** ათასი ლარით **სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა**. რაც ძირითადად პედაგოგებისა და ხელოვნების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ზრდით არის განპირობებული.

საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია **850.0** ათასი ლარის გამოყოფა რაც მიმდინარე წელთან შედარებით **150.0** ათასი ლარის ოდენობით ზრდას ითვალისწინებს

პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე კულტურის სფეროში გამოიყოს: **80.0** ათასი ლარი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამისთვის, **65.0** ათასი ლარი ტელე-რადიო მაუწყებლობისა და გამომცემლობისთვის.

135.0 ათასი ლარი გამოიყოფა რელიგიის ხელშეწყობისათვის. პროგრამა ემსახურება რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას და მათთვის თანადაფინანსების გაწევას. საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, მშენებლობას.

ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამების დაფინანსება ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხორცილდება, ეს სფერო თვითმმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

2023 წლის პროექტით ამ სფეროში გათვალისწინებულია **4835.0** ათასი ლარის გამოყოფა, რაც მიმდინარე წლის საწყის მაჩვენებელთან **505.0** ათასი ლარით იზრდება.

უპირველესი საზრუნავის - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად, **240.0** ათასი ლარით, არის გაზრდილი **სამედიცინო პროგრამის** დაფინანსება და იგი წარმოდგენილია **1640.0** ათასი ლარით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა პროექტით გათვალისწინებულია **450.0** ათასი ლარის ოდენობით, რაც ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას ეპიდზედამხედველობის სისტემით, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების ხელშეწყობას საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფით, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შეზღუდვას, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევას დაავადების დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მკურნალობისას, სანიტარული ღონისძიებების დაცვის ზედამხედველობას სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი ღონისძიებები როგორცაა იმუნიზაცია, ეპიდზედამხედველობა, C ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა და ა. შ.

სოციალური დაცვის პროგრამები 2023 წლისათვის მთლიანობაში პროექტით წარმოდგენილია **2655.0** ათასი ლარის ოდენობით პროგრამა აერთიანებს **19** სხვადასხვა ქვეპროგრამას.

მათ შორის ყველაზე დიდი მოცულობის თანხის გამოყოფა **910.0** ათასი ლარის ოდენობით გათვალისწინებულია უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე

პირთა საცხოვრებელი ფართით (საცხოვრებელი სახლები და თბილი ოთახები) უზრუნველყოფის პროგრამისათვის, რითაც 2023 წელს უფრო სრულყოფილი პროექტებით შეირჩევა სახლების მშენებლობა და ერთი თბილი ოთახის მოწყობა.

90.0 ათასი ლარით იზრდება სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა პროგრამა და წარმოდგენილია **270.0 ათასი** ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი **200.0** ათასი ლარის ოდენობით თანხის გამოყოფა არის გათვალისწინებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და კრიზისული პროგრამისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა პროექტით წარმოდგენილია **244.0** ათასი ლარის ოდენობით და მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება **24.0** ათასი ლარით. მარტოხელა მშობლის სოციალური პროგრამის დაფინანსება პროექტით გათვალისწინებულია **116.0** ათასი ლარის ოდენობით და ზრდა შეადგენს **46.0** ათას ლარს. **60.0** ათასი ლარით ზრდას ითვალისწინებს ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის პროგრამა და წარმოდგენილია **140.0** ათასი ლარის ოდენობით.

ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა წარმოდგენილია ოთხი ქვეპროგრამის სახით და მთლიანობაში ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია **70.0** ათასი ლარის გამოყოფა.

2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მიმართულებით რიგი საკითხები:

1. ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (100-800 ლარი);
2. ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა (200 ლარი);
3. ძალადობის მსხვერპლთა რეფერირება კრიზისულ ცენტრსა და თავშესაფარში;
4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“;
5. გენდერული თანასწორობის საკითხებისათვის (5000 ლარი);
6. მარტოხელა მშობლის დახმარება (50 ლარი ყოველთვიურად);
7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (200 ლარი);
8. ტყუპების შეძენა (500 ლარი);
9. სოციალურად დაუცველი პირველი და მეორე შვილის შეძენაზე (200 ლარი);
10. სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება (თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა: 5000 ლარი).

2023 წლის პროექტით **4152.0** ათასი (ოთხ მილიონ ასორმოცდათორმეტი ათასი) ლარის ოდენობით გათვალისწინებულია ვალდებულებათა კლების თანხა, რომელიც შეადგენს წინა წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და ძირითადი აქტივების შესაძენად (გზები, ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია, ნაგვის კონტეინერები, ავტობუსები) მთავრობისგან და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გრძელვადიანად აღებული სასესხო ვალდებულებების ხელშეკრულებათა გრაფიკის მიხედვით 2023 წლისათვის გასასტუმრებლად საჭირო თანხას.

მომავალი წლიდან მრავალწლიანი დაგეგმვით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდუო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება, მთლიანობაში თანხობრივად **2714.0** ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლისთვის გრაფიკის მიხედვით ამ დანიშნულებით პროექტი ითვალისწინებს **900.0** ათასი ლარის გამოყოფას.

პროექტით საერთო დანიშნულების ხარჯები გათვალისწინებულია 390.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის სარეზერვო ფონდი 200.0 ათასი ლარით.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შესანახი ხარჯების მოცულობა პროექტით შეადგენს 11008.6 ათას ლარს, რაც მთლიანი ბიუჯეტის მოცულობის 19 პროცენტს შეადგენს. პროექტით საკრებულოს ხარჯები წარმოდგენილია 2110,6 ათასი ლარით, ხოლო მერიის და ადმინისტრაციული ერთეულების შესანახი ასიგნება 8898,0 ათასი ლარის ოდენობით. მერიის შესანახ ხარჯებში შრომის ანაზღაურების ფონდი არის 7102.9 ათასი ლარი .

საერთო დანიშნულების ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 390.0 ათასი ლარი, მათ შორის: სარეზერვო ფონდი 200.0 ათასი ლარი, საჯარო მოხელეთა გადამზადება 90.0 ათასი ლარი და სხვა დანარჩენი საერთო დანიშნულების ხარჯი 100.0 ათასი ლარი.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

აღნიშნული ითვალისწინებს 352.7 ათასი ლარის გამოყოფას შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით მუნიციპალიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილებების შესასრულებლად. ხორციელდება საჯარო სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა მიწერა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე მივლინების ღონისძიებებს.

ბიუჯეტით წარმოდგენილი პროექტის საერთო მოცულობა 57882.2 ათასი ლარი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით შემდეგია:

1. 8807.0 ათასი ლარი შრომის ანაზღაურების ფონდი;
2. 4771.5 ათასი ლარი საქონელი და მომსახურება;
3. 1711.3 ათასი ლარი პროცენტები;
4. 28471.4 ათასი ლარი სუბსიდიები;
5. 60.0 ათასი გრანტები;
6. 3285.0 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფა;
7. 2320.3 ათასი ლარი სხვა ხარჯები;
8. 6015.0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდა;
9. 2440.7 ათასი ლარი ვალდებულებათა კლება.

როგორც ჩანს მუხლობრივი კლასიფიკაციით ყველაზე დიდი ხვედრით წილი მოდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპიების სუბსიდიის მუხლით. ამასთან, აღნიშნული იურიდიული პირების მიერ მუნიციპალიტეტის ჩართულობით, საკრებულოს მიერ ანგარიშების მოსმენის შედეგად წინადადებათა შესასრულებლად უნდა გატარდეს ღონისძიებანი, სუბსიდიების თანხების, შესაძლო გამოთავისუფლებით არაფინანსური აქტივების ზრდის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

	დასახელება	თანხა ათ.ლარში
კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	57,882.2
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	16,803.3

01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	11,008.6
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	2,110.6
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	8,898.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	390.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	200.0
01 02 03	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები	90.0
01 02 04	სხვა დანარჩენი საერთო დანიშნულების ხარჯი	100.0
01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	352.7
01 04	მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა	4,152.0
01 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება	900.0
01 06	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	12,882.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	870.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	500.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია	150.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	220.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	450.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	250.0
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	200.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,450.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2,350.0
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	2,350.0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	210.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	200.0
02 07	კეთილმოწყობა	5,000.5
02 07 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა(მათ შორის მწვანე ბიუჯეტი 100.0 ათ.ლარი)	4,608.0

02 07 02	ადმინისტრაციული,საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა	0.0
02 07 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შექმნა	392.5
02 08	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	30.0
02 09	რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	670.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	100.0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	100.0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	402.0
02 13	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	25.0
02 15	საინვესტიციო პროექტების,დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	25.0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1,000.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	7,655.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	5,700.0
03 02	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა	725.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	980.0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	120.0
03 05	პარკების,სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	100.0
03 07	ნაპირსამაგრი ჯებირებისა და სარწყავი არხებისა მშენებლობა-რეაბილიტაცია	0.0
03 08	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისაგან	30.0
04 00	განათლება	9,652.2
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	8,277.2
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	0.0

04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	970.0
04 04	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	105.0
04 05	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	270.0
04 06	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	30.0
04 07	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	6,054.2
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	1,517.0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,200.0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	217.0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100.0
05 01 04	საჭადრაკო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,887.2
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1,400.0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	80.0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	850.0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	510.0
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65.0
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	135.0
05 02 07	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	847.2
05 03	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	100.0
05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	520.0

05 05	სსიპ შ.დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	30.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,835.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2,110.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	450.0
06 01 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	20.0
06 01 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1,640.0
06 02	სოციალური დაცვა	2,655.0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	360.0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	45.0
06 02 03	გენდერული თანასწოების, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	95.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	244.0
06 02 05	მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	116.0
06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	40.0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	100.0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	140.0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	270.0
06 02 10	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	40.0

06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა	200.0
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	50.0
06 02 13	პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში"	45.0
06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	910.0
06 03	ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამა	70.0
06 03 01	უკიდურეს სიღარიბეში მყოფი სოციალურად დაუცველი ბავშვების მატერიალური დახმარების პროგრამა	20.0
06 03 02	კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მხარდაჭერის პროგრამა	2.0
06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა	3.0
06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების პროგრამა	45.0

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 13109.9 ათასი ლარი;
- თავდაცვა - 352.7 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 10,972.5 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 7,655.0 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1910.0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 2110.0 ათასი ლარი;
- განათლება - 9652.2 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა - 2725.0 ათასი ლარი;

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);
2. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
3. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2022 წლის
ქ. ზუგდიდი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 91-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №22 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გიგა ფარულავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

თავი I

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	57,945.0	10,470.9	47,474.1	54,182.2	0.0	54,182.2
გადასახადები	41,155.0	0.0	41,155.0	46,133.3	0.0	46,133.3
გრანტები	10,868.9	10,470.9	398.0	430.0	0.0	430.0
სხვა შემოსავლები	5,921.1	0.0	5,921.1	7,618.9	0.0	7,618.9
II. ხარჯები	48,551.1	3,513.6	45,037.5	49,426.5	0.0	49,426.5
შრომის ანაზღაურება	7,335.2	0.0	7,335.2	8,807.0	0.0	8,807.0
საქონელი და მომსახურება	5,435.1	1,151.3	4,283.8	4,771.5	0.0	4,771.5
პროცენტი	1,866.0	0.0	1,866.0	1,711.3	0.0	1,711.3
სუბსიდიები	25,778.6	0.0	25,778.6	28,471.4	0.0	28,471.4
გრანტები	47.5	0.0	47.5	60.0	0.0	60.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,035.3	0.0	3,035.3	3,285.0	0.0	3,285.0
სხვა ხარჯები	5,053.4	2,362.3	2,691.1	2,320.3	0.0	2,320.3
III. საოპერაციო სალდო	9,393.9	6,957.3	2,436.6	4,755.7	0.0	4,755.7
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,849.5	8,307.2	3,542.3	2,315.0	0.0	2,315.0
ზრდა	14,905.6	8,307.2	6,598.4	6,015.0	0.0	6,015.0
კლება	3,056.1	0.0	3,056.1	3,700.0	0.0	3,700.0
V. მთლიანი სალდო	-2,455.6	-1,349.9	-1,105.7	2,440.7	0.0	2,440.7
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-3,468.5	-1,349.9	-2,118.6	0,0	0,0	0,0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0,0 0,0	0,0	0,0	0,0
კლება	3,468.5	1,349.9	2,118.6	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	3,468.5	1,349.9	2,118.6	0,0	0,0	0,0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-1,012.9	0.0	-1,012.9	-2,440.7	0.0	-2,440.7
ზრდა	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0

საშინაო	0.0	0.0	0.0	0,0	0,0	0,0
კლება	1,012.9	0.0	1,012.9	2,440.7	0.0	2,440.7
საშინაო	1,012.9	0.0	1,012.9	2,440.7	0.0	2,440.7
სესხები						
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-					
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	61,001.1	10,470.9	50,530.2	57,882.2	0.0	57,882.2
შემოსავლები	57,945.0	10,470.9	47,474.1	54,182.2	0.0	54,182.2
არაფინანსური აქტივების კლება	3,056.1	0.0	3,056.1	3,700.0	0.0	3,700.0
გადასახდელები	64,469.6	11,820.8	52,648.8	57,882.2	0.0	57,882.2
ხარჯები	48,551.1	3,513.6	45,037.5	49,426.5	0.0	49,426.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	14,905.6	8,307.2	6,598.4	6,015.0	0.0	6,015.0
ვალდებულებების კლება	1,012.9	0.0	1,012.9	2,440.7	0.0	2,440.7
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 54182.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	57,945.0	10,470.9	47,474.1	54,182.2	0.0	54,182.2
გადასახადები	41,155.0	0.0	41,155.0	46,133.3	0.0	46,133.3

გრანტები	10,868.9	10,470.9	398.0	430.0	0.0	430.0
სხვა შემოსავლები	5,921.1	0.0	5,921.1	7,618.9	0.0	7,618.9

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 46133.3 ათასი ლარით:

დასახელება	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	41,155.0	0.0	41,155.0	46,133.3	0.0	46,133.3
დამატებითი ღირებულების გადასახადი	33,065.0		33,065.0	37,833.3		37,833.3
ქონების გადასახადი	8,090.0	0.0	8,090.0	8,300.0	0.0	8,300.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6,430.0		6,430.0	6,800.0		6,800.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	180.0		180.0	30.0		30.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	30.0	0.0	30.0	30.0	0.0	30.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	350.0	0.0	350.0	340.0	0.0	340.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,100.0	0.0	1,100.0	1,100.0	0.0	1,100.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 430,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
გრანტები	10868.9	430,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	8.0	0,0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	10860.9	430,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1541.3	430,0
კაპიტალური ტრანსფერი სულ, მათ შორის:	9319.6	0,0
კაპიტალური ტრანსფერი რგფ-იდან	6,789.6	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	948.0	0,0
სკოლების რეაბილიტაცია	82.0	0,0
სპეციალური ტრანსფერი	0.0	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	1500.0	0,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 7618,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	5,921.1	7,618.9
შემოსავლები საკუთრებიდან	1,200.0	1,860.0
პროცენტი	350.0	260.0
რენტა	700.0	1,600.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2,665.1	3858,9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	2,465.1	3438,9
სანებართვო მოსაკრებელი	314.1	387,9
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.0	1,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2000.0	2500,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	600.0	550,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	200.0	420,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1,576.0	1720,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	180.0	180,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 49426.5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	48,551.1	3,513.6	45,037.5	49,426.5	0.0	49,426.5
შრომის ანაზღაურება	7,335.2	0.0	7,335.2	8,807.0	0.0	8,807.0
საქონელი და მომსახურება	5,435.1	1,151.3	4,283.8	4,771.5	0.0	4,771.5
პროცენტები	1,866.0	0.0	1,866.0	1,711.3	0.0	1,711.3
სუბსიდიები	25,778.6	0.0	25,778.6	28,471.4	0.0	28,471.4
გრანტები	47.5	0.0	47.5	60.0	0.0	60.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,035.3	0.0	3,035.3	3,285.0	0.0	3,285.0
სხვა ხარჯები	5,053.4	2,362.3	2,691.1	2,320.3	0.0	2,320.3

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2315.0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 6015.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 3700,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	388.1	1049.5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	124.6	149.5
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	63,5	0.0
01 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება	200,0	900,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13574.4	4089.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6207.0	870,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1234,1	450.0
02 03	გარე განათება	112.4	0.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	0,0	0.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1880,5	200,0
02 07	კეთილმოწყობა	892.7	492.5
02 09	რგვ-დან მგვ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	1996,3	670,0

02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	0.0	0.0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	38,9	100,0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	354,6	302,0
02 14	ყინულის მოედნის რეაბილიტაცია (დემონტაჟი და მონტაჟი)	0.0	0.0
02 15	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	3,2	5,0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	854,7	1000,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	104,7	176.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0	0.0
03 02	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა	30,0	65,0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	44,0	11,0
03 05	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	30,7	100,0
03 06	ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის ფურნიტურას შესყიდვა და ანაკლია განმუხურის ბულვარისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია	0.0	0.0
03 07	ნაპირსამაგრი ჯებირებისა და სარწყავი არხებისა მშენებლობა-რეაბილიტაცია	0.0	0.0
03 09	მწვანე ბიუჯეტი	0.0	0.0
04 00	განათლება	592.9	100.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	167.0	50.0
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	150.0	0.0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	40,0	50,0
04 04	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	0.0	0.0
04 07	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით	235,9	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	245,5	600,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	100,0	320,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	145,5	280,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	0.0	0.0
06 04	სსიპ საგანგებო კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის და ამბულატორიების მშენებლობა	0.0	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	14905.6	6015.0

ათას ლარში

დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	3056,1	3700,0
ძირითადი აქტივები	0,0	
არასაცხოვრებელი შენობები	2556,1	3700,0
არაწარმოებული აქტივები :მ/შორის	500,0	
მიწა	500,0	

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში
შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
7.0 1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	11771.6	13109.9
7.0 1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9613.0	11008.6
7.0 1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	9613.0	11008.6
7.0.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	75.0	200,0
7.0.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	75.0	200,0
7.0.1.6	ვალთან დაკავშირებული ხარჯები	1887.1	1711,3
7.0.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	196.5	190.0
7.0 2	თავდაცვა	308.0	352,7
7.0 3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	200.0	900,0
7.0 4	ეკონომიკური საქმიანობა	20885.6	11972.5
7.04 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1880,7	200,0
7.0 4 5	ტრანსპორტი	8168.1	3220.0
7.0 4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6167.4	500,0
7.0 4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	2000.7	2720.0

7.047	ეკონომიკის სხვა დარგები	64,8	55,0
7.0 4 7 3	ტურიზმი	64,8	55,0
7.0 4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	10772.0	7497.5
7.05	გარემოს დაცვა	7341.0	7665,0
7.0 5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	5591.0	5700,0
7.0 5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1750.0	1955,0
7.0 6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3232.4	1910.0
7.0 6 1	ბინათმშენებლობა	241.8	210,0
7.0 6 3	წყალმომარაგება	949.2	250
7.0 6 4	გარე განათება	1233.4	1450,0
7.0 6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	808.0	
7.0 7	ჯანმრთელობის დაცვა	1917.7	2110.0
7.0 7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	397.0	470.0
7.0 7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1520.7	1640,0
7.0 8	დასვენება, კულტურა და რელიგია	5105.5	6054.2
7.0 8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1307.2	1417,0
7.0 8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	2981.9	3687.2
7.0.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	66,4	65,0
7.0 8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	120.0	135,0
7.0 8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და დაცვის სფეროში	630.0	750,0
7.9	განათლება	9971.9	9652.2
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	7120.9	8277.2
7.0 9 6	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	30.0	30,0
7.0 9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2821.0	1345.0
7 10	სოციალური დაცვა	2723.0	2725,0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	220.0	244,0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	50.0	40,0
7 10 3	მარჩენალ დაკარგულთა სოციალური დაცვა	70.0	116,0
7 10 4	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	230.0	95,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2100,0	2160,0
	სულ	63456.7	55441.5

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 2440,7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 4755.7 ათასი ლარით:

დასახელება	ათას ლარში	
	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9393.9	4755.7
მთლიანი სალდო	2455.6	2440,7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

დასახელება	ათას ლარში	
	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-3468,5	0.0
კლება	3468,5	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	3468,5	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 2440.7 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს სასესხო ვალდებულებათა დაფარვის თანხას, რომელიც სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან და საქართველოს მთავრობასთან რედაქტირებული კაპიტალური ინვესტიციების (საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის, ნაგავზიდი მანქანებისა და კონტეინერების შექმნის, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის, მუნიციპალური ავტოპარკის გაფართოების მიზნით) სასესხო ხელშეკრულებებით არის გათვალისწინებული. აღნიშნული სასესხო ვალდებულებების საწყისი ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისთვის გახლავთ 23,114.6 ათასი ლარი, 2023 წელს სასესხო ვალდებულებებით გადასახდელი თანხა შეადგენს 4152.0 ათას ლარს, ხოლო საბოლოო ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის იქნება 18962.6 ათასი ლარი.

დასახელება	ლარში ლარი	
	2022 წელი	2023 წელი
ვალდებულებების ცვლილება	-1012.9	-2440,7
ზრდა		
საშინაო		
საგარეო		
კლება	1012.9	2440,7
საშინაო	1012.9	2440,7

თავი II.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 12882.5 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	12882.5
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	870.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	500.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია	150.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	220.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	450.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	250.0
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	200.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	1450.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2350.0
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	2350.0
02 04 02	საზოგადოებრივი დანიშნულების მუნიციპალური ავტოპარკის განახლებისა და გაფართოების პროგრამა	0.0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	210.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	200.0
02 07	საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა	5000.5
02 07 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა(მათ შორის მწვანე ბიუჯეტი 100.0 ათ.ლარი)	4608.0
02 07 02	ადმინისტრაციული,საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა	0.0
02 07 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შექმნა	392.5
02 07 04	შენობა ნაგებობებისა და სახურავების რეაბილიტაცია	0.0

02 08	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	30.0
02 09	რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	670.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	100.0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	100.0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	402.0
02 13	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	25.0
02 15	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	25.0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1000.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		870,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია გზების და ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანის (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, ადაპტირებულია ქალაქის ქუჩების ნაწილი და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		500,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების და მოსაცდელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (ორმული შეკეთების) სამუშაოები და მოსაცდელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე არასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე №22 ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2023 წელს გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება.</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა, კეთილმოწყობილია მოსაცდელები; უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ხიდების რეაბილიტაცია, ახალი ხიდებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა. დაგეგმილია დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. ჯუმის ნაპირიდან, წყალდიდობის პერიოდში გადასული წყლის ნაკადის გამტარ ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობა;</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული და ახლად მოწყობილია საკომუნიკაციო ობიექტები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		220,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს შუქნიშნებისა და საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟს, გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოებს, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებით შემცირებისათვის სიჩქარის შემზღვევადი ბარიერის შექმნას, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწყობის ღონისძიებების განხორციელებას. პროგრამით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ერთეულების დასახელების მანიშნებელი ბანერის შექმნა/მონტაჟი; საგზაო ნიშნების განთავსება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე).</p> <p>ზუგდიდის ადმ.საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (m2 da m3) კატეგორიების ნებართვის მანიშნებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის, გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების ნებართვის გაცემის ფასის გადახდის და ნებართვის რეგულირების წესის დამტკიცების დადგენილების ნიმუშის შემუშავება და წარდგენა საკრებულოში დასამტკიცებლად</p> <p>6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნებისა და ჰორიზონტალური მონიშვნების განახლება.</p> <p>. საპარკინგე სისტემის მოწესრიგება და მონიტორინგი.</p> <p>ავტობუსების გაჩერებებზე მოსაცდელის მოწყობის და ტაბლოების შესყიდვაზე ტენდერის გამოსაცხადებლად დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა.</p>		
გეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;</p> <p>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა;</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახელების აღმნიშვნელი აბრები;</p> <p>მგზავრთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება;</p> <p>შემცირებული საცობები;</p> <p>გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		450.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. ასევე სანიაღვრე არხების მოწყობასა და რეაბილიტაციას.</p>		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გამართულად ფუნქციონირებს წყალმომარაგების არსებული სისტემა და მოსახლეობა ნაწილი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. გამართულად ფუნქციონირებს სანიაღვრე სისტემები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		250.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს წყლის სტაბილური მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში საანთოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა; ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ცენტრში ჭის მოწყობა; კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულში შ. რუსთაველის ქუჩაზე ჭაბურღილის მოწყობა;</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული, განახლებული და ახლადმოწყობილია წყალგაყვანილობის ქსელი და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო წყლით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე ქსელის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. დაგეგმილია ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობა; ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფარჯიციოს უბანში სანიაღვრე არხის მშენებლობა
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გამტარუნარიანი სანიაღვრე ქსელი და მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		1450,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის გზებზე და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების მოწყობა		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		2350.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ მოსახლეობას შეღავათიანი გადაადგილების სერვისით უზრუნველყოფს. მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ემსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას; მგზავრებისთვის გადაყვანის შეღავათიანი და კომფორტული პირობების შექმნას. დაგეგმილია გადახდის სისტემის მოწესრიგება ავტობუსებში სალარო აპარატების დამონტაჟების გზით; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს მორგებული მარშრუტებისა და გრაფიკის შედგენა; მოძრაობის საწყისი წერტილების მოქალაქეებისთვის მისაღებ ადგილზე განთავსება.		

	ასევე ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ფინანსური ხელშეწყობით მოხდება ძველი ავტობუსების ახლით ჩანაცვლება.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერჯია
მოსალოდნელი შედეგი	გადახდის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა სრულად, ავტობუსების გაჩერების ადგილებზე სპეციალური ნიშნების დამონტაჟება. მძღოლებისა და კონტროლიორების სპეციალური ფორმების შექმნა განახლება წელიწადში ერთხელ.

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		210.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციის და მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი სამუშაოების თანადაფინანსება. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მრავალსართულიანი სახლების ახალი ლიფტების მოწყობა; ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიების დაფიქსირებისათვის (ე.წ. წითელ ხაზებში მოქცევა) გაწეული ხარჯები; პარაპეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია; საცხოვრებელი სახლების დაზიანებული წყალარინების კომუნიკაციების აღდგენა; შიდა წყალგაყვანილობის (საერთო სარგებლობის) რეაბილიტაცია; ეზოების კეთილმოწყობა; სადარბაზოების კეთილმოწყობა; სპორტული ინვენტარის, ატრაქციონებისა და ძელსკამების შექმნა; ფასადების კეთილმოწყობა-შეღესვა, გამაგრება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი შედეგი	საცხოვრებელი კორპუსების საექსპლუატაციო ვადის გაზრდა; მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა; მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		5000.5
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა; საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწესრიგება და განვითარება; მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება შშმ პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა; დაგეგმილია საზოგადოებრივი სივრცეების მოწესრიგება: პარკებისა და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია; განხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა: სანიაღვრე არხების, შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა და სხვა. შშმ პირთათვის ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია საზოგადოებრივი ობიექტების ადაპტირება.</p>		
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>	<p>გენდერული</p>	<p>დიახ</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები</p>		

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები</p>	<p>2023 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>02 07 01</p>		<p>4,608.0</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა. კერძოდ, გარე განათების ქსელის მოწყობა, არსებულის მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; შადრევან-აუზების მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; გამწვანების ზოლების მოწყობა; ხეებისა და მცენარეების დარგვა, ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა; შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა; გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია; სადღესასწაულო დღეებში გაფორმების ღონისძიებების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მიზნობრივი მომართვის საფუძველზე საცხოვრებელი შენობის მცირე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება; მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის“ წესის შესაბამისად სამუშაოების ჩატარება. პროგრამის ფარგლებში, ასევე შეიქმნება არარეგისტრირებული კავშირები (ე.წ. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები), რომლებიც მუნიციპალიტეტს მიმართავენ გამწვანების პროექტებითა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვებით, ხოლო მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებას პროექტის საერთო ღირებულების 95 პროცენტით.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების და მოვლა-პატრონობის ეფექტიანობის ამაღლება;</p> <p>ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების გაუმჯობესებული იერსახე;</p> <p>ბუნების სტიქიისა და შესაძლო რთული მეტეოროლოგიური პირობების შედეგად მოსახლეობისათვის შესაძლო ზიანისა და მატერიალური ზარალის მიყენების შემცირებული რისკები;</p> <p>კეთილმოწყობილი და დასუფთავებული სასაფლაო მეურნეობა;</p> <p>მწვანე ბიუჯეტი ხელს შეუწყობს მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული პროექტების მდგრადობას (მოქალაქეებს შესძენს მათი ინიციატივით განხორციელებული პროექტებისადმი მესაკუთრეობის განცდას), ხოლო მეორე მხრივ, ქალაქის ტიპის დასახლებისთვის დამახასიათებელ ურბანულ გარემოში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.</p>
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 03		392.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებრივი აქტივების კერძოდ კაპიტალური შენობებისა და ნაგებობების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. აღნიშნულ შენობებში შპს პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხარისხობრივი თვალსაზრისით გაუმჯობესებული მუნიციპალური აქტივები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელება: საინფორმაციო-სარეკლამო საშუალებების გამოყენება; ბუკლეტების დამზადება- გავრცელება; ტურისტული მომსახურების (გიდების, ექსკურსიამდლოლების გადაადგილებისათვის სატრანსპორტო მომსახურების და სხვა) უზრუნველყოფა; რეგიონში ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების ტურების შეთავაზება-მომსახურება; დონორებთან მუშაობა ფინანსური მხარდაჭრის (გრანტები) საკითხებზე.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა		

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნობადობის ამაღლება; ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების, ვიზიტორებისა და დამსვენებლების გაზრდილი ოდენობა; დონორების დაინტერესება მხარის ღირსშესანიშნაობებით.
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	რფგ-დან მფგ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		670.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრებით განხორციელდება ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროექტების თანადაფინანსება: რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამაქცარიოს უბანში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; დიდინების ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია; ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია; ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძისა და დადიანის ქუჩების გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში ქიაჩელის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია; კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოსტავას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის, ც. დადიანის და კ. გამსახურდიას ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია და სხვა პროექტები;</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 10		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების დროს მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსურ-მატერიალური საფუძვლების შექმნა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.</p>		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 13 - კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ლიკვიდირებულია სტიქიით გამოწვეული შედეგები და უზრუნველყოფილია დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-ფუნქციონირება

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 11		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზების მომზადება;		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 12		402.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია კაპიტალური სამშენებლო პროექტების შეუფერხებლად და ხარისხიანად განხორციელება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 13		25.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ქონების მართვის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომ გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება, მათ შორის სტრატეგიული ძირითადი აქტივების.		
მოსალოდნელი შედეგი	უძრავი ქონების მართვისა და პრივატიზების ეფექტური პროცესის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონების ზრდა, რომელიც ასახულია ბალანსზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 15		25.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (SECAP) მომზადებაში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს, ევროკავშირის ინიციატივა „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.</p> <p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივ დონეზე დანერგვა, მისი მონიტორინგი და ანგარიშგება.</p> <p>საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.</p> <p>აღნიშნული პროგრამის მიზანია, 2021-2023 წლებისთვის, მუნიციპალიტეტის დონეზე მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) მომზადება და მისი განხორციელება.</p> <p>აღნიშნული პროგრამის მიზანია, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივ დონეზე დანერგვა, კერძოდ, SDG – ის 17 მიზნის ადგილობრივ პროექტებთან/პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათი იმპლემენტაცია, მონიტორინგი და ყოველწლიური ანგარიშგება.</p> <p>აღნიშნული პროგრამის მიზანია, სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კუნძურსებში მონაწილეობის მიღება, ბიუჯეტგარეშე დაფინანსების მოპოვების მიზნით.</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა</p> <p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> დონორების მიერ ორგანიზებულ საკოორდინაციო შეხვედრებში მონაწილეობა; შექმნილი საინვესტიციო პორტფელი, იდენტიფიცირებული საინვესტიციო პოტენციალი. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ბიუჯეტი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 16		1000.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები. პროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შედეგად განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია ყოველწლიური საინფორმაციო კამპანიის მასალების შესასყიდად საჭირო თანხა 5000 ლარის ოდენობით.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ზუგდიდში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო;		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7655,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	7655,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	5700.0
03 02	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა	725.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	980,0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	120,0
03 05	პარკების,სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	100,0
03 08	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან	30,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		5,700.0

პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ზუგდიდდასუფთავება“
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალ ქალაქში და 48 სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულში საჯარო და საზოგადოებრივი სარგებლობის ცენტრალური ადგილების, შიდა გზების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, მოსახლეობის ყოველდღიური კონცენტრაციის ადგილების (ცენტრალური სუპერმარკეტის და სხვა დიდი კომერციული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიები), დაგვა - დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა - შეგროვება და დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებზე, ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან კარდაკარ - შემოვლით ქალაქის 475 ქუჩაზე მცხოვრები 13 ათასი კომლიდან და 48 სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრები 18 ათასი კომლიდან , ასევე კოლექტიური (კონტეინერული) მეთოდით შეგროვებული ნარჩენებისაგან 1560 კონტეინერის დაცლა - დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელში. მყარი ნარჩენების გატანა კომერციული, ინსტიტუციური და იდუსტრიული 1200 - ზე მეტი ობიექტიდან.</p> <p>სხვა მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება</p> <p>პროგრამის მიზანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი მუნიციპალური ნარჩენების სრულყოფილი, ეფექტიანი მართვა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ , „ ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის “ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2018 – 2022 წწ გეგმით“ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.</p> <p>ამასთან , ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დაწყებულია მუშაობა მყარი ნარჩენების მართვის ახალი , 2023 – 2027 წლების გეგმის შესადგენად, რომლის მიხედვითაც დასახელებულ წლებში დაგეგმილია მრავალი სიახლის განხორციელება, მათ შორის ისეთების, როგორცაა :</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ქალაქისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და რეალიზაცია; ➢ პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვება , დამუშავება და რეალიზაცია; ➢ მყარი ნარჩენების კომპოსტირების საპილოტე პროგრამების განხორციელება ➢ მეწარმეთა გაფართოებული ვალდებულებების დანერგვა; ➢ გაწეული მომსახურების ღირებულების (მოსაკრებლის) ოდენობის გაანგარიშების და ადმინისტრირების ახალი სისტემების შემუშავება, რომლის მიზანია ფაქტიურად გაწეული დანახარჯებისა და ტარიფების ერთმანეთთან დაახლოება .
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება
მოსალოდნელი შედეგი	<p>2023-2026 წლებში დაგეგმილი პრიორიტეტების განხორციელების შედეგად:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მკვეთრად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა; ➢ როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვისთვის ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, სანიტარულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქისა და სოფლების ცენტრები და უბნები, ცენტრამდე მისასვლელი გზები, ტროტუ არები , სკვერები, გაზონები, სხვა საჯარო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ცენტრალური ხეივანი, ტ უ რ ის ტ უ ლ ი ობიექტები, სასტუმროების ,კაფეების, ცენტრალური სუპერმარკეტის , საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მიმდებარე ტერიტორიები, ქალაქის შემოსასვლელი და გასასვლელი; ➢ 2023- 2026 წლებში დაინერგება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, რეციკლირების და ბიონარჩენების კომპოსტირების პროცესები; ➢ მკვეთრად გაუმჯობესდება სამსახურის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. ➢ 2023 – 2026 წწ სრულყოფილი იქნება მოსახლეობიდან მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირება,კერძოდ: მუნიციპალიტეტში მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება , მოსაკრებლის რეალური ტარიფის დადგენა და მისი ეტაპობრივი დანერგვის დაწყება 2024 – 2026 წლებში.

➤ 2023 – 2026 წლებში როგორც კერძო ისე საჯარო სექტორიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავებით უზრუნველყოფილი იქნება ბიუჯეტიდან დაფინანსების სუფსიდირების წილის შემცირება.

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობა</p>	<p>2023 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>03 02</p>		<p>725.0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზანია ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიისა და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, განახლება; კერძოდ: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, ანაკლია-განმუხურის ბულვარის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის, კაფე-რესტორნის, ამფითეატრის, მინი-ფეხბურთის მოედნის, კალათბურთის მოედნის, ტენისის კორტის, ქვიშის ფრენბურთისა და ქვიშის ფეხბურთის მოედნების მოვლა-პატრონობა; ინვესტიციებისა და ვიზიტორებისთვის შესაბამისი თანამედროვე გარემო პირობების შექმნა.</p> <p>სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარს ყოველწლიურად უტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ, რომლის დასკვნის საფუძველზე ხდება კვარციტული ქვიშითა და სხვადასხვა მინერალური სასუქებით ნიადაგის გაჯერება სპეციალური ტექნიკის საშუალებით, რის შემდგომაც ხდება მინდვრის საფარის დატკეპვნა 17 ტონიანი სატკეპნი ტრაქტორის საშუალებით. ასევე, სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებულ ქვიშის ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე ტარდება, გაფხვიერების მიზნით, მოფარცხვითი სამუშაოები.</p> <p>პროგრამის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლში არსებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა, კერძოდ: 564 ძირი პალმა „ვაშინგტონია“, 79 ძირი პალმა „ფინიკი“, 27 ძირი ევკალიპტი „ლანცეტისებრი“, 173 ძირი ევკალიპტი „ვერცხლისფერი“, 521 ძირი კიპარისის „არიზონიკა“, 220 ძირი ტუია „სმარაგდი“, 179 ძირი ფიჭვი, 114 ძირი გართხმული ღვია, 25 ძირი აბელია, 60 ძირი კოჩხაური, 6 ძირი ოლეანდრია, 2 ძირი კიპარისის „ვერცხლისფერი“, 2 ძირი ჭანჭყატი ფორმირებული დიდი, 10 ძირი ჭანჭყატი პატარა, 4 ძირი ღვია ნაძვი, 11 ძირი ტუია „ოქროსფერი პირამიდისებრი“, 4 ძირი ჯუჯა ვარდი, 4 ძირი ცხრა რწყავა, 4 ძირი ბუა „მოყვავილე ჭრელფოთოლა“, 1 ძირი ტახუს ბაკატა, 4 ძირი ემონიმუსი „ვერცხლისფერი“, 2 ძირი კიპარისის „ოქროსფერი“, 2 ძირი ოსმანტუსი და 2 ძირი წყავმაზა. ამ კუთხით წლის განმავლობაში ორჯერ ტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ ვეგეტაციის დაწყებისა (ადრე გაზაფხულზე) და ვეგეტაციის დასრულების პერიოდისთვის (გვიან შემოდგომაზე). მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ხდება ხე-მცენარეების გამოკვება სხვადასხვა სასუქ-მინერალებით.</p> <p>ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორია, მოიცავს 160000 მ2 ფართობს, რომელიც პერიოდულად ითიბება ზაფხულის სეზონის (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) განმავლობაში.</p> <p>ამასთან, კომპანიას დაწყებული აქვს მუშაობა 2023 – 2026 წლების გეგმის შესადგენად, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ახალი პროექტების განხორციელება, როგორცაა :</p> <p>1. განმუხურის კაფე-რესტორნის ინტერიერისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის</p>		

	<p>პროექტირება;</p> <ol style="list-style-type: none"> განმუხურის ბულვარის პარკში ფეხით მოსიარულეთა გასასვლელი ბილიკების მოწესრიგება; სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე პლაჟზე შ.შ.მ. პირებისთვის პანდუსის მოწყობა; ამფითეატრთან მისასვლელი ტერიტორიისა და მინა-პაკეტების დაზიანებული ნაწილის შეცვლა და მოწესრიგება; სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის ღობის განახლება არსებული (მილ-კვადრატებით) და ტერიტორიის დახაზვა ავტოსადგომისთვის; შლაგბაუმის მოწყობა ანაკლიის ბულვარის შესასვლელში; ანაკლიის ბულვარში ქვიშის ფეხბურთის სტიქიის შედეგად დაზიანებული კედლის აღდგენა; განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზირებული საბავშვო მოედნის ახლით შეცვლა; ამფითეატრში დიჯეის მოსასვენებელი ოთახების მოწყობა; ამფითეატრში კაფე-ბარის მოწყობის პროექტირება; სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სტადიონის დამცავი ღობის რეაბილიტაცია; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ვიდეო-სათვალთვალო კამერების მონტაჟი; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყოფილი 37 ლოკაციის მოწყობა.
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა</p> <p>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>2023-2026 წლებში დაგეგმილი პრიორიტეტების განხორციელების შედეგად:</p> <ol style="list-style-type: none"> მკვეთრად გაუმჯობესდება და განახლდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა; როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, განახლებული და მიმზიდველი გახდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი; კომპანიაში გაჩნდება დამატებითი საკუთარი შემოსულობები.

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p> <p>03 03</p>	<p>ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა</p>	<p>2023 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>980,0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ოთხმთვიან გვარის მრავალი სახეობის ხე, ბუჩქი და მცენარე იზრდება, მათ შორის მაგნოლიის ექვსი სახეობა, სხვადასხვა სახეობის მუხა, ატლასისა და ჰიმალაის კედარი, კანარის ვერხვი, აზიის, მათ შორის ინდოეთის, იაპონიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ამერიკის და სხვა ადგილებიდან შემოტანილი რელიქტური და ენდემური მცენარეები.</p> <p>როგორც მდებარეობით, ასევე კლიმატური პირობებით ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთ საუკეთესო ბაზას წარმოადგენს ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეების ინტროდუქციის, კვლევისა და აკლიმატიზაციისათვის.</p> <p>პროგრამის მიზანია ზუგდიდის რეაბილიტირებული ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობა; მისი განვითარების ხელშეწყობა; ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ისტორიული მნიშვნელობის ხეივნების აღდგენა/შეესება; ისტორიულ წყაროებში მითითებული კამელიების, ჰორტენზიების და ბზის ხეივნების აღდგენა განვითარება, ოჯალემისა და ოქროწიმიის ხეივნების მოწყობა; დენდრარიუმის მოწყობა 5 ჰექტარზე.</p>		

	<p>არსებული ფლორის ახალი კოლექციებით გამდიდრება; მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა; ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ტურისტებისათვის დასასვენებლად კომფორტული გარემოს შექმნა; სათბურში არსებული და ახალი სახეობების მცენარეთა ჩითილების გამოყვანა და გამრავლება; მცენარეთა სხვა-ფორმირება და კონსერვაცია; მავნებელ დაავადებებთან და მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება; ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სპორტული, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი, საგანმანათლებლო და სადღესასწაულო ინფრასტრუქტურის განვითარება; ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა; სამეცნიერო ცენტრის შექმნის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზის ფორმირება; ჰერბარიუმის შექმნა; სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზება.</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p> <p>მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის (მეტნაკლებად) დაბრუნებული ისტორიული იერსახე და ბოტანიკური ბაღებისათვის-21 საუკუნეში განსაზღვრული დღის წესრიგის შესრულება</p> <ul style="list-style-type: none"> • ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება და მისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება • ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის თანამედროვე სტანდარტებზე მორგება, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბება • ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, როგორც რეკრეაციული და ტურისტული ობიექტის განვითარება • ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა.

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა</p>	<p>2023 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>03 04</p>		<p>120,0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური</p>		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენების ხელშესაწყობად ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ყველა ტიპის ნიადაგის, მათ შორის მწირი, მლაშე, დაჭაობებული, ბიცობი, მყავე და ძლიერ დატენიანებულ ნიადაგების სწორ და რაციონალურ გამოყენებაზე, რაც არის სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეკონომიკის დინამიური განვითარების საფუძველი. სრულფასოვანი რეკომენდაციის გასაცემად აუცილებელია შესაბამისი კვლევების ჩატარება და მუნიციპალიტეტის მასშტაბით აგრარული რუკის პლატფორმის შექმნა, რომელიც იქნება გზამკვლევი სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის მსურველთათვის. 2. პროგრამის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს „დაფნის ბაღის მოწყობის ხელშეწყობა“, რომლის მიზანია სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელშეწყობა თვითდასაქმებისა და შინამეურნეობის მოწყობის გზით, კერძოდ: სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელსაც გააჩნია საკუთრებაში მიწის ნაკვეთი 0.1 ჰა ფარგლებში, მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს დაფნის ნერგის შეძენას, თითოეულ ოჯახს 1000.0 ლარამდე;
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ადგილობრივი მოსახლეობის, პოტენციური ინვესტორების და სხვა დაინტერესებული პირების მიერ სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის სწორად დაგეგმვასა და გასატარებელ ღონისძიებებზე ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, რაც არის საფუძველი მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სტაბილური შემოსავლების მიღების უზრუნველსაყოფად; 2. სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილური შემოსავლების მიღების გზით.

პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 05		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	<p>მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური</p>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სკვერებსა და პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შექმნა-მონტაჟი. დაგეგმილია ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, წერეთლის და სოხუმის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული აკ. წერეთლის სახელობის მემორიალური მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ი. მეუნარგიას სახელობის სკვერის შემოღობვის სამუშაოები;</p>		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მდგრადებისა და სხვა ცხოველებისგან	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 08		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელდება ქ. ზუგდიდსა და მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, მგლებისა და ტურების ბუნებრივი გარემოდან ამოღების, მდგრადებისა და ინფექციის გადამტანი სხვა ცხოველებისგან ადამიანების დაცვის პრევენციული ღონისძიებები.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები		
მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 9652,2 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

/ათას ლარებში /

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა
04 00	განათლება	9652,2
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	8277,2
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	0,0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	970,0

04 04	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	105,0
04 05	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	270,0
04 06	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	30,0
04 07	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით	0,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		8277,2
პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45- სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 989 თანამშრომელი, მათ შორის 162 აღმზრდელი, 63 მზარეული და 26 მზარეულის თანაშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის (მეთოდოლოგიის) დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.</p> <p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საბავშვო ბაღებში შესწავლილი იქნა არსებულ ბაღებში სწავლების ხარისხი და დადგინდა რომ სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები (განხილული ასაკობრივ წრილში) ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს, რაც ძირითადად აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაციით არის გამოწვეული. სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამით. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების</p>		

	<p>შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს.</p> <p>პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად კვების ხარისხის ამაღლება. ქვეპროგრამა მოიცავს სტანდარტების შესაბამისი მენიუების შექმნას, ხარისხიანი კვების პროდუქტების შეძენას და მენიუს შესაბამისი მაღალხარისხიანი კერძების მომზადებას. ასევე საბავშვო ბაღებში გახორციელდება სამზარეულოს და საწყობების სტანდარტის შესაბამისად მოწყობა. მზარეულების გადამზადება.</p> <p>პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ასევე ქვეპროგრამა მოიცავს ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟს.</p> <p>სკოლამდელი აღზრდის პროგრამების განხორციელებისათვის საჭიროა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებების და ასევე სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც მოითხოვს როგორც ცენტრის ასევე საბავშვო ბაღების დაფინანსებას.</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; სტანდარტების შესაბამისი გარემო; გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი, სტანდარტების შესაბამისი კვალიფიცირებული (სერთიფიცირებული) აღმზრდელები, შექმნილი ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო. სტანდარტების შესაბამისი გაუმჯობესებული სასაბავშვო გარემო და კვება. სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმები; დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება;</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p> <p>04 03</p>	<p>სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა</p>	<p>2032 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>970,0</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას ,</p>		

	<p>მეცნიერების ლიტერატურის და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებას.</p> <p>უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მარალპროფესიულ დონეზე სწავლებას და პოპულარიზაციას, (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, ქართულ ხალხური ქორეოგრაფია, საყმაწვილო თეატრი, სამეგლოსო-სპორტული და თანამედროვე ცეკვები, ბალეტი პანტომიმა, დრამ. სტუდია). სასახლეში ტარდება სასწავლო სემინარებებითი კონფერენციები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშობები. , ვიქტორინები, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტები, გამოფენები, შეხვედრები, ლაშქრობები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სხვა საგნობრივი კონკურსები, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსები, ექსპედიციები, საქველმოქმედო აქციები, მოსწავლე -ახალგაზრდობის დღეები. წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულია 800-მდე მოზარდი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ემსახურება 74 თანამშრომელი, მათგან 34 პედაგოგია.</p> <p>ყოველწლიურად მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთათვის არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება, სასახლის მხატვრული ლკოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ქვეყნის შიგნით , ასევე მის ფარგლებს გარეთგამართულ საერთაშორისო კოკურს ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ინფრასტრუქტურის სრულყოფამ, სასწავლო გარემოს შეცვლამ, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფამ და სასწავლო პროცესში სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვამ განაპირობა ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ზრდა.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 04		105,0
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში 2023-2026 წლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა (სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება). ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერა. მოზარდებში კითხვის სწორი სტრატეგიისა და კულტურის დანერგვა, გუნდური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. სკოლის მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი დონის ამაღლება. მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის თვალსაჩინო ადამიანების საქმიანობის გაცნობა და კვლევა. შემეცნებითი ინტელექტუალური თამაშების, სამეცნიერო კონკურსების ორგანიზების ხელშეწყობა. სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისება. შემოსული მცირე პროექტების დაფინანსება. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. სკოლიდან გარიცხული იმ მოსწავლეების ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა, რომლებიც სკოლიდან გაირიცხნენ, ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა-ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა.</p>		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება
მოსალოდნელი შედეგი	სწავლა/სწავლების გაზრდილი მოტივაცია

პროგრამის დასახელება	კოდი	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 05		270.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება შემოქმედებითი, აკადემიური უნარების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდებისა და ბავშვების დაფინანსება - სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად; ნიჭიერი, მაღალი აკადემიური მაჩვენებლების სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის დანიშვნა; ფინანსური დახმარება ასევე გათვალისწინებული იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უცხოეთის აკრედიტებულ სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტებისთვის. პროგრამით გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჯარო და კერძო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება; განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება; ნიჭიერ ახალგაზრდათა გამოვლენა და ამ კონტინენტის სისტემატური ზრდა; ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში;		

პროგრამის დასახელება	კოდი	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 06		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ერთადერთი სახელმწიფო აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური ხელშეწყობა სტუდენტებისა და ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების განხორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სტუდენტთა თვითმმართველობის აქტივობებისა და პრაქტიკული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა და ხელშეწყობილია სტუდენტების ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6054,2 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	6054,2
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	1517,0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1200,0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	217,0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3887,2
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1400,0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	80,0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	850,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	510,0
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65,0
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	135,0
05 02 07	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	847,2
05 03	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	100,0
05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	520,0
05 05	თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	30,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		1517,0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური ჰარმონიული განვითარება; სპორტული ტრადიციების დაცვა-გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის შენარჩუნება; სპორტის ხელმისაწვდომობის		

	<p>უზრუნველყოფა; მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია.</p> <p>პროგრამა მოიცავს 3 ქვეპროგრამას: მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება, მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.</p> <p>მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებას.</p> <p>ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება სპორტის სფეროში შექმნილი ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ მიერ.</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა</p> <p>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • ზუგდიდელი სპორტსმენების წარმატებული ასპარეზობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონის ჩემპიონატებსა და ტურნირებში; • მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების მაღალხარისხოვნად მომზადება ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის; • ხელსაყრელი პირობები შეიქმნება სპორტში მოზარდთა და ახალგაზრდების რეგულარული ჩართულობისათვის; • მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ობიექტების გამართული ფუნქციონირება; • სპორტულ სექციებში მონაწილე ახალგაზრდა სპორტსმენების რაოდენობის გაზრდა; 		

	მწვრთნელების, მსაჯებისა და სპორტსმენების მატერიალურად წახალისების პირობების უზრუნველყოფა.
--	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		217.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული და ახალგაზრდულ კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსების კუთხით მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა მოიცავს სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის ზრდას. სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარებას, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაციას, სპორტსმენთა წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობას, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაციას, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოებას, შეჯიბრებების ჩატარების ხარისხის გაუმჯობესებას, სოციალურად დაუცველ და მოწინავე სპორტსმენთა საცხოვრებელი პირობების შესწავლას, მათთვის ერთჯერადი დახმარებების გაწევას, სტიპენდიების დანიშვნას, ჩატარებული ღონისძიებების ევრანიზაციას, ფოტოსტენდების მოწყობას, სპორტსმენთა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ეკვიპირებას, მათი საჭირო სპორტული ინვენტარით და საქონლით აღჭურვას. შშმ პირების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის გზით მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, ქვეპროგრამის მიზანია: სკოლებს შორის და ახალგაზრდებს შორის სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება, როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე. საერთო ჯამში ჩვენი განყოფილება ორგანიზებას უწევს ახალგაზრდებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო, საერთაშორისო, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, ადამიანის უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმის ღონისძიებებს და პროექტებს.</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>სპორტის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება. ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერა, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, სამოქალაქო კლუბების ჩამოყალიბება, ახალგაზრდული საკრებულოს გაძლიერება და მოზარდი თაობის მაქსიმალურად ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ახალგაზრდებში გენდერული საკითხების ცნობიერების ამაღლება პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა, ბავშვებისა და ახალგაზრდების მეტი ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და სპორტულ მეცადინეობებში, სპორტსმენთა პროფესიული ზრდა, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაცია.</p> <p>ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება, ახალგაზრდული იდეებისა და მათ მიერ დაგეგმილი ქტივობების, პროექტების დაფინანსება. თანასწორობა გენდერული კუთხით.</p>		

	<p>მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა, ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, ახალგაზრდებისთვის გართობა-დასვენების და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების გაზრდა შედეგი:</p> <p>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ნიჭიერი ინტელექტუალი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება.</p> <p>ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა; სპორტული გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;</p>
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებულია სპორტული ინფრასტრუქტურა და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო ახალგაზრდებისა და მოზარდი თაობის წვრთნისა და სპორტული მომზადებისათვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		3887,2
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების ხელშეწყობა; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; შემოქმედებითი პროცესების წარმართვა; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა. პროგრამა მოიცავს 7 ქვეპროგრამას.		

მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა, კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1,400.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების ხელშეწყობა; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; შემოქმედებითი პროცესების წარმართვა; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა; კულტურის დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; ქართული ფოლკლორის აღორძინება; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობა; მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა და შენარჩუნება; ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავება მხატვრული კანონებისა და კუთხური თავისებურებების გათვალისწინებით; სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენა; ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა; ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვა; ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება და განვითარება; ახალგაზრდებში ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაღვივება; ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვა; მხატვრების ექსპოზიციების და თემატური გამოფენების მოწყობა; სახვითი ხელოვნების განვითარება.</p> <p>ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა - შემოქმედებითად გალერეა აქტიურად არის ჩართული ყველა მიმდინარე პროცესში. გალერეაში მუდმივად ეწყობა სხვადასხვა მხატვრის ექსპოზიციები და თემატური გამოფენები, რაც მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის. • მოყვარულთა თეატრი „ჩხორია“ - მოქმედი დრამატული წრე, აქტიურად აწყობს პრემიერებს და სპექტაკლებს. ეს არის ერთი სოფლის კულტურის სახლის მაგალითი, რომელიც ხელს უწყობს სამოყვარულო თეატრალური ხელოვნების განვითარებას. • ადგილობრივი მუზეუმები - ხელს უწყობენ ახალგაზრდებში ინტერესების გაღვივებას ზოგადად ეროვნული ფასეულობებისა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი. აქ წარმოდგენილი ექსპონატები, მაღალ ინტერესს იწვევს ქალაქში ჩამოსულ, ჩვენი ისტორიითა და ეთნოსით დაინტერესებულ სტუმრებში. • ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში გაერთიანებულია სახელოვნებო წრეები, სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები და ანსამბლები, რომლებიც მონაწილეობენ ფოლკლორულ ფესტივალებსა და კონკურსებში, აწყობენ გასტროლებს უცხოეთში, მართავენ გასვლით კონცერტებს სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა სოფლებში. 		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები
მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით; ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამ ჟანრის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია; თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება; მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია; სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი საღამოების მოწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		დაცვის პროგრამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლის და შენახვას. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების გამოცემას, არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების მოწყობის ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ექსპედიციების ჩატარებას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსია ლაშქრობების მოწყობას და სხვა ღონისძიებებს.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელია მრავალი ახალი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტის თუ არტეფაქტების გამოვლენა, მათი პოპულარიზება და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. ტურისტულად საინტერესო ობიექტების და ნიმუშების გამოვლენა და მიმზიდველი გარემოს შექმნა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		850.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისგან. წიგნადი ფონდი შეადგენს 189 987 ეგზემპლარს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის		

	<p>ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი 2023-2026 წლებში იზრუნებს მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების მიწოდების კუთხით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სხვადასხვა პროექტების განხორციელებით აამაღლებს ბიბლიოთეკების როლს საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური დონის ზრდის საქმეში. ამ მიზნით სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს განახორციელებს: შემოქმედებით საღამოებს, შეხვედრებს თანამედროვე ავტორებთან, ჩამოაყალიბებს კლუბებს საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყობა კინო ჩვენებები, გასვლითი კულტურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მკითხველების/მომხმარებლების დასვენებას წიგნის გარემოში; ჩატარდება ფოტო გამოფენები, ვესტივალები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ღია სივრცეებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. ამით ბიბლიოთეკები მოიზიდავენ მკითხველებს და შესაბამისად გაიზრდება მათი რიცხვი. საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება წიგნების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკა იმუშავებს მხარეთმცოდნეობითი ციფრული ბიბლიოთეკის ბაზის შექმნაზე, გაგრძელდება ადგილობრივი პერიოდული პრესის ანალიტიკური აღწერა და გამოსაცემად მომზადება თემების მიხედვით; ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეცნიერებს, მკვლევარებს იმუშაონ ადგილზე იონა მეუნარგაის სახელობის მხარეთმცოდნეობით დარბაზში.</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა</p>	<p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა; • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნისადმი დაინტერესება; • მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის პოპულარიზაცია, ზუგდიდის ისტორიით, კულტურით, განათლებით, ეკონომიკით დაინტერესებული მკითხველების ხელშეწყობა, საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის მხარეთმცოდნეობითი მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა; <p>თანამშრომლების საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდა.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p> <p>05 02 04</p>	<p>კულტურული ღონისძიებების დაფინანსება</p>	<p>2023 წლის დაფინანსება ათას ლარში</p> <p>510,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, კულტურის განყოფილება</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>აღნიშნული პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. მიმდინარე წლიდან ზუგდიდს უკვე გააჩნია საკუთარი კულტურის განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს უახლოესი 4 წლის სამოქმედო გეგმას და გულისხმობს კულტურის ახლებურად</p>		

გაზრების გზით ზუგდიდის კულტურულ ჰაბად ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: ზუგდიდის კულტურული რუკისა და სიახლეების ინტერნეტ პორტალის შექმნა, „შემოქმედებითი ზუგდიდის“ დაფუძნება და მხარდაჭერა. რეწვის, ხელოვნების, გასტრონომიის მიმართულების საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების ორგანიზება, ზუგდიდის გაწვევრიანება სხვადასხვა საერთაშორისო კულტურულ მარშრუტში, წიგნის „სამეგრელოს გემოს“ მომზადება და გამოცემა. ამასთანავე, ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია და კვლავინდებურად იგეგმება ტრადიციული კალენდარული დღესასწაულები, 26 მაისის დამოუკიდებლობის დღე, პირველი ქართული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრაგედიის დღე, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული სოხუმის დაცემის დღე, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, ლიტერატურულ სადამოებო, „დედის დღე“ ცნობილი ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, ნობელის მშვიდობის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალი, „აფხაზეთობა“, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე დახვრეტელ მამულიშვილთა ხსოვნის დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე, საერო-სახალხო დღესასწაულების „ვლადიკანობისა“ და „ზუგდიდობის“ აღნიშვნა, საპატოო წოდების მინიჭება, საახალწლო და საშობაო ღონისძიებები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები

მოსალოდნელი შედეგი

სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი სადამოებო, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღონისძიებაში მონაწილეობის და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამოცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვნების სადამოებო მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მოტივირება და კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა. კულტურის განვითარების სტრატეგიის მიზანია ზუგდიდის, როგორც კულტურად მიმზიდველი ქალაქის პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ განვითარებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი		2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	--	----------------------------------

	05 02 05	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ადმინისტრაციული სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; გაზეთ „ახალ ზუგდიდში“ მასალებისა და ინფორმაციების განთავსების მომსახურების შესყიდვა; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების და საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშის გამოქვეყნება; ადგილობრივ ტელე და რადიო ეთერში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო თუ სხვა საჭიროებისათვის საეთერო დროის მომსახურების შესყიდვა.</p>		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები		
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზე; მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		135,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ემსახურება რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას და მათთვის თანადაფინანსების გაწევას. საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, მშენებლობას. რელიგიური დღესასწაულების მოწყობას და პოპულარიზებას.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, ხელი შეეწყოს სხვადასხვა კონფესიის საზოგადოების წარმომადგენლებს რელიგიური მრწამსის განვითარებას.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლები ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		847,2

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების განვითარების ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხელოვნების სხვადასხვა დარგების მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება (საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილებები, საგუნდო-სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, ქართულ ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ფოლკლორული ჯგუფები, კლასიკური და საესტრადო ვოკალი)
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის გარეშე საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო და ესთეტიკური შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ხელოვნების მიღწევების ათვისებისთვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვა; ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება და პოპულარიზაცია (საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილება, საგუნდო-სამუსიკო განათლება, ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, სახვითი ხელოვნება); მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა; მოსწავლეებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის; მოსწავლეები აზიაროს მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნების საფუძვლებს; მოსწავლეებს გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები; კონკურსების, ფესტივალებისა და ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე; სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციების, გამოფენების, შეხვედრების, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსების, ექსპედიციების, საქველმოქმედო აქციების ჩატარება; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში კონცერტების გამართვა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქალაქის მოზარდთა დამეგობრების მიზნით; მოზარდებში ეროვნული კულტურის სიყვარულის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა ერების კულტურისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება; მოზარდთა აქტიური ჩართულობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებსა და სხვა სახის ღონისძიებებში;

პროგრამის დასახელება	კოდი	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		100,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სპორტული ცხენოსნობის მიმდევარი ახალგაზრდებისა და მოყვარულების დაინტერესება ამ სახეობის სპორტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის საცხენოსნო სპორტის მეშვეობით პროფილაქტიკურ-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობა; ცხენოსნობის ეროვნული სახეობების (ისინდი, ცხენურთი, დოდი, მარულა) შეჯიბრებებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი	მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა		

(SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების გარემოსთან ადაპტირების გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 04		520,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში“-1919.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის დახელოვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალგაზრდობში სპორტული უნარჩვევებისა და სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა თაობის მაქსიმალური რაოდენობის ჩასაზრუნველად საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის.</p> <p>საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ -ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე ხელშეწყობა ახალგაზრდობის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობის გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენთათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.</p> <p>საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია სწავლების დონემ და ხარისხმა თანამედროვე სტანდარტებს უპასუხოს და სწორად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომელსაც ვთავაზობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის მშენებლობა საძირკვიდან, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობიდან დავიწყოთ. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზიომზადების როლს, ვარჯიშის სწორად დაგეგმვას. ზედმეტმა დატვირთვამ შესაძლოა მოზარდის შემდგომი განვითარება შეაფერხოს და საბოლოო ჯამში წერტილი დაუსვას მის კარიერას. ამიტომაც საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საწვრთნელი ვარჯიშების სწორად დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქოლოგიის ცოდნა და ინდივიდუალური მიგდომა, აუცილებელია მწვრთნელი იყოს დინამიური, საქმისადმი ერთგული და პოზიტიურად კონსტრუქციული პედაგოგი ანუ პიროვნება, რომელიც ყოველთვის დაეხმარება, მხარს დაუჭერს თავის მოთამაშეებს და იზრუნებს მათზე, გააღრმავებს მათ მოტივაციას, ექნება შთაგონების უნარი. კვალიფიციური მწვრთნელი უნდა ფლობდეს საუბრის ხელოვნებას. იყო კარგი მწვრთელი არ ნიშნავს მხოლოდ გესმოდეს ფეხბურთი, ეს არც მხოლოდ ტალანტების განვითარება და მოგებებია - ეს არის იცნობდე მოზარდის ხასიათს.</p>		

	<p>ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ვაძლევთ სტიმულს და საშუალებას მაქსიმალურად იყენენ ჩაბმულები სასკოლო განათლებაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ვარჯიშები იგეგმება სკოლისაგან თავისუფალ დროს.</p> <p>ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისთვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დაძაბულ შეჯიბრებებში, სადაც მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით.</p> <p>ფეხბურთი არის სპორტი, როდესაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა</p>	<p>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრები, ნაყოფიერი სამწვრთნელო გარემო, სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვა განაპირობებს ბენეფიციართა მნიშვნელოვან ზრდას.</p> <p>საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით.</p> <p>ფეხბურთი არის სპორტი, სადაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.</p>

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4835,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა
-----------------	------------	-----------------

06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4835,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2110,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	450,0
06 01 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	20,0
06 01 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1640,0
06 02	სოციალური დაცვა	2655,0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	360,0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	45,0
06 02 03	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	95,0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	244,0
06 02 05	მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	116,0
06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმშვიდობისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	40,0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	100,0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	140,0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	270,0
06 02 10	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	40,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა	200,0
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	50,0
06 02 13	პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში"	45,0
06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	910,0
06 03	ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამა	70,0
06 03 01	უკიდურესად სიღარიბეში მყოფი სოციალურად დაუცველი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა	20,0
06 03 02	კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ქვეპროგრამა	2,0

06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა	3,0
06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა	45,0

პროგრამის დასახელება	კოდი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01	
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილება; ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში 3 ქვეპროგრამა ხორციელდება, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებსა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		450,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც მიმდინარეობს ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად.</p> <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტეგრირებული პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას ეპიდზედამხედველობის სისტემით, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების ხელშეწყობას საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფით, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შეზღუდვას, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდველევის დაავადების დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მკურნალობისას, სანიტარული ღონისძიებების დაცვის ზედამხედველობას სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი ღონისძიებები როგორცაა იმუნიზაცია, ეპიდზედამხედველობა, C ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა და ა. შ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ადრეული გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, ელიმინაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ტუბერკულოზის, აივ ინფექციის/შიდსისა და C ჰეპატიტის გავრცელების თვალსაზრისით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა, კერძოდ: C ჰეპატიტით დაავადებულია რეგიონის მოსახლეობის 7.2%, ზუგდიდის თემის მოსახლეობის 10.2%, ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის 14%. ტუბერკულოზის გავრცელება შეადგენს 135.1 ყოველ 100 000 მოსახლეზე და აივ/ინფექცია შიდსის - 249-ს ყოველ 100 000 მოსახლეზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს. ამ დაავადებათა დაძლევის ყველაზე ეფექტურ გზად მიჩნეულია ადრეული გამოვლენა და მკურნალობა. სადღეისოდ, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების შეზღუდული როლი C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლენასა და პრევენციაში, ეს აფერხებს ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობას, დროულად გამოავლინოს ის პირები, რომელთა მიმართვა საჭიროა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისებისკენ. C ჰეპატიტის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მართვის სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის ქსელში, ეფექტურობის თვალსაზრისით, საყოველთაოდ აღიარებული სტრატეგიაა, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს „ერთი-ფანჯრის“ პრინციპით მიიღოს ყველა საჭირო მომსახურება. ამ გზით შესაძლებელია სამივე მიმართულებით შემთხვევების მეტად აქტიური გამოვლენა და ასევე მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესება. პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მისი გავრცელების პრევენცია.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნის, კერძოდ 2023 წლამდე ინფიცირებულთა მინიმუმ 95%-ის გამოვლენა. 2. აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიის მიზნის: 2022 წლისთვის აივ/შიდსის გვიანი გამოვლენის წილის შემცირება 62%-დან 25%-მდე. 3. ტუბერკულოზის ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნის: 2022 წლამდე ტუბერკულოზის ინციდენტობის, სულ მცირე, 15%-ით შემცირება, ასევე ადრეული გამოვლენის საფუძველზე მკურნალობის გამოსავლების გაუმჯობესება. 4. 2022 წლის განმავლობაში რაიონის მოსახლეობის 40%-ის მოცვა ზემოაღნიშნული სკრინინგული სერვისებით. 		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, ელიმინაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 03		1640,0

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>სოციალური და ჯანდაცვის სამსახური</p> <p>პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებების დაფინანსება/ თანადაფინანსება განისაზღვროს შემდეგნაირად:</p> <p>1. ძვირადღირებული გამოკვლევები:</p> <p>ა) კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.</p> <p>მოსარგებლები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული (შემდგომში სოც. დაუცველები) პირები (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები), 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში შშმ) პირები, სიმსივნით დაავადებულები, სკოლის პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექ.პერსონალი, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, პირები, რომელთა ზემოხსენებული მომსახურების ღირებულება 500 ლარი და მეტია .</p> <p>ბ) PET/კტ კვლევის თანადაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.</p> <p>2. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება:</p> <p>ა) ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ.</p> <p>მოსარგებლები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონერები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;</p> <p>ბ) ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ ოპერაციის ღირებულების ნაწილის დაფინანსების შემთხვევაში, თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად: ოპერაცია, რომლის თანაგადახდა პაციენტის მხრიდან არ აღემატება 500 ლარს, არ ფინანსდება (გარდა 0-18 წლამდე შშმ ბავშვებისა, რომლებსაც სარეაბილიტაციო ოპერაციული მკურნალობის თანაგადახდა 500 ლარამდე დაუფინანსდებათ სრულად). 500 (ხუთასი) ლარიდან - 2000 (ორი ათასი) არაუმეტეს 50 %-სა, 2000 (ორი ათასი)-ლარიდან 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი, 5000 (ხუთი ათასი) ლარი და ზევით -მაქსიმალური ლიმიტი 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი. დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს კომისიურად.</p> <p>გ) მოქალაქეები, რომლებსაც ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის პროგრამების ფარგლებში - მაქსიმალური ლიმიტი 1 000 (ერთი ათასი) ლარი (ჯანდაცვის კომისიის გადაწყვეტილებით);</p> <p>3 . ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება, რომელთა ერთეულის ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი და მეტია - მაქსიმალური ლიმიტი - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის - 400 (ოთხასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.</p> <p>მოსარგებლები:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);</p> <p>ბ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;</p> <p>გ) შშმ პირები;</p> <p>დ) ონკოლოგიური ავადმყოფები;</p> <p>ე) ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, დიაბეტი, გლავკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები;</p>
--	---

4. 0-18 წლამდე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაცია:

ა) აუტიზმის სპექტრის (F84.0; F84.9) დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა 115 ბავშვისთვის. მომსახურების დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 18 საათისა. თვეში დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი - 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი;

ბ) სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსება - სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 100 001 -ზე ნაკლები) და შშმ პირებისთვის მაქსიმალური ლიმიტი- 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო დანარჩენი სხვა მოსარგებლეებისთვის - 300 (სამასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები დიაგნოზით:

გ) დაუნის სინდრომი;

დ) ბავშვთა ცერებრული დამზღა (G-80.0 ; G 80.1; G-80.2 ; G-80.3; G- 80.4; G 80.8 ; G -80.9);

ე) სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9; G-82.0 ; G-83.2);

ვ) განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0) - ;

5. 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება- მაქსიმალური ლიმიტი - 500 (ხუთასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

6. იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია და მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით)) მქონე 0-18 წლამდე და 18 წელს ზევით შშმ პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა:

ა) ცელიაკია-ყოველთვიურად არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა.

ბ) ფენილკეტონურია - ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

გ) მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით) - ყოველთვიურად არაუმეტეს 500.00 (ხუთასი) ლარისა.

7. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამა:

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა 25- 70 წლის ასაკის მაღალი რისკის მქონე ქალებისთვის;

ა) სამედიცინო მომსახურება მოიცავს:

ა.ა) ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას;

ა.ბ) პათოლოგიის შემთხვევაში, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას;

ა.გ) საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და მორფოლოგიურ კვლევას;

ა.დ) ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობა ენდოკრინოლოგის მიერ;

ბ) პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები:

ბ.ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი;

ბ.ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში;

ბ.გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება;

ბ.დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები;

ბ.ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები;

ბ.ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები;

ბ.ზ) სარბევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო;

	<p>ბ.თ) კისრის ლიმფადენოპათია;</p> <p>ბ.ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება;</p> <p>ბ.კ) უნაყოფობა.</p> <p>8. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება მაქსიმალური ლიმიტი 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ.</p> <p>9. ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებებისა და სხვა თანხით უზრუნველყოფა - ყოველთვიურად არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.</p> <p>10. კოხლარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი წელიწადში ერთხელ. ქვეპროგრამის სრული ბიუჯეტი 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი.</p> <p>11. 0-18 წლამდე კოხლარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების ღირებულების დაფინანსება/თანადაფინანსება - მაქსიმალური ლიმიტი 600. 00 (ექვსასი) ლარი.</p> <p>12. მვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა დაფინანსება 200 (ორასი) ლარით წელიწადში ერთხელ.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივ და დევნილ) პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მძიმე დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკა</p>

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური დაცვა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02			2655,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება	

პროგრამის აღწერა	
<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.</p>	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			360.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ცხელი სადილით უზრუნველყოფას დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა (300 ბენეფიციარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტოხელა და მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>კვებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები;</p> <p>მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში ჩართვის მსურველთა მომლოდინეთა ბაზის შექმნა.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		45.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო მათთან გათანაბრებულ პირებს - 200 ლარის ოდენობით ფაზიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 200 ლარიანი დახმარებას პენსიაზე დანამატის სახით სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებზე ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს მიერ წარმოდგენილი სიისა ან/და მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე; ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს ფინანსურ უზრუნველყოფას ამავე კავშირის თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე ყოველი თვის ბოლო რიცხვებში. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ან</p>		

	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსებას 300 ლარის ოდენობით. ყოველწლიურად, 2008 წლის აგვისტოს თვეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, თითოეულ ოჯახზე 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.
მოსალოდნელი შედეგი	ვეტერანებისა და მათი ოჯახების წევრების ფსიქოსო-ციალური და ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		95,0
პროგრამის განმახორციელებელი		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება	
უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნების თითქმის 41 პროცენტი ანუ 25805.7 ათასი ლარი გათვალისწინებული იყო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე. ფაქტიურმა (საკასო) შესრულებამ შეადგინა 23562.3 ათასი ლარი, მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით 13304.0 ათასი ლარი.

რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით გამოყოფილი (9626.3 ათასი ლარი) მიიმართა შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე:

ა) 7645.5 ათასი ლარი გზების რეაბილიტაციისათვის მათ შორის:

1. შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაცატუს უბნის გზის რეაბილიტაციაზე -396.0 ათასი ლარი;
2. ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში ორდე დგებუადის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციისათვის 231.3 ათასი ლარი;
3. რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხი-აბასთუმნის გზის რეაბილიტაციისათვის 239.1 ათასი ლარი;
4. ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯუმი-ახალსოფლის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისათვის 245.7 ათასი ლარი.

5. ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში საკუთალიო სამოლაშხიოს უზნის გზის რეაბილიტაციისათვის 456.9 ათასი ლარი;
6. კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში კოკი-ახალკახათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისათვის 1150.0 ათასი ლარი;
7. დიდინემის ადმინისტრაციულ ერთეულში ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 111.2 ათასი ლარი;
8. ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკალანდიოს უბანში გზის რეაბილიტაციისათვის 390.0 ათასი ლარი;
9. ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისათვის 56.8 ათასი ლარი;
10. ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამარ მეფის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციისათვის 369.7 ათასი ლარი;
11. კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, წმინდა ნინოს და გუგუჩიას ქუჩის გზის რეაბილიტაციაზე 950.6 ათასი ლარი;
12. ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საროგაოსა და სამაქცარიოს უბანში გზის რეაბილიტაციისათვის 1105.8 ათასი ლარი;
13. ასევე, ორსანტიის, ოირემე-დავითიანის, ერგეტის, ნაცატუს, ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის რეაბილიტაციისთვის ჯამობრივად გახარჯულია 1902.3 ათასი ლარი.

ბ) ალერტკარისა და ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის გახარჯულია 615.7 ათასი ლარი;

გ) მუნიციპალიტეტის ავტოპარკის მატერიალური ბაზის განახლებისთვის გახარჯულია 498.1 ათასი ლარი, მათ შორის რუხის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს ავტობუსების სადგომის მოწყობის სამუშაოებისათვის გაიხარჯა 432.2 ათასი ლარი და სამგზავრო ავტობუსების გაჩერების ლოკაციებზე ელექტრონული-საინფორმაციო ტაბლოების მოწყობისათვის 65.9 ათასი ლარი.

დ) ქ.ზუგდიდში მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გახარჯულია 415.6 ათასი ლარი.

აგრეთვე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამ“-ის ფარგლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას მოხმარდა 654.3 ათასი ლარი, ხოლო ზუგდიდის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე კაპიტალური ტრანსფერის თანხიდან დაიხარჯა 333.9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის თანხები მიიმართა:

ა) 3569.7 ათასი ლარი- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე;

ბ) 112.0 ათასი ლარი საგზაო ნიშნების მოწყობასა და უსაფრთხოებაზე;

გ) 159.5 ათასი ლარი - სანიაღვრე არხებისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე;

დ) 75.7 ათასი ლარი - წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაციაზე;

ე) 1620.0 ათასი ლარი- მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე;

ვ) 1017.2 ათასი ლარი - რეგიონული განვითარების პროექტების ფონდის სახსრებით მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე;

ზ) 180.9 ათასი ლარი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე;

თ) გარე განათების მოწყობა - რეაბილიტაციაზე 181.5 ათასი ლარი;

ი) 132.9 ათასი ლარი მუნიციპალური აქტივების შექმნასა და კეთილმოწყობაზე;

კ) 93.7 ათასი ლარი - სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებაზე;

ლ) 95.7 ათასი ლარი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოების დაფინანსებაზე.

როგორც ცნობილია მუნიციპალიტეტში დანერგილია „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს და მასთან დაკავშირებული პროგრამული დაფინანსების პრაქტიკა. აღნიშნული პროგრამით 2021 წელს ათვისებულია 441.5 ათასი ლარი.

გასულ წელს „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით დაიდო 8 ხელშეკრულება, აქედან 3 ხელშეკრულება ეხებოდა 2020 წლიდან გადმოსულ, ხოლო 5 ხელშეკრულება 2021 წელს განსახორციელებელ პროექტს. ასევე სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად დაიდო 4 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მშენებლობის 6 პროექტის რეალიზაციას, აქედან პრაქტიკულად დასრულდა 4 პროექტი.

ამასთან, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2021 წელს დაგეგმილი ის პროექტები, რომლებიც ვერ განხორციელდა კორონავირუსის პანდემიის შედეგად წარმოქმნილი პრობლემებისა და ხელშემშლელი მიზეზების გამო, რეალიზებული იქნება 2022 წელს სამოქალაქო ბიუჯეტით განსაზღვრულ ასიგნებიდან.

კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური სეგმენტია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2021 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო ასიგნებანი 5479.2 ათასი ლარი, რაც წლის განმავლობაში პრაქტიკულად სრული მოცულობითაა ათვისებული (ფაქტიური მაჩვენებელი 5461.6 ათასი ლარი), რომელიც მიიმართა სხვადასხვა მიზნობრივ ღონისძიებებზე, კერძოდ თანხები გაიხარჯა:

2617.8 ათასი ლარი ძირითად მუშა-მომსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე, 243.4 ათასი ლარი კი შტატგარეშე მომუშავეთა სახელფასო ანაზღაურებაზე, 1290.9 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის გარე ელექტროგანათების საჭიროებებზე, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციაზე 491.1 ათასი ლარი, მათ შორის საწვავის შეძენაზე 211.3 ათასი ლარი, რემონტის და სათადარიგო ნაწილების შეძენაზე 179.4 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურებაზე 43.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით ათვისებულია 320.2 ათასი ლარი. ამ თანხით შეძენილია ისეთი ძვირადღირებული ძირითადი აქტივები როგორცაა ქალაქის სადღესასწაულოდ მორთვის ელექტრო სანათი კონსტრუქცია თანხით 50.4 ათასი ლარი, 1 ერთეული სატვირთო ავტომობილი ღირებულებით 90.4 ათასი ლარი და ასევე 1 ერთეული მსუბუქი ავტომობილი თანხით 24.5 ათასი ლარი, ქალაქის კეთილმოწყობისა და გამწვანების დანიშნულებით ხე-მცენარეები თანხით 100.7 ათასი ლარი. დანარჩენი თანხები გახარჯულია სხვა აქტივების შესყიდვა-შეძენაზე.

„კეთილმოწყობის ცენტრ“-ს გასულ წელს მიღებული აქვს საკუთარი სახსრები 87.9 ათასი ლარი. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიმართა არაფინანსური აქტივების შეძენაზე, ასევე ზოგიერთი კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების ასანაზღაურებლად.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ გასულ წელს ქ. ზუგდიდში და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში შესრულდა ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და საექსპლოატაციო სამუშაოები, კერძოდ: ქალაქის ტერიტორიაზე შეიცვალა წყლის სისტემათა მილები, რეაბილიტაცია ჩატარდა წყალსაქაჩ ტუმბოებს, ამოიწმინდა ათეულობით საკანალიზაციო ჭები და საკანალიზაციო მილები. განხორციელდა რამდენიმე ასეული მეტრი სანიაღვრე არხების გაწმენდა. ამასთან გარკვეული სამუშაოები ჩატარდა შიდა გზების რეაბილიტაციის (გზების მოსწორება, მოხრეშვა), მდინარეების კალაპოტის ამოწმენდის, ლოკალური დანიშნულების ნაპირსამაგრების მოწყობის და სანაპირო ზოლების მოწესრიგების, სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულებში საფეხმავლო ხიდების და ზოგიერთი რეაბილიტაციის კუთხით.

აგრეთვე გასულ წელს სისტემატურად სრულდებოდა ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი კორპუსების, საბავშვო ბაღების დადიანების ისტორიულ არქიტექტურული კომპლექსის ეზოების, ქალაქის ცენტრალური ბულვარის, სკვერების, პარკების, ცენტრალური ქუჩების ტერიტორიების მოთხოვა-მოწესრიგების, ავარიული და გამხმარი ხეების მოჭრის, მწვანე ხე-მცენარეების გასხვლის და გადაბეღვის სამუშაოები.

გარე განათების ექსპლოატაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მთელ რიგ ლოკაციაზე შეიცვალა სანათი მოწყობილობები და ელექტრონათურები, დენის გამანაწილებელი კაბელები, განხორციელდა ელექტრობომების გადატანა და სადენ-კაბელების მონტაჟი.

მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნების მიზნით, გასულ წელს ცენტრის მიერ ჩატარებული იქნა გარკვეული სამუშაოები ქალაქის ტერიტორიაზე მწვანე ზოლების, სკვერების, პარკების, გაზონების დაცვის, მოვლა-პატრონობის, მწვანე საფარის უსაფრთხოდ შენარჩუნების, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობისთვის.

ისევე როგორც წინა პერიოდში, გასულ წელსაც გრძელდებოდა მუნიციპალიტეტში სასაფლაო მეურნეობის მოწესრიგების, მოწყობის, მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელება, ჩატარდა შემოღობვის, გასასვლელებისა და ბილიკების მოხრეშვის, ტერიტორიის კაპიტალურად დასუფთავების სამუშაოები. სასაფლაო მეურნეობის კუთხით, მოქალაქეთა მოთხოვნის კვალობაზე, ცენტრის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 70.1 ათასი ლარი.

მუნიციპალური ავტოტრანსპორტი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამის სუბსიდირებას, რომლის განმახორციელებელია შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხმარდა გეგმიური პარამეტრით გათვალისწინებული 1620.0 ათასი ლარი. სუბსიდიასთან ერთად საკუთარი სახსრებიდან მიღებული თანხების (1001.0 ათასი ლარი) ჩათვლით, 2021 წელს მის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 2621.5 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯული თანხა კი შეადგენს 2810.4 ათას ლარს, რის გამოც სამეურნეო-საფინანსო წელი დასრულდა ზარალით და მან 188.9 ათასი ლარი შეადგინა.

ამასთან, შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მუსაობაში მიღწეულია გარკვეული დადებითი შედეგებიც: როგორც წინა წელს, ისე 2021 წელსაც გრძელდებოდა მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლების, მატერიალური ბაზის გაფართოება-განმტკიცების, მგზავრობის ხარჯების შემსუბუქების, მგზავრობიდან ამონაგები თანხების ბრუნვისა და ინკასირების თვალსაზრისით კონტროლისა და დისციპლინის დანერგვის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უკეთესობისკენ მნიშვნელოვნად შეიცვალა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამგზავრო ავტომომსახურება. მაგალითად, გასულ წელს საბიუჯეტო სუბსიდირების ხარჯზე უცვლელი დარჩა მოსახლეობის მგზავრობის შეღავათიანი ღირებულება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის კემოდ რუხის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ძველი ობიექტის ბაზაზე მუნიციპალური ავტოპარკის განახლებისთვის 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გაიხარჯა 501.7 ათასი ლარი. გაიზარდა ექსპლოატაციაში მყოფი სამგზავრო მობილური ავოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა: ამჟამად მუნიციპალურ ავტოტრანსპორტს ერიცხება 15 „ისუზუ“, 18 „ბოგდანის“, 5 „პაზის“, 1 ერთეული „მერსედესის“ მარკის ავტობუსი, ისინი მუშაობენ როგორც შიდასაქალაქო, ისე საგარეუბნო (სასოფლო ზონა) მარშუტებზე. დღეის მდგომარეობით ქალაქ ზუგდიდის და მუნიციპალიტეტის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შექმნილი აქვს კომფორტაბელური ავტობუსებით მგზავრობის და კულტურული მომსახურების შესაძლებლობა, რაც საგრძნობლად ხელს უწყობს საზოგადოების ფართო ფენების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის

დარგით

ბიუჯეტიდან 2021 წელს დასუფთავების და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე მთლიანობაში გამოიყი 7447.5 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებული იქნა 7343.6 ათასი ლარი. აქედან უშუალოდ დასუფთავების და ნარჩენების გატანის პროგრამის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“, გეგმიური ასიგნება შეადგენდა 5600.0 ათას ლარს, ფაქტიურად ათვისებულია 5598.7 ათასი ლარი, რაც 13.1 %-ით მეტია წინა საფინანსო წლის მაჩვენებელთან შედარებით. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების შეფერხებების ფონზე 2020 წელთან შედარებით მიღწეულია აღნიშნული მაჩვენებლის მატება. კერძოდ 2021 წელს მოსაკრებელი ამოღებულია 537.9 ათასი ლარი, რაც 44.4 ათასი ლარით მეტია წინა წელთან შედარებით. მოსაკრებლების ამოღების ფაქტიური მონაცემების მიხედვით, ბიუჯეტიდან მისაღები სუბსიდირების შემცირების პირობითი მაჩვენებელია 9.6%-ი.

გარემოს დაცვის სფეროში, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სეგმენტის გარდა, გარკვეული ფუნქციური როლი აკისრია შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-ს. აღნიშნული სუბიექტის ფინანსურ ხელშეწყობაზე 2021 წელს გამოიყო გეგმიური 844,7 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად იქნა ათვისებული. აქედან თანხების დიდი ნაწილი მოხმარდა ზოგიერთი ძირითადი სახის ხარჯების ანაზღაურებას, კერძოდ: 383.2 ათასი ლარი გაიცა დაქირავებული პერსონალის (მუშა-მომსახურებები) შრომის ანაზღაურებაზე, 147.6 ათასი ლარი საქონელი და მომსახურების შესყიდვაზე.

ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის“ მიერ, რომელიც თავისი სპეციფიკით განეკუთვნება გარემოს დაცვის სფეროს სუბიექტთა კატეგორიას, გასულ წელს მიღწეული იქნა გარკვეული დადებითი შედეგები.

ზემოთ აღნიშნული ცენტრს 2021 წელს სუბსიდიის სახით გამოეყო 850.0 ათასი ლარი, ხოლო განხორციელდა 798.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი, აქედან ძირითადი ნაწილი მოხმარდა: 566.3 ათასი ლარი დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას, 204.4 ათასი ლარი საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, 25.8 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდას.

ცენტრის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 37.6 ათასი ლარი, ხოლო წინა წლის გარდამავალ ნაშთთან ერთად 98,4 ათასი ლარი. საკუთარი შემოსავლების საკასო შესრულება დაფიქსირდა 41.2 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მომართული იქნა შრომის ანაზღაურებაზე, საქონელსა და მომსახურებაზე, არაფინანსური აქტივების (ქონება) ზრდაზე.

ცენტრის მიერ 2021 წელს სუბსიდიის სახით მიღებული დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და სამუშაოები.

განათლების სფერო

მუნიციპალიტეტში 2021 წელს განათლების დარგის დაფინანსებისთვის სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 10809.7 ათასი ლარით (მათ შორის საკუთარი სახსრები 8039.2 ათასი ლარი), საკასო შესრულებამ შეადგინა 10487.8 ათასი ლარი. აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნებიდან 6675.7 ათასი ლარი ანუ 63.6%-ი მიიმართა განათლების კუთხით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე. ამ დარგში 2021 წელს გაწეული მუშაობა მიზნად ისახავდა ბავშვთა სკოლამდელი განათლების და აღზრდის ხარისხის ამაღლებას, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღსაზრდელთა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღზრდელ პედაგოგთა და მომსახურეთა შრომისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

2021 წელს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 62 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (საბავშვო ბაღი), აქედან 17 ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, 45 კი სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულებში. საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კონტიგენტი შეადგენდა 4300 ბავშვს (წლის განმავლობაში განიცდიდა მცირე ცვლილებას).

ზემოაღნიშნული ცენტრის მიერ 2021 წელს სუბსიდიის სახით ათვისებული ასიგნების თანხა (6675.5 ათ.ლარი) გაიხარჯა შემდეგი ძირითად ღონისძიებებზე, კერძოდ:

4417.8 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, 639.8 ათასი ლარი კვების დაფინანსებას, 554.4 ათასი ლარი ოფისის ხარჯების ანაზღაურებას, 268.1 ათასი ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებას, 668.9 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული თანხები მიიმართა საბავშვო ბაღებში შენობების რეაბილიტაციის, კეთილმოწყობის, გაზიფიცირების სამუშაოების შესრულებისათვის, აგრეთვე მანქანა-დანადგარების და ავეჯის შესასყიდად.

სუბსიდიის ნაწილი მიიმართა სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე და თანხები გაიხარჯა:

N16 საბავშვო ბაღში 102.1 ათასი ლარი; N14 საბავშვო ბაღში 88.2 ათასი ლარი; N62 საბავშვო ბაღში (ელექტროენერჯის სიმძლავრის გაზრდა) 161.8 ათასი ლარი; კახათის საბავშვო ბაღში 31.4 ათასი ლარი; N16 საბავშვო ბაღში 49.9 ათასი ლარი; დიდინემის საბავშვო ბაღში 2.8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გარდა, სუბსიდიის თანხის ნაწილი გაიხარჯა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, კერძოდ: ინგირის N1 საბავშვო ბაღში-13.8 ათასი ლარი; N16 საბავშვო ბაღში 7.6 ათასი ლარი; ჭაქვინჯის N1 საბავშვო ბაღში 37.1 ათასი ლარი; კახათის საბავშვო ბაღში 9.9 ათასი ლარი; კორცხელის საბავშვო ბაღში 2.0 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის სარეაბილიტაციო-სარემონტო და სასკოლო შემეცნებით ღონისძიებებზე 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 228.4 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 193.6 ათასი ლარი.

განხორციელდა საჯარო სკოლების საშუალო და მცირე მასშტაბების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 180.3 ათასი ლარი. პროექტები განხორციელდა ჭითაწყარის, ახალაბასთუმანის, კახათის N1 და კახათის N2, კორცხელის, რუხის (ნაწულუკუს), ოქტომბრის, კოკის, ცაიშის, ოქტომბრის (დავითიანის) დარჩელის, ოდიშის, ჭაქვინჯის, ნარაზენის, ერგეტის, რუხის, ახალკახათის, ქ. ზუგდიდის N6, N9 და N11 საჯარო სკოლებში. ამასთან 3 საჯარო სკოლაში დაგეგმილი პროექტები, რომლებიც 2020 წელს დატვირთული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებებით გარდამავალია და განხორციელდება 2022 საფინანსო წელს.

ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“. 2021 წელს აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისათვის სუბსიდია გვემთხვევა განისაზღვრა 728.1 ათასი ლარი, რომელიც ათვისებული იქნა სრული მოცულობით. გამოყოფილი თანხები ძირითადად მიიმართა: 621.4 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე; 101.3 ათასი ლარი საქონელი და მომსახურებაზე; 50.4 ათასი ლარი საკუთარი შენობა-ნაგებობების დაცვაზე; სოციალური უზრუნველყოფის მუხლით მიიმართა 4.1

ათასი ლარი, ამასთან გასულ წელს სასახლეს მიღებული აქვს საკუთარი შემოსავლები 39.8 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც გახარჯული იქნა 34.1 ათასი ლარი და ის მიმართულია სხვადასხვა მიზნობრივი ხარჯების ასანაზღაურებლად.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების ფინანსური მხარდაჭერისათვის 2021 წელს მუნიციპალური მასშტაბით გათვალისწინებული იყო გეგმიური 4173.3 მილიონი ლარის სუბსიდიის გამოყოფა, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 4046.2 ათასი ლარი, რომელიც მიმართა კონკრეტული პროგრამების მიხედვით. აღნიშნული ასიგნებიდან სპორტის განვითარების პროგრამის დაფინანსებაზე, რომელიც ხორციელდება ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს ბაზაზე, გამოიყო 980.0 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 964.4 ათასი ლარი, რომელიც ხარჯების ძირითადი მუხლების მიხედვით მიიმართა: 663.5 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე; 51.5 ათასი ლარი შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე; 28.4 ათასი ლარი სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე; 34.5 ათასი ლარი ოფისის და 27.0 ათასი ლარი კვების ხარჯების ანაზღაურებაზე; 17.0 ათასი ლარი სატრანსპორტო მომსახურებასა და სხვა სახის ხარჯებზე.

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“-თან არსებული ბავშვთა სპორტსკოლის ფინანსური ხელშეწყობისათვის, გასულ წელს ბიუჯეტიდან გამოიყო 394.8 ათასი ლარი. 2021 წელს სკოლის გუნდი მონაწილეობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრების ვერცხლის ლიგაში და პირველი წრე დაასრულა მეორე ადგილით. კლუბი აგრძელებს მუშაობას სკოლის გუნდის ოქროს ლიგაში საასპარეზოდ.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის სუბსიდიირებაზე, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“, 2021 წელს გამოიყო 1020.0 ათასი ლარი, რომელიც ათვისებულია სრულად, აქედან მიმართა:

- 934.4 ათასი ლარი - ცენტრის მომსახურება და შემოქმედებითი ანსამბლების შრომის ანაზღაურებაზე; 2.1 ათასი ლარი შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე; 2.4 ათასი ლარი ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯებზე; 17.3 ათასი ლარი ოფისის ხარჯებზე; 34.6 ათასი ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე, დანარჩენი თანხა მოხმარდა სხვა მიზნობრივი ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ხარჯების დაფარვას.

• ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ბიუჯეტში მას უკავია გამორჩეულად დიდი ფინანსური სემენტი.
- 2021 წელს ბიუჯეტიდან ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებისთვის მთლიანობაში გამოიყო 4295.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3876.3 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხის გარკვეული ნაწილის ათვისებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის განკუთვნილი „სოციალური სახლების“ მშენებლობის პროგრამის დანიშნულებით მიმართული თანხები სრული მოცულობით ვერ იქნა გახარჯული, რაც ძირითადად გამოიწვია კორონავირუსის პანდემიის ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებულმა გართულებულმა მოვლენებმა.
- ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით შემდეგი სახით იქნა მიმართული:
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2021 წელს გაიხარჯა 364.4 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ცენტრმა შემუშავებული გეგმებისა და საჭიროებების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები და ღონისძიებები როგორც: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი; პირველადი ეპიდემიოლოგიური კვლევების წარმოება; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა და იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება და ანალიზი, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა-დადგენა; წყალსატევების პასპორტიზაცია; პარაზიტული დაავადების პირველადი ეპიდკვლევა; საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარული ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა; საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

სოციალური დაცვის პროგრამაზე საკასო მაჩვენებლის მიხედვით ათვისებული თანხა (2083.8 ათ.ლარი) კონკრეტული ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა და მიიმართა:

238.9 ათასი ლარი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 693 ბენეფიციარმა:

- 189.8 ათასი ლარი - 280 ბენეფიციარის ყოველდღიური ცხელი სადილით უზრუნველსაყოფად;
- 49.0 ათასი ლარი - სოფელში მცხოვრებ 413 განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირის (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) საკვები პროდუქტებით დახმარებაზე.

43.2 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 35 ბენეფიციარმა. კერძოდ თანხები გაიხარჯა:

- 1.2 ათასი ლარი - განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ვეტერანის მომვლელობაზე (ყოველთვიურად 1 ვეტერანს 100 ლარის ოდენობით);
- 9.0 ათასი ლარი - მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ადგილობრივი და დევნილი 4 ვეტერანის ფინანსურ დახმარებაზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 21.7 ათასი ლარი - ააიპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსური უზრუნველყოფისთვის;
- 3.9 ათასი ლარი - 13 ბენეფიციარზე, გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერის მიზნით (თითოეულს 300 ლარის ოდენობით);
- 2.0 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 4 ვეტერანის ფინანსური დახმარებისათვის (თითოეულს 500 ლარის ოდენობით);
- 2.0 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, ომის ვეტერანთან გათანაბრებული 10 პირის ფინანსური მხარდაჭერისათვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 3.0 ათასი ლარი - 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული 3 მეომრის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერის მიზნით;
- 0.1 ათასი ლარი - 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების საფლავების შესამკობად შექმნილი ყვავილების თაიგულებისთვის;
- 0.3 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ყვავილების გვირგვინის შესამკნად.

93.9 ათასი ლარი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 297 ბენეფიციარმა. აღნიშნული თანხა მიიმართა:

- 41.7 ათასი ლარი - 80 მარტოხელა მშობლის დახმარებაზე (ყოველთვიურად თითოეულს 50 ლარის ოდენობით);
- 2.9 ათასი ლარი - დედ-მამით ობოლი 6 ბავშვის ფულად დახმარებაზე (ყოველთვიურად თითოეულს 50 ლარის ოდენობით);
- 4.9 ათასი ლარი - 22 ბენეფიციარზე, ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით (თითოეულს 800 ლარამდე, თანხის ოდენობა განსაზღვრულია კომისიის გადაწყვეტილებით);
- 35.5 ათასი ლარი - 160 მრავალშვილიანი ოჯახისთვის (თითოეულს 200-500 ლარის ოდენობით შვილების რაოდენობის მიხედვით);
- 4.0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველ 19 ოჯახზე, პირველი-მეორე შვილის შექმნასთან დაკავშირებით (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 4.9 ათასი ლარი - 10 ბენეფიციარზე, ტყუპის შექმნასთან დაკავშირებით (თითოეულს 500 ლარის ოდენობით).

211.2 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 677 ბენეფიციარმა. თანხები კონკრეტულად მიიმართა:

- 33.7 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 343 პირისათვის კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით 4 თვის განმავლობაში);
- 35.2 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 176 ბავშვისათვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 3.4 ათასი ლარი - სმენა და მხედველობა დაქვეითებულ 35 პირისთვის კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით 4 თვის განმავლობაში);
- 138.1 ათასი ლარი - შშმ პირთა და ხანდაზმულთა მომვლელისთვის (ყოველთვიურად 120 ბენეფიციარს 100 ლარის ოდენობით);
- 0.8 ათასი ლარი - შშმ პირების რეაბილიტაციაზე (3 ბენეფიციარი).

მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამით ისარგებლა 271 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 54.2 ათასი ლარი (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);

19.1 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინ მოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 176 ბენეფიციარმა, თანხა კონკრეტულად მიიღარა:

- 51.5 ათასი ლარი - 521 ბენეფიციარზე, კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება (თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით 4 თვის განმავლობაში);
- 223.4 ათასი ლარი - კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 896 ოჯახზე (თითოეულს 100-500 ლარის ფარგლებში).
- 19.2 ათასი ლარი - 48 სოც. დაუცველი ოჯახის გაზიფიცირებისთვის.

726.5 ათასი ლარი - უსახლკარო და მიძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს სოციალური სახლების მშენებლობას და „ერთი თბილი ოთახის“ მოწყობას;

1.7 ათასი ლარი - პროგრამაზე „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში,“ 14 ოჯახის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად (იანვარი, თებერვალი, მარტი და დეკემბრის თვეებში თითოეულს 25-25 ლარის ოდენობით) და საცხოვრისის ეზოს კეთილმოწყობისთვის.

14.9 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამაზე (დაფინანსდა 3 პროექტი).

სამედიცინო დახმარების პროგრამის-ფარგლებში გეგმიური ასიგნება შეადგენდა 1456.0 ათას ლარს, საკასო შესრულებაა 1396.8 ათას ლარი. გეგმიური ასიგნების ნაწილობრივ შეუსრულებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მერის მიერ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამკურნალო მომსახურებაზე გაცემული ფინანსური გარანტიებიდან გამომდინარე, შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებებმა ვერ მოახერხეს მიწოდებული სერვისების ანაზღაურებასთან დაკავშირებით საფინანსო წლის ბოლოს მერიაში სათანადო დოკუმენტების წარმოდგენა. ამ მიზეზით აუთვისებელი თანხის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 60.0 ათას ლარს.

2021 წელს სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 5292 ბენეფიციარმა.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნება შეადგენდა 12.4 ათას ლარს, აქედან საკასო შესრულების მიხედვით 40 ბენეფიციარის (პირის) ფულად დახმარებასა და სერვისებზე გაიხარჯა 11.3 ათასი ლარი.

2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის ნაზარდი ჯამით შესრულება

ცნობილია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის N22 დადგენილებით და ის განისაზღვრა 47200.0 ათასი ლარის ოდენობით.

დამტკიცების შემდეგ, მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ 6 თვეში, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში საკრებულოს ნორმატიული სამართლებრივი აქტით შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილება, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით გამოყოფილი ფინანსური რესურსების, 2022 საფინანსო წლის დასაწყისისათვის ნაშთის სახით არსებული ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და ვალდებულებებით დაუტვირთავი თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტების შედეგად 2022 წლის 1 ივლისისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 58398.5 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრებით 49318.6 ათასი ლარი.

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის ნაზარდი ჯამით შესრულების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ფაქტიური მაჩვენებლების მიხედვით სახეზეა მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები, რომლის რაოდენობრივი და სინთეზური პარამეტრები იძლევა შემდეგ სურათს:

მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა-პროგნოზი განსაზღვრული იყო 29743.0 ათასი ლარით, საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 30341.7 ათასი ლარი, ანუ 598.7 ათასი ლარით მეტი. აღნიშნულ პერიოდში შემოსავლების გეგმა-პროგნოზი შეადგენდა 29663.7 ათას ლარს, ფაქტიური მაჩვენებელი კი უტოლდება 30196.9 ათას ლარს, რაც გეგმა-პროგნოზთან შედარებით 533.2 ათასი ლარით მეტია.

ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება ცალკეული სახეების მიხედვით ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

ა) გადასახადები (დღგ, ქონების გადასახადი) პროგნოზირებული იყო 19116.2 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 21873.5 ათასი ლარი, ანუ 2757.3 ათასი ლარით მეტი.

გადასახადების საერთო თანხიდან ბიუჯეტში შემოსულია:

- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) – 15605.1 ათასი ლარი, პროგნოზირებულ მაჩვენებელზე 186.7 ათასი ლარით მეტი;
- ქონების გადასახადი - 6268.4 ათასი ლარი, ანუ პროგნოზით გათვალისწინებულზე 2570.6 ათასი ლარით მეტი;

ბ) ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, რენტა, ჯარიმები, სანქციები და საურავები, არაკლასიფიცირებული ტრანსფერები) პროგნოზირებული იყო 2610.0 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 2803.2 ათასი ლარი ანუ პროგნოზირებულ მაჩვენებელზე 193.2 ათასი ლარით მეტი.

სხვა შემოსავლებიდან განვილილ 6 თვეში, ბიუჯეტში მისი კონკრეტული სახეების მიხედვით შემოსულია:

- 252.8 ათასი ლარი - შემოსავლები საკუთრებიდან;
- 200.7 ათასი ლარი რენტა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის);
- 98.5 ათასი ლარი - შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან;
- 1770.2 ათასი ლარი - საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია (აქედან: ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 1717.0 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი 113.3 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1340.4 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 262.5 ათასი ლარი; შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან 53.2 ათასი ლარი).
- 752.2 ათასი ლარი ჯარიმები, სანქციები და საურავები, მათ შორის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო - 615.4 ათასი ლარი; შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 50.9 ათასი ლარი; შემოსავლები სხვა დანარჩენი ჯარიმებიდან 85.9 ათასი ლარი; ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 28.0 ათასი ლარი, მათ შორის შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 25.4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან (მუნიციპალური ქონების პრივატიზება) შემოსავალი, ამ სფეროსადმი ბიზნესმენტა მიერ წლის I და II კვარტლებში ნაკლებად დაინტერესების წინა წლების პრაქტიკიდან გამომდინარე 2022 წლის 6 თვეში პროგნოზირებული იყო 79.3 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 144.8 ათასი ლარი, მათ შორის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 47.0 ათასი ლარი, მიწის პრივატიზებიდან 97.8 ათასი ლარი.

გრანტების გამოყოფა განვილილ 6 თვეში პროგნოზით გათვალისწინებული იყო 7937.5 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად მიღებულია 5520.2 ათასი ლარი. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლის შეუსრულებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კაპიტალური ტრანსფერი, ნაცვლად პროგნოზით გათვალისწინებული 5869.5 ათასი ლარისა, მიღებული იქნა მხოლოდ 3195.5 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ წლის პირველ ნახევარში არახელსაყრელი კლიმატური პირობებით, ასევე ნაწილობრივ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მიზეზებიდან და ზოგიერთ შემთხვევაში მომწოდებლების მიერ შესრულების ვადების დარღვევიდან გამომდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესის დროებით შეფერხების გამო, დღის წესრიგში არ დამდგარა საკითხი რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში თანხების სრულად გამოყოფასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელები განვილილ 6 თვეში პროგნოზირებული იყო 33774.4 ათასი ლარის ოდენობით, საკასო (ფაქტიური) შესრულებაა 26131.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 77.4 %-ს შეადგენს. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გადასახდელების გეგმა-პროგნოზის შესრულება ხასიათდება უკეთესი შედეგით, კერძოდ 6 თვეში გადასახდელები პროგნოზირებული იყო 24301.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 21702.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის მიმართ თითქმის 90 %-ს შეადგენს.

გადასახდელების გეგმა-პროგნოზის მთლიანობაში შეუსრულებლობა განპირობებულია ცალკეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, პირველ რიგში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან კაპიტალური პროექტებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის თანხების სრულად აუთვისებლობით და სხვა გარემოებებით, რომელიც ამ განმარტებითი ბარათის ქვემო ნაწილში კონკრეტულად იქნება ნახსენები.

ძირითადი დარგობრივი სფეროების, პროგრამებისა და მხარჯავი სუბიექტების მიხედვით ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის შესრულების მაჩვენებლები იძლევა შემდეგ სურათს:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების კუთხით გათვალისწინებული იყო 6491.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5923.0 ათასი ლარი;
- საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის პროგნოზირებული 5034.5 ათასი ლარის ნაცვლად გაიხარჯა 4519.2 ათასი ლარი ანუ 515.3 ათასი ლარით ნაკლები;
- საკრებულოს აპარატის შენახვაზე გათვალისწინებული იყო 1006.5 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 727.8 ათასი ლარი;
- მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დანიშნულებით, პროგნოზით გათვალისწინებული 4027.9 ათასი ლარისა, გამოიყო 3791.5 ათასი ლარი ანუ 236.4 ათასი ლარით ნაკლები.

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე წლის 6 თვეში გამოიყო 49.0 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის საკუთარი ხარჯების წლიური მოცულობის მხოლოდ 0.11 %-ს პროცენტს შეადგენს.

გამოყოფილი თანხები მიმართა შემდეგი დანიშნულებით:

- 1650.0 ლარი - ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობის წყალმომარაგებაში შეფერხებების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ხასიათის ტექნიკური ღონისძიებების დასაფინანსებლად და დევნილთა მიერ 2022 წლის იანვარ-თებერვალში მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების თანხის ასანაზღაურებლად;
- 2858.0 ლარი - ქ.ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა N2 - ში მდებარე, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებული უმუშევარი და სუსტი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე დევნილების მიერ 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2022 წლის იანვრის თვეში მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების თანხის ასანაზღაურებლად;
- 10000.0 ლარი - უკრაინაში საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევის მიზნით, ერთჯერადი სახარჯი მასალისა და ჰიგიენური მოვლის საშუალებების შესაძენად;
- 24500.0 ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის გაუმართავი ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით ახალი გათბობის ქვების შესაძენად;
- 10000.0 ლარი - ქართული კულტურის ცენტრის „GCC- MALTA“ - ს ინიცირებითა და კულტურის განვითარებისა და ხელშეწყობის ევროპული ფონდის (EUFSC) თანადგომით მალტის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად, სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის დასის მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების სფეროში შემავალი (კოდი 01 00) სხვა ძირითადი გადასახდელების გეგმა-პროგნოზის შესრულება (რომელიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტზე დელეგირებული თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობის, ასევე მგფ-ის და წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა ვალდებულებების სახით) იძლევა შემდეგ სურათს:

თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის სფეროს დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, 6 თვეში პროგნოზირებული იყო 157.4 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიზნობრივად მოხმარდა წვევამდელთა კონტიგენტის აღრიცხვაზე აყვანის, მიწერის, გაწვევასთან დაკავშირებით ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურებას.

მუნიციპალიტეტის მიერ მგგ-დან კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად აღებული და წინა წლებში წარმოქმნილი, მუნიციპალიტეტის მიერ გადასახდელი ფინანსური ვალდებულებები (მიმდინარე, საშუალო და გრძელვადიანი სესხები) 6 თვის გეგმის მიხედვით დაფარულია მთლიანად და მან თანხობრივად შეადგინა 1182.6 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული ასიგნების 33 %, ანუ 19365.5 ათასი ლარი მოდის სწორედ ბიუჯეტის აღნიშნულ ფინანსურ სემენტზე. მიმდინარე წლის 6 თვეში ამ სფეროს დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოიყო და საკასო შესრულებამ შეადგინა 7606.6 ათასი ლარი, გეგმა-პროგნოზი კი განსაზღვრული იყო 13401.9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო მაჩვენებლების მიხედვით ათვისებული თანხებიდან (7606.6 ათასი ლარი) 3348.8 ათასი ლარი გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან (რგფ), ხოლო 4257.8 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

ინფრასტრუქტურის სფეროში გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული თანხების (ასიგნების) მთლიანობაში აუთვისებლობა, ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოსაყოფი კაპიტალური ტრანსფერები და ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი სახსრები სრულად ვერ იქნა გამოყენებული (ათვისებული), რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის პროექტების განსახორციელებლად წლის პირველ ნახევარში შექმნილი არახელსაყრელი კლიმატური პირობებით, ცალკეულ შემთხვევებში საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში გამოვლენილი ხარვეზებით, ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერების ორგანიზებაში დაშვებული შეფერხებებით, მომწოდებლების მიერ პროექტების ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში შეუსრულებლობით, ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ასანაზღაურებლად სრულყოფილი დოკუმენტაციების დროულად წარმოუდგენლობით. ამასთან საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილის აუთვისებლობა განაპირობა პროექტების განხორციელების საბოლოო შედეგების მიხედვით თანხობრივად მიღებულმა ეკონომიებმა. აგრეთვე თანხების ათვისებაზე გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა მოვლენებმაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მერიასა და მის შესაბამის სამსახურებს დასახული აქვთ სათანადო პრევენციული ღონისძიებები წლის მეორე ნახევარში მსგავსი მოვლენებით გამოწვეული რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად და ინფრასტრუქტურის სფეროში გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული ფინანსური პარამეტრების შესასრულებლად.

რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერების თანხა ძირითადად მიიმართა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად:

ა) 2907.9 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის, მათ შორის:

- 295.9 ათასი ლარი - კახათის, გუგუჩიას ქუჩაზე გზის (მე-III ეტაპი);
- 455.2 ათასი ლარი - ნარაზენის საკალანდიოს უბანში საავტომობილო გზის (მე-II ეტაპი);
- 675.5 ათასი ლარი - ერგეტის ერგეტის ცენტრიდან დიდგვიმარას უბანამდე გზის საფარის (მე-II ეტაპი);
- 380.0 ათასი ლარი - რუხის და ახალბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის;
- 81.3 ათასი ლარი - დიდინქის ნაკალის უბანში;
- 380.0 ათასი ლარი - ჭკადლაში;
- 81.8 ათასი - ლარი ნაწულუკუს ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი.
- 332.5 ათასი ლარი - კახათში კოსტავას ქუჩაზე;
- 124.5 ათასი ლარი - განმუხურის ჭავჭავაძის, ც.დადიანის და კ.გამსახურდიას ქუჩების;
- 24.2 ათასი ლარი - ანაკლიის რუსთაველის ქუჩაზე.

ბ) 250.1 ათასი ლარი - წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციისათვის, მათ შორის:

- 110.9 ათასი ლარი - ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) (მე-II ეტაპი);
- 32.7 ათასი ლარი - ჭკადუაშის პაპავების უბანში (მე-III ეტაპი);
- 102.5 ათასი ლარი - ალერტკარის საკანკაოს უბანში (I და II ეტაპი) ;
- 4.0 ათასი ლარი - ჩხორის.

გ) 12.4 ათასი ლარი - ანაკლიის რუსთაველის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოებისათვის;

დ) 11.1 ათასი ლარი - ადმინისტრაციული, საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად მიიმართა - 167.4 ათასი ლარი.

აგრეთვე, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად თანხები მიიმართა:

- 176.6 ათასი ლარი - საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე;
- 3.4 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციასა და წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე;
- 945.0 ათასი ლარი - მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე;
- 42.3 ათასი ლარი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფაზე;
- 55.4 ათასი ლარი - რეგიონული განვითარების ფონდიდან (რფფ) და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (მგფ) განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ თანადაფინანსებებზე;
- 5.4 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობასა და შექმნაზე;
- 25.4 ათასი ლარი - სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებაზე;
- 59.4 ათასი ლარი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დაფინანსებაზე;
- 6.6 ათასი ლარი - მიწის საკადასტრო ნახაზების შედგენისა და ქონების შეფასების მომსახურების დაფინანსებაზე.

ინფრასტრუქტურის სფეროში „სამოქალაქო ბიუჯეტით“ და გათვალისწინებულ პროგრამებთან დაკავშირებით, განვიღო 6 თვეში გარკვეული სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ ობიექტები ექსპლოატაციაში არ ყოფილა გადაცემული, ვინაიდან ამ პერიოდში ჩატარებული სამუშაოები მოიცავდა აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად მიკრო და საშუალო საინჟინრო პროექტების, ხარჯთაღრიცხვების, ტენდერების მომზადებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციების, სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შემუშავების პროცესს. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული პროგრამებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტები პრაქტიკულად განხორციელებული იქნება 2022 წლის ბოლომდე.

„კეთილმოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამა“ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის“ მიერ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის 6 თვეში გამოიყო ასიგნებანი 2159.9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა მიზნობრივი დანიშნულებით, კერძოდ:

1344.8 ათასი ლარი - ძირითადი მოსამსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, 112.5 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა სახელფასო ანაზღაურებაზე, 320.7 ათასი ლარი - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება.

არაფინანსური აქტივების ზრდის (ძირითადი აქტივების შექმნა) მუხლით ათვისებულია 182.4 ათასი ლარი, მათ შორის სპეციალური ტექნიკის (ავტოკალათა) შესაძენად გაიხარჯა 153.3 ათასი ლარი, რამაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი ცენტრის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

გასული 6 თვის განმავლობაში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიიმართა 3,607.2 ათასი ლარი, აქედან მნიშვნელოვანი წილი, 2,689.6 ათასი ლარი, მოდის ქალაქისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავების ღონისძიებებზე.

2022 წლის პირველ ნახევარში მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობიდან, ეკონომიკის სექტორის საწარმოებიდან და საჯარო სივრციდან შეგროვებულ და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებულ იქნა სულ 11.6 ათასი ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი. ყოველდღიურად ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა საშუალოდ 64 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი. სერვისი მიეწოდებოდა ქალაქის მოსახლეობის 100%-ს; 48 სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის 90%-ს; ეკონომიკის და საჯარო სექტორის 1200 - ობიექტს.

მუნიციპალიტეტში მთლიანად ლიკვიდირებულია სტიქიური ნაგავსაყრელები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ იგვებოდა 50 - 53 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 35 - 40 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 9-10 ჰექტარი; დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვებოდა 18 - 20 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 48 - 49 ჰექტარი; სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 6 - 7 ჰექტარი.

ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლში, საკურორტო სეზონის მზადების ფარგლებში ივნისის თვეში ჩატარდა ზღვის ამონაყარისაგან გაწმენდის სამუშაოები სანაპირო ზოლის 4 კილომეტრზე.

სისტემატიურად სუფთავდებოდა მდინარეების: ჩხოუმის, კუჩხოზონის და სინწის კალაპოტები და მიმდებარე ტერიტორიები.

წყალმშეფი მანქანით, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, ჰაერში მტვერის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ყოველდღიურად ირწყვებოდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის 10 ძირითადი ქუჩა.

მიმდინარე წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე გამოიყო 436.1 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 190.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის მოვლა-პატრონობა; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქვიშის ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნების მოფარცხვა-მოწესრიგების სამუშაოები; ჩატარდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (დასკვნის) საფუძველზე ჩატარდა ხე-მცენარეების შეწამლვა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით; ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის განათების სისტემის რეაბილიტაციას მოხმარდა 144.9 ათასი ლარი.

ააიპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მართვის ცენტრის მიერ 2022 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით სუბსიდიის სახით მიღებულმა დაფინანსებამ შეადგენდა 460.4 ათასი ლარი.

განათლება

მუნიციპალიტეტში 2022 წელს განათლების დარგის დაფინანსებისთვის მთლიანობაში სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 9008.1 ათასი ლარით (მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით 7933.8 ათასი ლარი), საკასო შესრულებამ შეადგინა 5435.8 ათასი ლარი. აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნებიდან 3796.0 ათასი ლარი ანუ 69.8%-ი მიიმართა განათლების კუთხით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე. ამ დარგში 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობა მიზნად ისახავდა ბავშვთა სკოლამდელი განათლების და აღზრდის ხარისხის ამაღლებას, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღსაზრდელთა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღზრდელ პედაგოგთა და მომსახურეთა შრომისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული ცენტრის მიერ 2022 წლის 6 თვეში სუბსიდიის სახით ათვისებული ასიგნების თანხა 3796.0 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მიიმართა, კერძოდ: 2,806.0 ათასი ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, 455.0 ათასი ლარი კვების დაფინანსებას, 324.0 ათასი ლარი ოფისის ხარჯების ანაზღაურებას, 53.0 ათასი ლარი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას, 7.0 ათასი ლარი სოციალურ უზრუნველყოფას, 4.0 ათასი ლარი ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების, 100.0 ათასი ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებას, 44.0 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდას.

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის სარეაბილიტაციო-სარემონტო და სასკოლო შემეცნებით ღონისძიებებზე 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 233.8 ათასი ლარი, 6 თვეში ათვისებულია 53.7 ათასი ლარი.

განხორციელდა საჯარო სკოლების საშუალო და მცირე მასშტაბების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 45.3 ათასი ლარი. პროექტები განხორციელდა ჭითაწყარის, ოქტომბრის, ტყაის, ჯუმის, დარჩელის N2, ქალაქის N9 სკოლებში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების მიხედვით ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დელეგირების სახით გადაცემული აქვს ზუგდიდის საჯარო სკოლებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამგზავრო ტრანსპორტით გადაყვანის მომსახურების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება. 6 თვეში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე მიიმართა 1074.3 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2022 საბიუჯეტო წლის განვლილ 6 თვეში გამოიყო 2,058.1 ათასი ლარი, რომელიც კონკრეტული პროგრამების მიხედვით მიიმართა, აქედან: ა(ა)იპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ დასაფინანსებლად გამოიყო 473.8 ათასი ლარი, რომელიც ხარჯების ძირითადი მუხლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: შრომის ანაზღაურებაზე 321.0 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 152.8 ათასი ლარი, მათ შორის სპორტულ ღონისძიებაზე 5.1 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისთვის - 30.1 ათასი ლარი, მივლინების ხარჯებისთვის 7.1 ათასი ლარი, კვებაზე გაიხარჯა - 23.7 ათასი ლარი, სატრანსპორტო მომსახურებასა და საწვავზე 7.4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის კულტურის დარგით მნიშვნელოვანია ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს მიერ.

მ/წელს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე ბიუჯეტით გათვალისწინებული 1,200.0 ათასი ლარიდან 6 თვეში საკასო შესრულებამ შეადგინა 515.4 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი თანხა 473.3 ათასი ლარი მიმართულია შემოქმედებით მუშაკთა - ანსამბლების და წრეებში მონაწილეთა და დასაქმებულთა, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე.

ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი წარმოადგენს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრს მუნიციპალიტეტში, მასში შემავალი ცენტრალური ბიბლიოთეკა სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და ამერიკულ კუთხესთან ერთად ეწეოდა მოსახლეობის წიგნითა და ინფორმაციით უზრუნველყოფის მომსახურებას. 2022 წლის პირველ ექვს თვეში დაინერგა სიახლეები ახალგაზრდობასთან ურთიერთობის კუთხით, რომელმაც საზოგადოების მოწონება დაიმსახურა და გაზარდა ბიბლიოთეკების მართვის ცენტრში შემავალ ბიბლიოთეკებში მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა.

2022 წლის პირველ ნახევარში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის სტრუქტურები მოემსახურნენ - 4688 მკითხველს/მომხმარებელს, მათზე გაიკა -18026 ცალი წიგნი და ინფორმაცია, მკითხველთა/მომხმარებელთა/დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა - 34002.

განახლდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ვებგვერდი - www.zugdidilib.ge. ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას ბიბლიოთეკის სტრუქტურის, რესურსების, მომსახურებისა და სიახლეების შესახებ. ცენტრალურ ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, რომლის საშუალებითაც მკითხველს სახლიდან შეუძლია დაადგინოს ამა თუ იმ წიგნის შესახებ ინფორმაცია და დაჯავშნოს ის.

2022 წელს სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას ბიუჯეტიდან სუბსიდია გამოეყო 689.0 ათასი ლარი, 6 თვის მონაცემებით ათვისებულია 326.1 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხები მოხმარდა: 265.8 ათასი ლარი ძირითად მომსახურეთა და შემოქმედებით პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას; 55.6 ათასი ლარი შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებას; სახელოვნებო სკოლების გაერთიანების საკუთარი შემოსავლები შეადგენს 78.0 ათას ლარს, აქედან გახარჯულია 39.8 ათასი ლარი რომელიც მიმართულია სხვადასხვა მიზნობრივი ხარჯების ასანაზღაურებლად.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული პრიორიტეტია და ბიუჯეტში მას მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია.

2022 წლის განვლილ 6 თვეში ბიუჯეტიდან ჯანდაცვის და სოციალური პროგრამებისათვის პროგნოზირებული იყო 1873.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 1500.5 ათასი ლარი. პროგნოზირებული თანხის ათვისებლობა განაპირობა იმან, რომ სოციალური სახლების მშენებლობის პროგრამის ფარგლებში მიმართული თანხები სრული მოცულობით ვერ იქნა გახარჯული, რაც თავის მხრივ გამოიწვია სხვადასხვა მიზეზით ტენდერების გამოცხადებასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების პროცესში მომხდარმა შეფერხებებმა.

ბიუჯეტიდან 6 თვეში გამოყოფილი ასიგნებანი, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მიკუთვნებული პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით, მიმართული იქნა შემდეგი სახით:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, 2022 წლის 6 თვეში ათვისებული იქნა 172.2 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნულმა ცენტრმა წლის პირველ ნახევარში, კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი სამუშაოები და ღონისძიებები:

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის შემეცნებით-საგანმანათლებლო და თემატური განხორციელებული აქტივობების და მათი ფინანსური მხარდაჭერის რაოდენობრივი მაჩვენებელი.	წლიურად 7-მდე ღონისძიება	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	უნივერსიტეტის მომართვიანობა, სტუდენტების ნაკლები დაინტერესება

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით ხდება საჭირო ღონისძიებების ორგანიზაციულ-ფინანსური მხარდაჭერა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	6,054.2	5,305.0	5,757.1	6,325.0
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	1,517.0	1,500.0	1,650.0	1,830.0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,200.0	1,200.0	1,250.0	1,350.0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	217.0	200.0	300.0	380.0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100.0	100.0	100.0	100.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,877.2	3,305.0	3,576.9	3,945.0
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1,400.0	1,300.0	1,350.0	1,500.0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	80.0	120.0	150.0	180.0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	850.0	800.0	901.9	950.0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	510.0	250.0	300.0	350.0
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65.0	65.0	75.0	85.0
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	135.0	120.0	150.0	200.0
05 02 07	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	847.2	650.0	650.0	680.0
05 03	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	100.0	80.0	90.0	100.0
05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	520.0	420.0	440.2	450.0
05 05	შ.დადიანის სახ.სახელმწიფო დრამატული თეატრი	30.0	30.0	50.0	50.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1,200.0	5,000.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.</p> <p>მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებას.</p> <p>ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება სპორტის სფეროში შექმნილი ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ მიერ.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა</p> <p>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • ზუგდიდელი სპორტსმენების წარმატებული ასპარეზობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონის ჩემპიონატებსა და ტურნირებში; • მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების მაღალხარისხოვნად მომზადება ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის; • ხელსაყრელი პირობები შეიქმნება სპორტში მოზარდთა და ახალგაზრდების რეგულარული ჩართულობისათვის; • მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ობიექტების გამართული ფუნქციონირება; • სპორტულ სექციებში მონაწილე ახალგაზრდა სპორტსმენების რაოდენობის გაზრდა; • მწვრთნელების, მსაჯებისა და სპორტსმენების მატერიალურად წახალისების პირობების უზრუნველყოფა. 			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებზე გამარჯვებული პრიზიორი სპორტსმენების რაოდენობა	წლიურად 100-მდე	წლიურად საშუალოდ 150	10%	სპორტსმენთა მომზადების დონე
	2	რეაბილიტირებული და ახლად აშენებული დარბაზების რაოდენობა	2 ობიექტი	2023 წელს დაგეგმილია 3 დარბაზის, 2024 წელს კი 4 დარბაზის მშენებლობა ან რეაბილიტაცია	25%	არშემდგარი ტენდერი, სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	3	მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	300	საშუალოდ წლიურად 600-მდე	15%	მოქალაქეთა მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		217.0	1,097.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული და ახალგაზრდულ კულტურულ-შემცენებითი ღონისძიებების დაფინანსების კუთხით მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა მოიცავს სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის ზრდას. სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარებას, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაციას, სპორტსმენთა წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობას, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაციას, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოებას, შეჯიბრებების ჩატარების ხარისხის გაუმჯობესებას, სოციალურად დაუცველ და მოწინავე სპორტსმენთა საცხოვრებელი პირობების შესწავლას, მათთვის ერთჯერადი დახმარებების გაწევას, სტიპენდიების დანიშვნას, ჩატარებული ღონისძიებების ეკრანიზაციას, ფოტოსტენდების მოწყობას, სპორტსმენთა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ეკიპირებას, მათი საჭირო სპორტული ინვენტარით და საქონლით აღჭურვას. შშმ პირების სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის გზით მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, ქვეპროგრამის მიზანია: სკოლებს შორის და ახალგაზრდებს შორის სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება, როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე. საერთო ჯამში ჩვენი განყოფილება ორგანიზებას უწევს ახალგაზრდებისთვის კულტურულ-საგანმანათლებლო, საერთაშორისო, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, ადამიანის უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმის ღონისძიებებს და პროექტებს.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>სპორტის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება. ახალგაზრდული ღონისძიებების მხარდაჭერა, შემცენებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, სამოქალაქო კლუბების ჩამოყალიბება, ახალგაზრდული საკრებულოს გაძლიერება და მოზარდი თაობის მაქსიმალურად ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ახალგაზრდებში გენდერული საკითხების ცნობიერების ამაღლება</p> <p>პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა, ბავშვებისა და ახალგაზრდების მეტი ჩართულობა სპორტულ აქტივობებში და სპორტულ მეცადინეობებში, სპორტსმენთა პროფესიული ზრდა, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაცია.</p> <p>ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება, ახალგაზრდული იდეებისა და მათ მიერ დაგეგმილი ქტივობების , პროექტების დაფინანსება. თანასწორობა გენდერული კუთხით.</p> <p>მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა, ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, ახალგაზრდებისთვის გართობა-დასვენების და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების გაზრდა</p> <p>შედეგი:</p> <p>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ნიჭიერი ინტელექტუალი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება.</p> <p>ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა; სპორტული გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;</p>			

მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა ინტელექტუალურ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
 რეგიონულ, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო შეჯიბრებებში ახალგაზრდა სპორტსმენთა და ინტელექტუალურ მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა;
 არაფორმალური განათლების ხელშეწყობა
 სპეციალური საწიროების მქონე, შშმ ახალგაზრდების და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა:	საშუალო წლიური მონაცემი: სპორტული - 30; საგანმანათლებლო - 45;	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	15%	მოსწავლეთა მომართვიანობა
	2	სპორტულ შეჯიბრებებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა - 1500-მდე;	წლიურად საშუალოდ 1500-მდე ბავშვი და მოზარდი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	15%	მოსწავლეთა მომართვიანობა
	3	ახალგაზრდულ კონკურსებში და ღონისძიებებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა	წლიურად საშუალოდ 3000-მდე ბავშვი და მოზარდი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	15%	მოსწავლეთა მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		100.0	400.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებულია სპორტული ინფრასტრუქტურა და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო ახალგაზრდებისა და მოზარდი თაობის წვრთნისა და სპორტული მომზადებისათვის.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	რეაბილიტირებული და ახალი შექმნილი მინი სპორტული მოედნების რაოდენობა	3 ობიექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	არშემდგარი ტენდერი
	2	ობიექტებით მოსარგებლეთა რაოდენობა	საშუალოდ 3500 ადამიანი.	საშუალოდ 5000 ადამიანი	5%	არშემდგარი ტენდერი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1,400.0	5,550.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების ხელშეწყობა; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; შემოქმედებითი პროცესების წარმართვა; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა; კულტურის დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; ქართული ფოლკლორის აღორძინება; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია; ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობა; მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა და შენარჩუნება; ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავება მხატვრული კანონებისა და კუთხური თავისებურებების გათვალისწინებით; სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენა; დეაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა; ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვა; ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება და განვითარება; ახალგაზრდებში ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაღვივება; ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვა; მხატვრების ექსპოზიციების და თემატური გამოფენების მოწყობა; სახვითი ხელოვნების განვითარება.</p> <p>ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით:</p> <ul style="list-style-type: none"> • მაგი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა - შემოქმედებითად გალერეა აქტიურად არის ჩართული ყველა მიმდინარე პროცესში. გალერეაში მუდმივად ეწყობა სხვადასხვა მხატვრის ექსპოზიციები და თემატური გამოფენები, რაც მნიშვნელოვანია სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის. • მოყვარულთა თეატრი „ჩხორია“ - მოქმედი დრამატული წრე, აქტიურად აწყობს პრემიერებს და სპექტაკლებს. ეს არის ერთი სოფლის კულტურის სახლის მაგალითი, რომელიც ხელს უწყობს სამოყვარულო თეატრალური ხელოვნების განვითარებას. • ადგილობრივი მუზეუმები - ხელს უწყობენ ახალგაზრდებში ინტერესების გაღვივებას ზოგადად ეროვნული ფასეულობებისა და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი. აქ წარმოდგენილი ექსპონატები, მაღალ ინტერესს იწვევს ქალაქში ჩამოსულ, ჩვენი ისტორიითა და ეთნოსით დაინტერესებულ სტუმრებში. • ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში გაერთიანებულია სახელოვნებო წრეები, სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები და ანსამბლები, რომლებიც მონაწილეობენ ფოლკლორულ ფესტივალებსა და კონკურსებში, აწყობენ გასტროლებს უცხოეთში, მართავენ გასვლით კონცერტებს სამეგრელოს რეგიონის სხვადასხვა სოფლებში. 			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა</p> <p>მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა</p> <p>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p> <p>მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>			
მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით; ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამჟამინდის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია; თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება;			

მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია; სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი სადამოების მოწყობა.

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2022 საბაზისო	20 23	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	41	43	43	43	43		
ადგ. მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა	1400	1500	1500	1500	1500		
სამოყვარულო თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	3	3	3	3	3		
კულტურულ ღონისძიებებში ბენეფიციართა რაოდენობა	5000	5500	6000	6000	6000		

ღონისძიების შუალედური შედეგის ინდიკატორები ფორმა N3-3

მოსალოდნელი შუალედური შედეგი (OUTPUT)	შედეგის ინდიკატორები			ზომისერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2022 წელი (საბაზისო)	2023 წელი					
კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების ხელშწყობა.	კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	41	41	ცალი		ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“	სტატისტიკური აღრიცხვა	
	ადგ. მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა	1400	1500	პირი			სტატისტიკური აღრიცხვა	
	სამოყვარულო თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	3	3	ცალი			სტატისტიკური აღრიცხვა	
	კულტურულ ღონისძიებებში ბენეფიციართა რაოდენობა	5000	5500	პირი			სტატისტიკური აღრიცხვა	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		80.0	530.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლის და შენახვას. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების გამოცემას, არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების მოწყობის ღონისძიებებს, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ექსპედიციების ჩატარებას, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსია ლაშქრობების მოწყობას და სხვა ღონისძიებებს.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები			
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელია მრავალი ახალი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტის თუ არტეფაქტების გამოვლენა, მათი პოპულარიზება და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. ტურისტულად საინტერესო ობიექტების და ნიმუშების გამოვლენა და მიმზიდველი გარემოს შექმნა.			

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობა	წლიურად საშუალოდ 4 ობიექტი	ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა	5%
2		რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ოდენობა	1 ობიექტი საშუალოდ წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	10%	რეაბილიტაციის პროცესში საპროექტო მაჩვენებლების ცდომილებით გამოწვეული სახელშეკრულებით
3		ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების ოდენობა	წლიურად საშუალოდ 1 ექსპედიცია	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	გაუთვალისწინებელი გარემოება
4		უშუალოდ ძეგლის მდებარეობის ზონაში რეგისტრირებული მოსახლეობის, მოწვეული სპეციალისტების, არქეოლოგიურ-გათხრით სამუშაოებში ჩართული მუშახელის და დაინტერესებული ვიზიტორების რაოდენობა;	საშუალოდ 10 000-მდე ადამიანი წელიწადში	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	გაუთვალისწინებელი გარემოება, მოქალაქეთა ნაკლები ინტერესი

პროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		850.0	3,501.9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისგან. წიგნადი ფონდი შეადგენს 189 987 ეგზემპლარს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი 2023-2026 წლებში იზრუნებს მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების მიწოდების კუთხით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სხვადასხვა პროექტების განხორციელებით აამაღლებს ბიბლიოთეკების როლს საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური დონის ზრდის საქმეში. ამ მიზნით სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს განახორციელებს: შემოქმედებით საღამოებს, შეხვედრებს თანამედროვე ავტორებთან, ჩამოაყალიბებს კლუბებს საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყობა კინო ჩვენებები, გასვლითი კულტურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მკითხველების/მომხმარებლების დავსვენებას წიგნის გარემოში; ჩატარდება ფოტო გამოფენები, ფესტივალები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ღია სივრცეებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. ამით ბიბლიოთეკები მოიზიდავენ მკითხველებს და შესაბამისად გაიზრდება მათი რიცხვი. საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება წიგნების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკა იმუშავებს მხარეთმცოდნეობითი ციფრული ბიბლიოთეკის ბაზის შექმნაზე, გაგრძელდება ადგილობრივი პერიოდული პრესის ანალიტიკური აღწერა და გამოსაცემად მომზადება თემების მიხედვით; ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეცნიერებს, მკვლევარებს იმუშაონ ადგილზე იონა მეუნარგიას სახელობის მხარეთმცოდნეობით დარბაზში.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა; • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნისადმი დაინტერესება; • მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის პოპულარიზაცია, ზუგდიდის ისტორიით, კულტურით, განათლებით, ეკონომიკით დაინტერესებული მკითხველების ხელშეწყობა, საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის მხარეთმცოდნეობითი მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დამორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა; • თანამშრომლების საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდა. 			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ბიბლიოთეკის სერვისით მოსარგებლეთა და ვირტუალურ მკითხველთა რაოდენობა	30000-მდე მოსარგებლე	30400-მდე	10%	გაუთვალისწინებელი გარემოება
	2	ჩატარებულ ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა	საშუალოდ წლიურად 8000-მდე პირი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	10%	გაუთვალისწინებელი გარემოება
	3	საბიბლიოთეკო ფონდის ახალი წიგნებით შევსების რაოდენობრივი მაჩვენებელი	საშუალოდ წლიურად 3000 ცალამდე წიგნი	7800-მდე	5%	არშემდგარი ტენდერი
	4	საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	საშუალოდ 70-მდე წლიურად	საშუალოდ 100-მდე წლიურად	10%	გაუთვალისწინებელი გარემოება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		510.0	1,400.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. მიმდინარე წლიდან ზუგდიდს უკვე გააჩნია საკუთარი კულტურის განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს უახლოესი 4 წლის სამოქმედო გეგმას და გულისხმობს კულტურის ახლებურად გააზრების გზით ზუგდიდის კულტურულ ჰაბად ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: ზუგდიდის კულტურული რუკისა და სიახლეების ინტერნეტ პორტალის შექმნა, „შემოქმედებითი ზუგდიდის“ დაფუძნება და მხარდაჭერა. რეწვის, ხელოვნების, გასტრონომიის მიმართულების საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების ორგანიზება, ზუგდიდის გაწვევრიანება სხვადასხვა საერთაშორისო კულტურულ მარშრუტში, წიგნის „სამეგრელოს გემოს“ მომზადება და გამოცემა. ამასთანავე, ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია და კვლავინდებურად იგეგმება ტრადიციული კალენდარული დღესასწაულები, 26 მაისს დამოუკიდებლობის დღე, პირველი ქართული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრაგედიის დღე, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული სოხუმის დაცემის დღე, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, ლიტერატურულ საღამოები, „დედის დღე“ ცნობილი ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, ნობელის მშვიდობის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალი, „აფხაზეთობა“, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე დახვრეტილ მამულიშვილთა ხსოვნის დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე, საერო-სახალხო დღესასწაულების „ვლადიკრნობისა“ და „ზუგდიდობის“ აღნიშვნა, საპატიო წოდების მინიჭება, საახალწლო და საშობაო ღონისძიებები.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები			

მოსალოდნელი
შედეგი

სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი სადამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვნების სადამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მოტივირება და კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა. კულტურის განვითარების სტრატეგიის მიზანია ზუგდიდის, როგორც კულტურად მიმზიდველი ქალაქის პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ განვითარებას.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა	საშუალოდ 40-მდე ყოველწლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	კორონავირუსის პანდემია
	2	დაფინანსებული პროექტების მაჩვენებელი.	საშუალოდ წლიურად 5 პროექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	15%	მომართვიანობის ნაკლებობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიომალწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		65.0	290.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ადმინისტრაციული სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; გაზეთ „ახალ ზუგდიდში“ მასალებისა და ინფორმაციების განთავსების მომსახურების შესყიდვა; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების და საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშის გამოქვეყნება; ადგილობრივ ტელე და რადიო ეთერში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო თუ სხვა საჭიროებისათვის საეთერო დროის მომსახურების შესყიდვა.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები			
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზე; მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა.			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების და სხვა ღონისძიებების დასრულების დონე	ყოველდღიურად შუქდება ყველა სახლზე და მიეწოდება ინფორმაცია მოქალაქეებს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	3%	გაუთვალისწინებელი გარემოება
	2	მაცნეზე გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების ოდენობა	აბსოლუტურად ყველა საკანონმდებლო აქტი ქვეყნდება მაცნეზე, თუ ამას მოითხოვს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	2%	გაუთვალისწინებელი გარემოება

		კანონმდებლობა			
--	--	---------------	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		135.0	605.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ემსახურება რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას და მათთვის თანადაფინანსების გაწევას. საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციას, მშენებლობას. რელიგიური დღესასწაულების მოწყობას და პოპულარიზებას.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა	მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები			
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ადგილობრივი რელიგიური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება. მოსალოდნელი შედეგია ხელი შეეწყოს სხვადასხვა კონფესიის საზოგადოების წარმომადგენლებს რელიგიური მრწამსის განვითარებას.			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ახალაშენებული და რეაბილიტირებული ეკლესია-მონასტრები და სხვა რელიგიური დანიშნულების ექსპლოატაციაში შესული შენობა-ნაგებობების რაოდენობა;	საშუალოდ 1 წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	20%

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023- 2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		847.2	2,827.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხელოვნების სხვადასხვა დარგების მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება (საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილებები, საგუნდო-სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, ქართულ ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ფოლკლორული ჯგუფები, კლასიკური და საესტრადო ვოკალი)			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა			
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის გარეშე საადრეოდ-საგანმანათლებლო და ესთეტიკური შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ხელოვნების მიღწევების ათვისებისთვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვა; ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება და პოპულარიზაცია (საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილება, საგუნდო-სამუსიკო განათლება, ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, სახვითი ხელოვნება); მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა; მოსწავლეებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის; მოსწავლეები აზიაროს მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნების საფუძვლებს; მოსწავლეებს გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები; კონკურსების, ფესტივალებისა და ღონისძიებების			

	<p>საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე; სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციების, გამოფენების, შეხვედრების, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსების, ექსპედიციების, საქველმოქმედო აქციების ჩატარება; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში კონცერტების გამართვა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქალაქის მოზარდთა დამეგობრების მიზნით; მოზარდებში ეროვნული კულტურის სიყვარულის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა ერების კულტურისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება; მოზარდთა აქტიური ჩართულობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებსა და სხვა სახის ღონისძიებებში;</p>
--	---

შეფასების ინდიკატორები						
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
N1 სამუსიკო სკოლა					მოსწავლეების ამადლებული მოტივაცია	მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა
N2 სამუსიკო სკოლა						
საგუნდო-სამუსიკო სკოლა						
სამხატვრო სკოლა						
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2022 საბაზისო	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი

პროგრამის დასახელება	კოდი	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 03		100.0	370.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სპორტული ცხენოსნობის მიმდევარი ახალგაზრდებისა და მოყვარულების დაინტერესება ამ სახეობის სპორტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისათვის საცხენოსნო სპორტის მეშვეობით პროფილაქტიკურ-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობა; ცხენოსნობის ეროვნული სახეობების (ისინდი, ცხენბურთი, დოდი, მარულა) შეჯიბრებებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა			
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების გარემოსთან ადაპტირების გაუმჯობესება.			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	საცხენოსნო კლუბ „ხარება“-ს სერვისით მოსარგებლე ახალგაზრდების, მოზარდებისა და საცხენოსნო სპორტის მოყვარულ ადამიანთა ოდენობა	საშუალოდ 100-მდე პირი წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	ადამიანთა მომართვ იანობა
	2	სხვადასხვა ღონისძიებებში მოპოვებული პრიზების ოდენობა	10-მდე პრიზი წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	ცხენებისა და მხედრების მომზადების დონე

პროგრამის დასახელება	კოდი	ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 04		520.00	1,830.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“			
პროგრამის აღწერა	<p>სპორტის დახელოვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალგაზრდებში სპორტული უნარჩვევებისა და სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა თაობის მაქსიმალური რაოდენობის ჩასაზრუნველად საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის.</p> <p>საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ -ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე ხელშეწყობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, თვითრეალიზაციასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენთათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.</p> <p>საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია სწავლების დონემ და ხარისხმა თანამედროვე სტანდარტებს უპასუხოს და სწორად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომელსაც გვათავაზობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის მშენებლობა საძირკვიდან, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობიდან დავიწყეთ. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზიომზადების როლს, ვარჯიშის სწორად დაგეგმვას. ზედმეტმა დატვირთვამ შესაძლოა მოზარდის შემდგომი განვითარება შეაფერხოს და საბოლოო ჯამში წერტილი დაუსვას მის კარიერას. ამიტომაც საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საწვრთნელი ვარჯიშების სწორად დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქოლოგიის ცოდნა და ინდივიდუალური მიგდომა, აუცილებელია მწვრთნელი იყოს დინამიური, საქმისადმი ერთგული და პოზიტიურად კონსტრუქციული პედაგოგი ანუ პიროვნება, რომელიც ყოველთვის დაეხმარება, მხარს დაუჭერს თავის მოთამაშეებს და იზრუნებს მათზე, გააღრმავებს მათ მოტივაციას, ექნება შთაგონების უნარი. კვალიფიციური მწვრთნელი უნდა ფლობდეს საუბრის ხელოვნებას. იყო კარგი მწვრთელი არ ნიშნავს მხოლოდ გესმოდეს ფეხბურთი, ეს არც მხოლოდ ტალანტების განვითარება და მოგებებია - ეს არის იცნობდე მოზარდის ხასიათს.</p> <p>ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ვაძლევთ სტიმულს და საშუალებას მაქსიმალურად იყვნენ ჩაბმულები სასკოლო განათლებაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ვარჯიშები იგეგმება სკოლისაგან თავისუფალ დროს.</p> <p>ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისთვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დამაბულ შეჯიბრებებში, სადაც მათი</p>			

	<p>მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მასშტაბით.</p> <p>ფეხბურთი არის სპორტი, როდესაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა</p>	<p>მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრები, ნაყოფიერი სამწვრთნელო გარემო, სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვა განაპირობებს ბენეფიციართა მნიშვნელოვან ზრდას.</p> <p>საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მასშტაბით.</p> <p>ფეხბურთი არის სპორტი, სადაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.</p>

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
გუნდების რაოდენობა	6	7	8	9	10	ჯანსაღი თაობების აღზრდა და ბაზის შექმნა ძირითადი გუნდის დასაკომპლექტებლად	მოზარდების რაოდენობის ზრდა და მათი თავისუფალი დროის სწორად განაწილება და დახელოვნება ფეხბურთში
სფფ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა შეჯიბრი „ვერცხლის ლიგა“ U-17	1	1	1	1	1	„ოქროს ლიგა“-ში გადასვლა	ახალგაზრდები არიან მეტად მოტივირებულები, აქტიურები და კონკურენტუნარიანები.
სფფ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა შეჯიბრი „ბრინჯაოს ლიგა“ U-15	1	1	1	1	1	„ვერცხლის ლიგა“-ში გადასვლა	ახალგაზრდები არიან მეტად მოტივირებულები, აქტიურები და კონკურენტუნარიანები
ირფფ-ს მიერ ორგანიზებული „რამაზ შენგელიას“ თასის გათამაშება U-16	1	1	1	1	1	ტურნირში გამარჯვება	ახალგაზრდები არიან მეტად მოტივირებულები, აქტიურები და კონკურენტუნარიანები
სრფფ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა შეჯიბრი U-14	1	1	1	1	1	ტურნირში გამარჯვება	ბენეფიციარების გაზრდა და მათი თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა
სრფფ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა შეჯიბრი U-12	1	1	1	1	1	ტურნირში გამარჯვება	ბენეფიციარების გაზრდა და მათი თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა
სრფფ-ს მიერ ორგანიზებული						საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	ბენეფიციარების გაზრდა და მათი

ჭაბუკთა შეჯიბრი U-10	1	1	1	1	1		თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა
სფფ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა შეჯიბრი „ვერცხლის ლიგა“ U-19		1	1	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	ბენეფიციარების გაზრდა და მათი თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა
სრფფ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა შეჯიბრი U-13		1	1	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	ბენეფიციარების გაზრდა და მათი თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა
ბადრი დარასელიასა და ზვიად ქაძანაიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა რეგიონებიდან 15 წლამდეელთა ასაკობრივი გუნდები.	80 ფეხბურთელი (4 გუნდი)	120 ფეხბურთელი (6 გუნდი)	160 ფეხბურთელი (8 გუნდი)	200 ფეხბურთელი (10 გუნდი)	200 ფეხბურთელი (10 გუნდი)	ფეხბურთელების ცნობიერების ამაღლება, აწარმოებული ფეხბურთელების ხსოვნისადმი პატივისცემა	ახალგაზრდები არიან მეტად მოტივირებულები, აქტიურები და კონკურენტუნარიანები.
ტრადიციული ტურნირი ფეხბურთში „პიერო“-ს თასზე, რომელსაც საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919“-ის ხელმძღვანელობამ, საფუძველი ჩაუყარა 2020 წელს. ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი ეძღვნება ახალგაზრდა ზუგდიდელის, აწარმოებული ზუკა კოკიას (იგივე „პიერო“-ს) ხსოვნას.	40 ფეხბურთელი (2 გუნდი)	80 ფეხბურთელი (4 გუნდი)	120 ფეხბურთელი (6 გუნდი)	160 ფეხბურთელი (8 გუნდი)	200 ფეხბურთელი (10 გუნდი)	ტურნირში გამარჯვება	ახალგაზრდები არიან მეტად მოტივირებულები, აქტიურები და კონკურენტუნარიანები.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ასევე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებისა და ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი პროგრამების/ღონისძიებების განხორციელებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისგან.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,835.0	4,814.0	5,265.0	6,040.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2,110.0	1,920.0	2,070.0	2,370.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	450.0	350.0	350.0	350.0
06 01 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	20.0	20.0	20.0	20.0
06 01 03	სამედიცინო დახმარების პროგრამა	1,640.0	1,550.0	1,700.0	2,000.0
06 02	სოციალური დაცვა	2,655.0	2,830.0	3,120.0	3,575.0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	360.0	320.0	350.0	380.0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	45.0	60.0	60.0	65.0
06 02 03	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	95.0	280.0	300.0	350.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	244.0	250.0	300.0	350.0
06 02 05	მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	116.0	80.0	100.0	130.0
06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	40.0	50.0	60.0	60.0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	100.0	80.0	100.0	120.0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	140.0	90.0	110.0	120.0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	270.0	250.0	280.0	310.0

06 02 10	დევენილთა მხარდაჭერის პროგრამა	40.0	40.0	50.0	60.0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა	200.0	290.0	320.0	340.0
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	50.0	50.0	50.0	50.0
06 02 13	პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში"	45.0	40.0	40.0	40.0
06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	910.0	950.0	1,000.0	1,200.0
06 03	ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამა	70.0	64.0	75.0	95.0
06 03 01	უკიდურეს სიღარიბეში მყოფი სოციალურად დაუცველი ბავშვების მატერიალური დახმარების პროგრამა	20.0	15.0	15.0	20.0
06 03 02	კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მხარდაჭერის პროგრამა	2.0	7.0	10.0	15.0
06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა	3.0	7.0	10.0	15.0
06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა	45.0	35.0	40.0	45.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		450.0	1,550.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც მიმდინარეობს ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად.			

	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტეგრირებული პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას ეპიდზედამხედველობის სისტემით, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების ხელშეწყობას საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფით, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შეზღუდვას, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევას დაავადების დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მკურნალობისას, სანიტარული ღონისძიებების დაცვის ზედამხედველობას სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი ღონისძიებები როგორცაა იმუნიზაცია, ეპიდზედამხედველობა, C ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა და ა. შ.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა
მოსალოდნელი შედეგი	ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მ/შ ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, ელიმინაცია.

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
იმუნიზაცია	80 %	87%	90%	92%	95%	95%	
ანტირაბიული მომსახურება	96 %	97 %	99%	99%	100%	100%	
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
იმუნიზაცია	80 %	84 %	88 %	91 %	93 %	93 %	
ანტირაბიული მომსახურება	96 %	98 %	98 %	98 %	99 %	99 %	

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა
მოსალოდნელი შედეგი	ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მ/შ ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, ელიმინაცია.

ღონისძიების შუალედური შედეგის ინდიკატორები ფორმა N3-3

მოსალოდნელი შუალედური შედეგი (OUTPUT)	შედეგის ინდიკატორები			ზომისერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	მეთოდოლოგია	რის კი
	დასახელება	2022 წელი (საბაზისო)	2023 წელი					
ეპიდზედამხედველობა	ანტირაბიული ვაქცინაციის დროს - დაკბენილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის შემთხვევათა ნულოვანი მაჩვენებელი.	96%	97%	პროცენტი	2%	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
იმუნიზაცია	მოცვის მაცვენებელი	80%	90%	პროცენტი	3%	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	მინისტრის 01-60/ნ ბრძანება	
ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მ/შ ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, საზოგადოებაში დაავადებების გავრცელების და აღმოცენების პრევენცია.	სკრინინგული კვლევა	100%	100%	პროცენტი	0%	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
მოსახლეობის ჯანმრთელობის გამუჯობესებული ხარისხი	4500	4650	4600	4600	4600	მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესება	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
დაავადების ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტირებული მოსახლეობა (კომპიუტერული და მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია, PET/კტ კვლევა)	838	840	860	900	900	დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და დროული მკურნალობა	
სტაციონარული სმედიცინო მომსახურებისთვის ხარჯების გასაწევად ფინანსურად უზრუნველყოფილი მოსახლეობა	482	500	520	550	550	სტაციონარული სმედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	
მვირადღირებული მედიკამენტებით უზრუნველყოფილი ქრონიკული დაავადების მქონე პირები	1926	2000	2100	2200	2200	ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა მვირადღირებული მედიკამენტების თანაგადახდის უზრუნველყოფა	
სარეაბილიტაციო თერაპიით უზრუნველყოფილი სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე პირები						სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე პირთა სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის	

						უზრუნველყოფა	
სარეაბილიციო თერაპიით უზრუნველყოფილი 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირები						18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სერვისზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	
იშვიათი დავადებების(მუკოვისციდოზი ფენილკეტონურია და ცელიაკის კვებით უზრუნველყოფა) მქონე პირების შენარჩუნებული ჯანმრთელობის ხარისხი						იშვიათი დაავადებების მქონე პირების ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და გართულებების პრევენცია	
სკრინინგულ პროფგრამაში ჩართული მოქალაქეები						ადრეულ ეტაპზე დავადებების დიაგნოსტიკა და გართულების პრევენცია	
პალიატიური საჭიროების მქონე პირთა ფსიქო-სოციალურად მხარდაჭერილი ოჯახები						პალიატიური საჭიროების მქონე პირთა ფინანსური მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო სახარჯი მასალით უზრუნველყოფის გზით	
კოხლეალური იმპლანტის მქონე ნაოპერაციევი 0-18 წლამე ბავშვების გაუმჯობესებული სმენისა და ცხოვრების ხარისხი						კოხლეალური იმპლანტის მქონე ნაოპერაციევი 0-18 წლამე ბავშვების სმენისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება	
მვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ფსიქო-სოციალურად მხარდაჭერილი ონკო პაციენტები						მვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა	

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
კანონთან კონფლიქტში მყოფი სოციალიზირებული არასრულწლოვნები	0	3	4	5	5	კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების კანონთან განმეორებითი კონფლიქტის პრევენცია	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
კანონთან კონფლიქტში მყოფი დასაქმებული არასრულწლოვნები	0	3	4	5	5	კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების დასაქმება და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა	მოსარგებლეთა რაოდენობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლის დაფინანსება ათას ლარში			
060303			3.0	35.0			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება						
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეებში სხვადასხვა კატეგორიის ბავშვებისთვის საზეიმო განწყობის შექმნას და ამ მიზნით საჩუქრების შესყიდვას და გადაცემას, პერიოდულად საინფორმაციო ბუკლეტებისა და სხვა ბეჭდური მასალის მომზადებასა და გავრცელებას, საინფორმაციო შეხვედრების მოწყობას.						
შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
ფსიქო-სოციალურად მხარდაჭერილი და ინფორმირებული ბავშვიანი ოჯახები	25	35	40	50	60	საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება, მეტი შექმნილი უნარი, საზეიმო განწყობის შექმნა	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი

ახალგაზრდების და მშობლების ამაღლებული ცნობიერების დონე საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით, სხვადასხვა გასართობი ღონისძიებებით ბავშვებისთვის შექმნილი საზეიმო განწყობა	25	35	40	50	60	ბავშვების და მშობლების უნარების გაძლიერება, ბავშვების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, ამაღლებული განწყობის შექმნა	მოსარგებლეთა რაოდენობა
---	----	----	----	----	----	---	------------------------

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023-2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
060304			45.0	165.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს: 1. სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები) 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა პათოლოგიის მქონე 15 ბავშვისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი საცურაო აუზის მომსახურების (aqua-თერაპია) დაფინანსებას. 2. სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ბავშვების (მრავალშვილიანი ოჯახებიდან) უცხო ენის წრეების დაფინანსებას.			

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
სოციალურად დაუცველი ბავშვების გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლების და ცხოვრების ხარისხი	15	25	40	50	50	ბავშვთა სოციალიზაციის ხელშეწყობა	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
სოციალურად დაუცველი ბავშვების გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა, გაუმჯობესებული განათლების ხარისხი, გაზრდილი ემოციური ინტელექტი, ამალღებული თვითშეფასება	15	25	40	50	50	სოციალურად დაუცველი ბავშვების ჯანმრთელობისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება	მოსარგებლეთა რაოდენობა

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რაც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯების, პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების წყაროს, თანამდებობრივ სარგოს, კანონით დადგენილი წესით გათვალისწინებულ დანამატს, ჯილდოს და წახალისების სხვა ფორმას. პრიორიტეტი ასევე მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, თავდაცვის ღონისძიებების, სესხის მომსახურების და ვალების დაფარვის ხარჯებს.

საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის საფინანსო სისტემა, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, პერმანენტულად საჭიროებს განახლებასა და გაუმჯობესებას, რათა ადეკვატურად პასუხობდეს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და საჭიროებებს. ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იქნება აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად. "საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 და მე-14 მუხლების, ასევე საქართველოს კანონის "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-7 მუხლისა და მე-5 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ვალდებული არიან კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოონ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინონ ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინონ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს. ქვეპროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ-ების ბალანსის და აღრიცხვა-ანგარიშგების საქმიანობის შემოწმების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ საჭიროების შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესის მიხედვით ხორციელდება აუდიტორული მომსახურების შესყიდვა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით მუნიციპალიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილებების შესასრულებლად ხორციელდება საჯარო სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე მივლინება.

ინფორმაცია კაპიტალური ბიუჯეტის შესახებ 2023 წლისათვის

კოდი	დასახელება	თანხა ათასი ლარი
01 01 01	საკრებულო	71.5
01 01 02	მერია	78.0
01 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება	900.0
02 01 01	გზების მშენებლობა	500.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა	150.0
02 01 03	საგზაო ნიშნების და უსაფრთხოება	220.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	250.0
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა	200.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	200,0
02 07 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა(მათ შორის მწვანე ბიუჯეტი 100.0 ათ.ლარი)	100,0
02 07 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შექმნა	392,5
02 09	რგვ-დან მგვ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	670,0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	100,0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	302,0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1000.0

03 02	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა	65,0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	11,0
03 05	პარკების,სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	100,0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	50,0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	50,0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	200,0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	20,0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	100,0
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	200,0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	30,0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	50,0
	სულ	6015,0

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ გიგა ფარულავას

ინფორმაცია

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების თაობაზე

ბატონო გიგა,

თქვენი 2022 წლის 25 ნოემბრის N25-25223291 მომართვის საფუძველზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ სამსახურებისა და მხარჯავი სუბიექტების მონაწილეობით დეტალურად განიხილა მუნიციპალიტეტის საკრებულოში 17-24 ნოემბერს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და „ღია კარის“ დღეზე მოქალაქეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, ასევე ადრე მერიაში ბიუჯეტის პროექტზე შემოსული წინადადებები და შენიშვნები.

წინადადებათა და შენიშვნების გათვალისწინებით პროგრამების მიხედვით თანხების გადანაწილებასთან ერთად შესაძლებლობა მოგვცა მუნიციპალიტეტისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფამ კონკრეტულად:

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 6 დეკემბრის N04-03/110920 წერილით მოგვეწოდა ახალი გადიდებული პარამეტრები დამატებითი ღირებულების გადასახადში 2023 წლისათვის თანხით 37833.3 ათასი ლარის მოცულობით რაც პროექტის პირვანდელი ვარიანტით გათვალისწინებულ თანხას 1382.2 ათასი ლარით აღემატება.

ასევე გაზრდილია დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 2024 წლისათვის 1498.3 ლარით 2025 წლისათვის 1624.1 ლარით და 2026 წლისათვის 1800.1 ლარით.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შედეგად, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

შემოსულობის ნაწილში:

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები თანხების საპროგნოზო მაჩვენებელი გადასინჯულ იქნა (ფრაქცია ქართული ოცნების, ფრაქცია ზუგდიდი საქართველოსთვის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შენიშვნა-წინადადებები არარეალისტურ

შემოსულობაზე) და ის ახალი ვერსიით განისაზღვრა **3700.0** ათასი ლარის ოდენობით პროექტით ადრე გათვალისწინებული **5000.0** ათასი ლარისა, ანუ შემცირდა 1300.0 ათასი ლარით. დღგ-ს გადასახადის 1000.0 ათასი ლარით და მიწის საიჯარო გადასახადის 300.0 ათასი ლარით გადიდების ხარჯზე. (რამდენადაც მერიას გათვალისწინებული აქვს გამოაცხადოს აუქციონი საპარკინგო მომსახურების შესყიდვის განსახორციელებლად მიწის იჯარით გაცემაზე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და ურბანული კომისიის წინადადება) და მისი მოცულობა განისაზღვრა პროექტით 700.0 ათასი ლარით, ნაცვლად ადრე გათვალისწინებული 400.0 ათასი ლარისა.

დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის გადიდების დარჩენილი თანხა 382.2 ათასი ლარი გადასახდელების გადანაწილებასთან ერთად მიიმართა მიზანშეწონილ წინადადებათა გასათვალისწინებლად.

გადასახდელების ნაწლში პროექტის ახალი ვერსიით:

1. 382.0 ათასი ლარით შემცირდა შპს მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირებაზე გამოყოფილი თანხა და იგი ნაცვლად პროექტის პირველი ვარიანტით გათვალისწინებული **2732.0** ათასი ლარისა, განისაზღვრა **2350.0** ათასი ლარით, რითაც გათვალისწინებულ იქნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქცია „ზუგდიდი ერთიანი საქართველოსთვის“, ფრაქცია ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს წინადადებები.

აქვე შევნიშვნათ, რომ მუნიციპალიტეტის მერიას გათვალისწინებული აქვს მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ქმედითი ღონისძიებების გატარება, სამართლებრივი ფორმის შესაბამისად საკუთარი შემოსავლების არსებითად გადიდების უზრუნველსაყოფად და ხარჯების შესაძლო შემცირების გასატარებლად.

შპს მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობისთვის გამოთავისუფლებული 382.0 ათასი ლარი და ბიუჯეტის პროექტის მოცულობის ზრდის საერთო თანხიდან (382.0 ათასი ლარი) 764.0 ათასი ლარიდან პროექტის პირველი ვარიანტის დამატებით, 529.2 ათასი ლარი მიიმართა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამისთვის, სკოლამდელ დაწესებულებებში /ბაღებში/ მომუშავე პერსონალის ხელფასის განაკვეთების ფიქსირებული თანხით **100** ლარით მატების უზრუნველსაყოფად და კვების ხარჯებისათვის.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე მთლიანობაში სკოლამდელ დაწესებულებათა სუბსიდირება პროექტით განისაზღვრა **8277.2** ათასი ლარის ოდენობით, ანუ მატებამ მიმდინარე წლის საწყის ბიუჯეტთან მიმართებაში შეადგინა **1777.2** ათასი ლარი. რითაც გათვალისწინებულია ფრაქციებისა და კომისიის დამატებითი წინადადებები.

100.0 ათასი ლარი პროექტით მიიმართა ცალკეული ფრაქციების და მოქალაქეების მიერ დაყენებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯებისათვის და განისაზღვრა იგი 402.0 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად პროექტის პირველადი ვერსიით წარმოდგენილი 300.0 ათასი ლარისა. აქვე შევნიშნავთ რომ ინფრასტრუქტურის დარგით შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციების მიხედვით, რიგი პროექტების განხორციელება მოხდება დამატებით მოძიებული წყაროებიდან ან საშუალოვადიან გეგმით გათვალისწინებულ წლებში.

50.0 ათასი ლარით შემცირდა საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის დელეგირებული თანხების ზევით საკუთრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა და წინადადებათა საფუძველზე გათვალისწინებული იქნა ქუჩების მიმანიშნებელი აბრების დამზადებისა და განთავსების პროგრამისათვის, გამონთავისუფლებული **50.0** ათასი ლარი დაემატა მუნიციპალური აქტივების შექმნა-კეთილმოწყობის პროგრამას და განისაზღვრა 392.5 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად პირვანდელ პროექტით გათვალისწინებული 341.6 ათასი ლარისა.

100.0 ათასი ლარით, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის, ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის წინადადებათა გათვალისწინებით, შემცირდა მერიის აპარატის შესანახი ხარჯების კონკრეტულად მოხდა ძირითადად საწვავის თანხის, ბენზინისა და დიზელის საწვავის რაოდენობის შემცირება 30 000 ლიტრით, მათ შორის ბენზინი პრემიუმი 12 000 ლიტრით, დიზელის 18 000 ლიტრით) და ბიუჯეტის გადიდებით 50.0 ათასი ლარით სულ 150.0 ათასი ლარი მიიმართა წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე და აღნიშნული პროგრამა ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტით განსაზღვრული იქნა **450.0** ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად გათვალისწინებული 300.0 ათასი ლარისა.

2. **10.0** ათასი ლარით, ფრაქცია ზუგდიდი ერთიანი საქართველოსთვის წინადადებით, შემცირდა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამის ქვეპროგრამა - „**მერძევეობის დარგის** მოდერნიზაციისათვის“, რამდენადაც შესაბამისი პროგრამის განხორციელება შესაძლებელია შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პროექტის გამოყენებით.

ზემოაღნიშნული 10.0 ათასი ლარი და ბიუჯეტის პროექტის გადიდებიდან დარჩენილი თანხა 40.0 ათასი ლარი, სულ 50.0 ათასი ლარი გათვალისწინებულ იქნა სამეჯლისო ცეკვების ფესტივალის დასაფუძნებლად მოსწავლე ახალგაზრდობის სუბსიდირების თანხების დამატებით.

ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ცალკეული დარგების მიხედვით შემოსული წინადადებები და შენიშვნები რეაგირებულია შემდეგი სახით:

ინფრასტრუქტურის დარგით

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სამოქალაქო საბჭოს მიერ ქალაქად და სოფლად არსებული პრობლემების საჭიროებათა კვლევის შედეგად ინფრასტრუქტურის კუთხით წარმოდგენილ წინადადებებზე გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

ა) მუნიციპალიტეტს დაფინანსების მოპოვების მიზნით საკითხი დაყენებული აქვს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინაშე შემდეგი პროექტების განსახორციელებლად: ქალაქ ზუგდიდში გზაზე მეფის, ტოლსტოის, პავლე ინგოროყვას, ქუთაისის, თედო სახოკიას, ხეივნის ქუჩებზე გზის საფარის მოასფალტებაზე, ხოლო შ. ქირიას და ჯიქია ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციასა და სანიაღვრე არხების მოწყობაზე.

ბ) მიმდინარეობს კომუნიკაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან დაფინანსების მოპოვების მიზნით: ანაკლიაში დგებუადის ქუჩაზე გზის საფარის დარჩენილი ნაწილის მოასფალტების, ჯიხაშკარში სამარლიოს უბანში გზაზე ბეტონის საფარის დაგების, სანიაღვრე არხების მოწყობის და გარე განათების სისტემის მონტაჟისათვის, უჩაშონაში ქ. ზუგდიდამდე გორკის ქუჩასთან დამაკავშირებელი გზის საფარის მოასფალტების, ხურჩის ადმინისტრაციულ ერთეულში კოკი-ორსანტია ხურჩას დამაკავშირებელ გზაზე გარე განათების სისტემის მოწყობის, ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში კონსტანტინე გამსახურდიასა და ზვიად გამსახურდიას ქუჩებზე გზის საფარის, სამუშაოების განსახორციელებლად.

გ) ქ. ზუგდიდში ლაზის ქუჩაზე საფეხბურთო მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით.

დ) აბასთუმანში შინმოუსვლელთა მემორიალის კეთილმოწყობა უკვე ხორციელდება 2022 წლის სოფლის პროგრამის ფარგლებში.

ე) ახალსოფელი - ზუგდიდის დამაკავშირებელი გზის ხიდის აღდგენით სამუშაოებზე ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

ვ) ურთაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის თაობაზე საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას გამოცხადებული აქვს ტენდერი ურთა-ცაიში-ცაცხვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე.

ზ) გათვალისწინებულია ცაიშში შიდა გზების სარემონტო სამუშაოების და განხორციელება ურთაში შიდა გზების გრუნტის საფარის რეაბილიტაცია განხორციელება.

მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრმა მურმან ნაჭყებამ დასვა რიგი საკითხები მათ შორის: ა) სოფლებში (კონკრეტულად კოკისა და ორსანტიის ადმინისტრაციული ერთეულები) აუცილებელია გარე განათების მოწესრიგება.

სოფლებში გარე განათების მოგვარების საკითხი, ძირითადად თვით სოფლის მოსახლეობის გადასაწყვეტია. ამის საშუალებას იძლევა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამი“- ს ფარგლებში რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან მიღებული თანხები, რომლებიც ყოველწლიურად გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ) მუნიციპალიტეტის ქვედა ზონის სოფლების კოკი, ორსანტია, დარჩელი, ორული, ერგეტა და სხვა მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით მომარაგების თაობაზე, რამდენადაც ამჟამად მარაგდებიან ზედაპირული წყლით, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავს.

ამჟამად მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების პროგრამებით შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიი“-ს მიერ მოწყობილი წყალმომარაგების სისტემით წყალი მიეწოდება ანაკლიისა და განმუხურის ადმინისტრაციული ერთეულების და ქალაქის მოსახლეობას. ამჟამად მიმდინარეობს ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, საშუალოვადიან პერიოდში ეტაპობრივად მოხდება საკითხის დასმა წყალმომარაგების კომპანიის მეშვეობით დასავლეთის ზონის სოფლების წყალმომარაგების განსახორციელებლად.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინადადებები:

- გარე-განათების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამაში არაფინანსური აქტივების ზრდის მიმართულებით გათვალისწინებულია 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი, რომელიც განკუთვნილია ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. „მეფრინველეობის ფაბრიკის“ დასახლებაში გარე-განათების სისტემის მოწყობისათვის. ბიუჯეტის პროექტით წყლის სისტემების განვითარებაზე გამოყოფილი 400 000 ლარიდან 200 000 ლარი გათვალისწინებულია წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე, ხოლო 200 000 ლარი სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე. კონკრეტული ობიექტების ჩამონათვალი მითითებულია 2023 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში;

- რეგიონული ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების მუხლით გათვალისწინებული თანხები ძირითადად განკუთვნილია 2022 წელს განსახორციელებელი პროექტებისათვის შესყიდული მრავალწლიანი შესყიდვით რომლის მეორე ეტაპის სამუშაოები სრულდება 2023 წელს;

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“- ს წინადადებები:

- რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზის გარე-განათების სამუშაოების შესასრულებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით;

- ლერმონტოვისა და ცაბაძის ქუჩებზე სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით;

- ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ჯუმზე დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერი გამოცხადდება უახლოეს მომავალში;

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ურბანული განვითარების კომისიის წინადადება თანხვედრაშია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ, მუნიციპალიტეტის სოფლების გზებზე პრობლემური აღმართების რეაბილიტაციისთვის (მობეტონება/მოასფალტება) აუცილებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადებასთან. მომზადებული პროექტები წარდგენილ იქნება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში დაფინანსების მოპოვების მიზნით;

ფრაქცია „ზუგდიდი ერთიანი საქართველოსთვის“ წინადადებები:

- ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯუმი-ახალსოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (ცაბადის, ყაზბეგის და ჯიქიას ქუჩები) სარეაბილიტაციო სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს 2 290 538.81 (ორი მილიონ ორას ოთხმოცდაათი ათას ხუთას ოცდათვრამეტი ლარი და 81 თეთრი) ლარს. პროექტის მაღალი ღირებულების გამო აღნიშნული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ განხორციელდება, მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან დაფინანსების მოპოვების მიზნით.
- ქ. ზუგდიდში ტოლსტოის ქუჩის I ჩიხის პარალელურად, მდ. კუჩხობონის ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება გათვალისწინებულ იქნება 2023 წლის ბიუჯეტში;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში დაზიანებული გარე-განათების აღდგენისა და სანიაღვრე არხების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით, ცაიშის ცენტრალურ მაგისტრალზე, ჭითაწყარის საზღვრამდე სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით, რაზედაც არის მოსახლეობის პეტიცია.

წინადადება ა(ა)იპ ზუგდიდდასუფთავების სუბსიდიის შემცირებაზე 100.0 ათასი ლარით, ვერ ხორციელდება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1. მიუხედავად, საშტატო რიცხოვნების 47 ერთეულით შემცირებისა, ამ ეტაპზე აღნიშნული ცენტრში დასაქმებული 498 მუშაკის ხელფასების გაზრდა 10 %-ით იწვევს ჯამში 372.4 ათასი ლარით შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდას.
2. 2023 წლიდან ზუგდიდდასუფთავების ცენტრში გათვალისწინებულია დაიწყოს ქაღალდის, მუყაოს, პლასტიკატის, მინის და მეტალის დახარისხებული (სეპარირებული) შეგროვება და მიღებული მასალების რეციკლირება. მუნიციპალიტეტს აღებული აქვს ვალდებულება დანერგოს და ოპერირება გაუწიოს ნარჩენების სეპარირების საპილოტე პროგრამას, რომლის საინვესტიციო ღირებულებაც 104.4 ათასი ლარი ასევე მერიის აქვს ვალდებულება ამ პროგრამის

დასაფინანსებლად გამოყოს საოპერაციო ხარჯები 340.0 ათას ლარამდე, რაც არის ბიუჯეტში გათვალისწინებული.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დასუფთავების ცენტრი აყენებს საკითხს შემცირების ნაცვლად, 2023 წლისთვის მერიაში წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებული თანხის აღდგენას 6687.9 ათასი ლარის ოდენობით, მაშინ როდესაც ამავე ცენტრისთვის სუბსიდიის მოცულობა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით მერიის მიერ საპროექტო განაცხადი უკვე შემცირებულია 988.0 ათასი ლარით და განსაზღვრულია 5700.0 ათასი ლარის ფარგლებში.

რამდენადაც ხსენებული ცენტრისათვის განაცხადით მოთხოვილი სუბსიდიის თანხის აღდგენის შესაძლებლობა არ არსებობს ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის საშემასოვლო ბაზის გათვალისწინებით. მერიას მიაჩნია, რომ ცენტრმა პროგრამის განხორციელებისათვის დამატებითი თანხის გამონახვა უნდა უზრუნველყოს ადმინისტრაციული შტატების და ხარჯების დამატებით გამონთავისუფლების და საკუთარი შემოსავლების გადიდების გზით.

საკრებულოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შენიშვნა რომელიც ამავე ფრაქციის პოზიციიდან გამომდინარე, ეხება კეთილმოწყობის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით საშტატო განრიგების გადახედვას, საშტატო რიცხოვნობისა და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებით 100.0 ათასი ლარის დაზოგვას, აღნიშნულ საკითხზე რეაგირების კუთხით მერიას გააჩნია შემდეგი არგუმენტები და მოსაზრებები კერძოდ:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მოიცავს 52 ერთეულს და ა(ა)იპ კეთილმოწყობის ცენტრმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული ობიექტების (მუნიციპალური ქონების) მოვლა პატრონობა, ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია და ტერიტორიული სეგმენტების კეთილმოწყობა. ცენტრის მრავალმხრივი ფუნქციების, კომპეტენციების, მიზნებისა და ამოცანების განხორციელება მოითხოვს ამ სტრუქტურულ დანაყოფში საჭიროებისამებრ მრავალრიცხოვანი ტექნიკურ-საინჟინრო, საშუალო და დაბალი რგოლის, ადმინისტრაციული დარგის მუშაკების დასაქმებას. ამ პერიოდისთვის არსებული მოცემულობიდან გამომდინარე ცენტრის პერსონალის რაოდენობა საშტატო ნუსხით თანხვედრაშია მისი, როგორც იურიდიულ პირის მიერ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობასთან, დაკისრებული ამოცანების (მიზნების) სრულყოფილად განხორციელებასთან. ამდენად, მიმდინარე ეტაპზე ცენტრის საშტატო განრიგის და ნუსხის, ასევე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ცენტრისთვის განსაზღვრული თანხის 100.0 ათასი ლარით შემცირების მიზნით გადასინჯვა, მერიის პოზიციიდან გამომდინარე, ვერ იქნება ოპტიმალური გადაწყვეტილება და ის ცენტრის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გახდება. მითუმეტეს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ცენტრის მიერ მომავალი წლისთვის საბიუჯეტო

განაცხადით წარმოდგენილი სუბსიდიის თანხა, ფულადი რესურსების შეზღუდულობის გამო, ამასთან 2023 წლის პროექტით განისაზღვრა წარმოდგენილ განაცხადზე თითქმის 250.0 ათასი ლარით ნაკლები და ის არ აღემატება 4608.0 ათას ლარს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მერია არ ინტერესდება ამ საკითხით, პირიქით, ეს მის ინტერესებშიც შედის და ახლო მომავალში იგი დაუბრუნდება ცენტრში ოპტიმიზაციის განხორციელების და მასთან დაკავშირებით წამოჭრილი აქტუალური პრობლემის მოგვარების თემას.

საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წინადადება, რომელიც ეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანადაფინანსებით პროექტების განხორციელებას, მერიის მიერ გათვალისწინებული იქნება წარმოდგენილი წინადადება და მომავალში მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების განხილვასას უპირატესობა მიენიჭება ენერგოეფექტურ მიდგომებზე დაფუძნებული პროექტების დაფინანსებას.

აგრეთვე ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წინადადება-რეკომენდაცია, რომელიც ეხება ადგილობრივი სერვისების მუნიციპალური ოპერირების სივრციდან გატანას, მერიას მოაზრებული აქვს ახლო პერიოდში განიხილოს აღნიშნული საკითხის მიზანშეწონილობა და სათანადო არგუმენტებისა და საფუძვლების გამოკვეთის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გარე განათების სისტემის სრული ოპერირება, რომელიც მოიცავს ამ სისტემის ექსპლოატაციას, მოვლა-შენახვას, ტექნიკური მდგომარეობის დადგენას და გამართვას გადასცეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ტენდერში გამარჯვებულ სუბიექტს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთი ჩემი“-ს წინადადება

- ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამარ მეფის ქუჩის მონაკვეთზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტში;
- მოქალაქე ლიკა ზარანდიას, ასევე ფრაქცია ერთიანი საქართველოსათვის წინადადების - ცხოველთა დაცვის ღონისძიების შესახებ, განსახორციელებლად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შესყიდულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მიუსაფარ ძაღლთა თავშესაფრის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ფონდებთან დაფინანსების მოპოვების მიზნით;
- პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წინადადება ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ბ. სორდიას ქუჩაზე გრუნტის ღია სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებს განახორციელებს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრი;

- საკრებულოში „ღია კარის დღეზე“ არასამთავრობო ორგანიზაცია - „აფხაზეთი ჩემი“ თავმჯდომარე ხათუნა გოგიას წინადადების თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწესრიგების მიზნით დაზიანებული მონაკვეთის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, შემდგომი სამუშაოს განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით.
- სათემო ფონდი ნეფას წინადადებები საქართველოს წყალმომარაგების კომპანიას დაგეგმილი აქვს ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ცენტრალური სისტემის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. შიდა გზების გრუნტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით.

ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი ვარიანტით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შემენის ხარჯებისთვის გათვალისწინებული 341.6 ათასი ლარის მიხედვით განსახორციელებელი პროექტების ჩაშლას ითხოვდა ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ფრაქცია ერთიანი საქართველოსათვის.

აღნიშნულ თანხას წინადადების საფუძველზე დაემატა ქუჩების მანიშნებელი აბრებისთვის გათვალისწინებული თანხა 50.0 ათასი ლარი და მთლიანობაში 391.6 ათასი ლარი გათვალისწინებულია შემდეგი პროექტებისათვის:

1. 65.0 ათასი ლარი საზღვრისპირა სოფლების კოკის, ორსანტის, ანაკლიის ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია-აღჭურვისათვის (არასამთავრობო ორგანიზაცია ნეოგენის დირექტორის ცირა კაკუბავას წინადადება).
2. 50.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია (ეკონომიკის, ქონების მართვის და ურბანული კომისიის წინადადება), ქალაქის ტერიტორიის 52-მდე ქუჩასა და გადასახვევში განსათავსებელი ორმხრივი დიდ აბრების მოწყობაზე ქუჩის სახელის და მიმართულების ჩვენებით.
3. 276.6 ათასი ლარი გათვალისწინებულია მოხმარდეს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის, ცაცხვის, ტყაიას, შამგონის, ჩხოუმის და ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა სამუშაო ფართების სარემონტო სამუშაოებს.

სოციალური და ჯანდაცვის სფეროში

საკრებულოს ფრაქციების ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ზუგდიდი საქართველოსთვის, ქართული ოცნების, საკრებულოს კომისიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, შეზღუდულ პირთა ასოციაცია დეას, გენდერული ასოციაცია „ილის“, აგრეთვე „ღია კარის დღეზე“ დაყენებული წინადადებების, ასევე მერიის მიერ ასევე მერის

მიერ ჩატარებული კვლევების და პროგრამების გადასინჯვით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებში პროექტით წარმოდგენილია შემდეგი სიახლეები.

- სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით- გაიზარდა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსება 270.0 ათასი ლარიდან 360.0 ათას ლარამდე.
- სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობა გახდება 300 სოციალურად დაუცველი ადამიანი.
- სადღესასწაულო დღეებისთვის დაფინანსება თანხა გაიზარდა 20 000 ლარით.
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს ტრასპორტირების თანხა გაეზარდათ 50 ლარით (შესაბამისი პროგრამის ასიგნება გაიზარდება 60 000 - ლარით).
- უსახლკარო პირების ქირით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს ქირის თანხის დახმარება გაეზარდათ 100 დან 200 ლარამდე.
- „ქალთა ოთახს“ ექნება საკუთარი ბიუჯეტი 5 000 ლარი.
- 100 წელს გადაცილებული პირების ფინანსური მხარდაჭერა გაორმაგდა და გახდა 1 000 ლარი.
- შშმ პირთა სოციალური დაცვის პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 24 000 ლარით და გახდა 244 000 ლარი.
- ამოქმედდება ახალი პროგრამა თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა.
- საცხოვრისის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 910.0 ათასი ლარი.
- გაზიფიკაციის პროგრამაში ჩაერთვებიან 57 000მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებიც.
- ჯანდაცვის კუთხით-მუნიციპალური დაფინანსებით აბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა მიმდინარე წლის დასაწყისში გათვალისწინებული 70 ბენეფიციარიდან 2023 წლისათვის 115 ბენეფიციარამდე.
- შშმ პირებს რეაბილიტაცია დაუფინანსდებათ 500 ლარით (სოციალური სტატუსის მიუხედავად).
- კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებულ ნაოპერაციევ 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებს დაუფინანსდებათ დამხმარე საშუალებებიც თითოეულს 600 ლარამდე.
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამას დაემატა ახალი ქვეპროგრამა-უცხო ენების კურსის დაფინანსება.
- მშობელთა უნარების გაძლიერებისა და მათი მხარდამჭერთა წრის გაფართოებისთვის ბავშვის უფლებების დაცვის მიზნით, ჩატარდება საინფორმაციო კამპანია “ვფოკუსირდეთ შესაძლებლობებზე“.

სოციალური და გენდერის კომისიის წინადადებები:

ა) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საკრებულოს იურიდიული, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებული საბიუჯეტო ინიციატივა, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ, ზუგდიდში მაცხოვრებელ პირთა ყოველთვიურ დახმარებასთან დაკავშირებით რეაგირებულია და 2023 წლის პროექტით გათვალისწინებულია ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით ფინანსური დახმარების გამოყოფა.

ბ) გათვალისწინებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე სპორტდარბაზში გენდერულად მემობიარე ინფრასტრუქტურის შექმნისათვის.

გ) გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის არსებული პანდუსების ადაპტაციის და ახალი პანდუსების მოწყობის, ასევე აგრარული ბაზრის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელში შშმ პირების თავისუფალი გადაადგილების მიზნით სპეციალური ლიფტის დამონტაჟებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და ბავშვთა ასოციაცია „დეას“ მიერ წარმოდგენილი წინადადება შშმ პირთა საბჭოს საქმიანობის შესახებ გათვალისწინებული იქნება მომავალი წლიდან, კონკრეტულად საბჭოს შემადგენლობის და საქმიანობის გაფართოებაზე, რათა სრულყოფილად იქნეს მიღებული ინფორმაცია და შესაძლოდ სწრაფად მოხდეს რეაგირება საჭიროებებზე.

მუნიციპალიტეტს გააჩნია ბაზა მოწყვლად ჯგუფებზე, მაგრამ უზრუნველყოფილი იქნება სრულყოფილი ბაზის შექმნა შეზღუდვის ტიპის და სტატუსის მიხედვით. რათა გაკეთდეს პრიორიტეტიზაცია გადაუდებელ საჭიროებებზე. უსინათლო ადამიანების საბიუჯეტო პროცესში ჩართვისათვის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ მომზადდება აუდიო მიმოხილვა ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამის მიხედვით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო პროექტის აუდიო მიმოხილვები.

ასევე ასოციაცია „დეას“ წინადადება უსინათლო ადამიანების დამოუკიდებელი გადაადგილების მიზნით რეაგირებულია შესაბამისი პროგრამით და ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე უსინათლო პირების დამოუკიდებელი გადაადგილებასთან დაკავშირებით 3 შუქნიშნის რეაბილიტაციას და დაემატება ხმოვანი შუქნიშნის ფუნქციები. რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ხმოვანი გახდება შუქნიშნები შემდეგ მონაკვეთებზე:

- რუსთაველისა და მეუნარგიას ქუჩების კვეთაზე;
- რუსთაველისა და მერაბ კოსტავას ქუჩების კვეთაზე;

კ. გამსახურდიას და თაბუკაშვილის ქუჩების კვეთაზე;

დ) მერის სამოქალაქო საბჭოს წევრმა ხათუნა ბეჭვაიამ, ასევე ნაციონალურმა მოძრაობამ წამოაყენა წინადადება, რომ აუცილებელია გაიზარდოს ბავშვთა რეაბილიტაციის თანხა. აბილიტაციის პროგრამის განსახორციელებლად პროექტით გათვალისწინებული თანხა 2023 წელს შეადგენს 498960 ლარს -110 ბენეფიციარზე

თვიურად 378 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს მთელი ჯანდაცვის პროგრამისათვის პროექტით გათვალისწინებული 1/3-ს, მაშინ როცა გარდა ამ მიმართულებისა მერია ახორციელებს ჯანდაცვის 11 სხვა ქვეპროგრამას. ამასთან ზემოხსენებული სამიზნე ჯგუფისთვის კიდევ დამატებითი რესურსის გამოყოფა რისკის ქვეშ აყენებს მოქმედი პროგრამების ოპერირების შესაძლებლობას.

განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, ფრაქცია ზუგდიდი საქართველოსათვის, ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა- ერთიანი საქართველოსათვის, ფრაქცია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს წინადადებები სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის ზრდაზე, მათ შორის საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა ხელფასის განაკვეთის უპირატესად ზრდის საკითხზე გათვალისწინებულია ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი. ამ მიზნით შესაბამისი სუბსიდირების პროგრამა გაიზარდა 380.0 ათასი ლარით, აქედან ქსელში დასაქმებულ მუშაკთა სახელფასო განაკვეთის ზრდაზე მიიმართა 300.0 ათასი ლარი, 80.0 ათასი ლარი კვების ხარჯებზე.

აღსანიშნავია რომ, **50.0** ათასი ლარი ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის წინადადებით, გათვალისწინებულია - სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებში - ბავშვთა სათამაშოების შესაძენად.

ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დაყენებული საკითხებიდან მომავალ 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით გათვალისწინებულია ქალაქ ზუგდიდის მეხუთე და მერვე, ასევე ქვემო კახათის, ოდიშისა და ერგეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა.

ინგირის საბავშვო ბაღი „წითელქუდას“ შენობის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად დაქირავებულ ფართშია, არასამთავრობო ორგანიზაცია - „აფხაზეთი ჩემი“ წინადადებიდან გამომდინარე, საკითხი იხილება ინგირში განთავსებული N2 საბავშვო ბაღის ტიპიური შენობიდან დევნილების გაყვანის შესახებ, რის შემდგომ შესაძლებელი იქნება გამოთავისუფლებულ ფართში ბაღი „წითელქუდას“ განთავსება სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნულზე საკითხი დასმულია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინაშე მერის შუამდგომლობით.

- ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის რეკომენდაცია ბაღებში ჩასახლებული დევნილების გაყვანაზე სრულდება ეტაპობრივად. ბოლო წლებში 10 ბაღიდან იქნა უზრუნველყოფილი დევნილების გაყვანა. დევნილები კვლავ იმყოფებიან 8 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში, რომელთა გადაყვანა - განთავსება იგეგმება საშუალოვადიან პერიოდში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობის ქვედა სართულზე ნახევარსარდაფის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

მომზადებულია. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების შეზღუდულობის გამო აღნიშნული პროექტი საკუთარი თანხებით ვერ განხორციელდება, მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან დაფინანსების მოპოვების მიზნით.

მერის მრჩეველთა საბჭოს წევრმა კახა ფარცვანიამ გამოთქვა შენიშვნა, რომ ცოტაა ზუგდიდის შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული თანხა 30.0 ათასი ლარი. მერია შეეცდება, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის ხელშეწყობისათვის, მომდევნო საბიუჯეტო წლებში ეტაპობრივად გაზარდოს თანხების გამოყოფა. ამასთან მერია უნივერსიტეტთან ერთად ითანამშრომლებს საერთაშორისო დონორებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელებაზე.

საკრებულოს განათლების, კულტურის, გენდერულ და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ მუზეუმების განყოფილებაში არსებული ზვიად გამსახურდიას სახელობის მუზეუმის და სპორტის მუზეუმის განთავსებას მათთვის შესაფერის ფართზე, დაგეგმილი აქვს ქ. ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას სახელობის ბიბლიოთეკის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, რომელიც ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს 2024 წლის პირველ ნახევარში, მათი განთავსება ამ ახალ აშენებული თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ბიბლიოთეკის შენობაში.

მრჩეველთა საბჭოს წევრმა მურმან ნაჭყებამ, დასვა საკითხი რომ ზუგდიდში, როგორც მის მშობლიურ ქალაქში უნდა დაიდგას გენიალური მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის ბიუსტი.

მერია, რათქმაუნდა ეთანხმება და ყოველმხრივ მხარს უჭერს აღნიშნულ წინადადებას და მუნიციპალიტეტის 2024-2026 წლების საშუალოვადიანი გეგმის ფარგლებში განხილული იქნება ტექნიკური კუთხით მისი მოგვარების და ფინანსური წყაროს მოძიების საკითხი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის მიერ დაყენებულ იქნა წინადადება რელიგიის ხელშეწყობის მხარდაჭერისათვის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული 135.0 ათასი ლარის გაუქმების (ანულირების) შესახებ, ასევე ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წინადადება რელიგიის თანხის 35.0 ათასი ლარით შემცირების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მერია არ იზიარებს წინადადებას რელიგიის ხელშეწყობის მიზნით ბიუჯეტის პროექტში ასახული თანხის (135.0 ათასი ლარი) გაუქმების და შემცირების შესახებ, რადგან ეს არ პასუხობს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ზუგდიდი-ცაიშის ეპარქიის წინაშე მდგარ გამოწვევებს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მყარი მოტივი მდგომარეობს იმაში, რომ ზუგდიდი წარმოადგენს დინამიკაში მნიშვნელოვნად მზარდ რელიგიური ტურიზმის განვითარების ცენტრს და ის სულ უფრო

საერთაშორისო ხასიათს იძენს. ყოველწლიურად სახალხო-რელიგიურ დღესასწაულზე - „ვლადიმერობა“ საქართველოს ყველა კუთხიდან და უკვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან მორწმუნე რელიგიური საზოგადოებები, უცხოელი ტურისტები. შესაბამისად ზემოთ მითითებული ეპარქიის წინაშე დგას სხვადასხვა გამოწვევები და მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ზუგდიდის ივერიის ყოვლწმინდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის უმოკლეს პერიოდში დასრულება, სადაც ტრადიციულად ყოველი წლის 15 ივლისს დაბრძანებულია ღვთისმშობლის სამოსელი და სხვა ქრისტიანული სიწმინდეები. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ტაძრის მშენებლობის დინამიკური ტემპით განხორციელებისათვის ფინანსური წყაროებით უზრუნველყოფა. მით უმეტეს იმ მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით, რომ საკუთრივ ფართო საზოგადოებაში განსაკუთრებულად მაღალია ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით პოზიტიური განწყობა, რაც დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ საჯარო შეხვედრებზე, სოფლების და მუნიციპალიტეტის დასახლებების კრებებზე ყოველთვის ერთ-ერთი პრიორიტეტულია ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღდგენა.

ამდენად მერია თვლის, რომ 2023 წლის პროექტით განსაზღვრული 135.0 ათასი ლარი ის მიზერული თანხაა, რომლის გამოყოფა გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უმრავლესობის სურვილისა და ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან მერია განიხილავს სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ხელშეწყობას წინადადებათა დაყენების შემთხვევაში.

- ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, გენდერული და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წინადადება სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრში მწვრთნელებზე ხელფასის უპირატესად ზრდაზე გათვალისწინებულია.
- სპორტის ცენტრის 2023 წლის პროგრამულ ბიუჯეტში შესაბამისი რესურსი გათვალისწინებული იქნება და ის აისახება ანდრია დადიანის საჭადრაკო ტურნის დაფუძნებასა და ყოველწლიურად ჩატარებაში.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბ „ხარებასთვის“ განსაზღვრული 100.0 ათასი ლარის მთლიანად შემცირებას, ვინაიდან ფრაქციის პოზიციის მიხედვით ბიუჯეტი არ არის ვალდებული აფინანსებდეს, კერძო სტრუქტურას (ბიზნესს), თუნდაც პრიორიტეტულს, ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ მოთხოვნა, რომ საცხენოსნო კლუბ ხარებას ბიუჯეტის

პროექტით განსაზღვრული 100.0 ათასი ლარი შეუმცირდეს 20.0 ათასი ლარით და ის დაყვანილ იქნეს 80.0 ათას ლარამდე, მერიის პოზიცია მდგომარეობს შემდეგში კერძოდ:

საცხენოსნო სპორტი ის სახეობაა, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია სპორტული ხელოვნებისა და ფიზიკური წრთობის ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ სახეობებთან როგორცაა დოდი, ცხენოსნური თამაშები, ყაზახი, ისინდი, ჯირითი და სხვა, რომელსაც ადგილზე უძღვება სპორტული კლუბი „ხარება“. აღნიშნული კლუბი თავისი სტატუსიდან და საქმიანობიდან გამომდინარე არაკომერციული, არასამეწარმეო სტრუქტურაა და იგი არ არის მოგებაზე ორიენტირებული კერძო ბიზნესი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული კლუბი სისტემატურად აღწევს თვალსაჩინო წარმატებებს ცხენოსნობის ეროვნულ-ტრადიციულ და კლასიკურ სახეობებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. კლუბი „ხარება“ საქართველოს 2022 წლის მოქმედი ჩემპიონია. ამავე წელს მოიპოვა გამარჯვებები: „საქართველოს დერბი2022“, „ზუგდიდის თასი2022“, „საქართველოს თასი 2022“, „სამტრედიის დიდი თასი 2022“, „აფხაზეთის თასი“, „ბახმაროს თასი 2022“, „ჩოხატაურის თასი 2022“, „აბაშის თასი2022“, ბათუმის თასი 2022“, „დოდი ბარიერების გადალახვაში“.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მერიას მიაჩნია, რომ რელევანტურია კლუბ „ხარებას“ 2023 საბიუჯეტო წლის დაფინანსება განისაზღვროს 100.0 ათასი ლარის ოდენობით და მუნიციპალიტეტს შეუნარჩუნოს სპორტის ეს უმნიშვნელოვანესი სახეობა.

ამასთან, კლუბ ხარებასთან მემორანდუმი გაფორმდება სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ახალგაზრდობის ჩართვის და მობილობის გათვალისწინებით.

ახალგაზრდული სივრცეების შექმნასა და ცნობიერების ამაღლებაზე, ღია კარის დღეზე მოქალაქე ღიზა ფარცვანიას წინადადებების თანხვედრაში იგეგმება 10 სასოფლო ბიბლიოთეკის ახალგაზრდულ სივრცეებად გარდაქმნა: რუხის, ჭკადუაშის, დარჩელის, ახალკახათის, ორულუს, ახალაბასთუმანის, ყულიშკარის, ჯიხაშკარის, ახალსოფელის ადმინისტრაციულ ერთეულებში. ასევე 2023 წლისთვის იგეგმება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადმინისტრაციულ ერთეულებში საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდული სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

სკოლის თვითმმართველობების მიერ შემოტანილი საგანმანათლებლო მცირე პროექტების დაფინანსების მიზნით საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამისათვის დამატებით გათვალისწინებულია 10 000 ლარი.

საკრებულოს დარგობრივი ეკონომიკის და ურბანული განვითარების კომისიის, ფრაქცია „ზუგდიდი საქართველოსათვის“ წინადადებებზე და „ღია კარის დღეზე“ დაყენებულ საკითხებზე გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების და მასზე დამაგრებული ქონების), შენობა ნაგებობების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემაზე საკითხი დაყენებულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე და მიმდინარეობს მუშაობა.

2. არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით პროგნოზირებული შემოსავლების შემცირება გათვალისწინებულია 1300.0 ათასი ლარით, 1000.0 ათასი ლარის დღგს გადიდების და საპარკინგე ადგილების შერჩევის და შესაბამისად იჯარიდან შემოსავლების 300.0 ათასი ლარით გაზრდის საფუძველზე.

3. რუხში, ჭითაწყარსა და ტყაიაში ახალი ამბულატორიების ასაშენებლად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ს/კ 43.10.45.268, ს/კ 43.1443.467, ს/კ 43.01.49.037 ნაწილი გადაეცემა ააიპ „საქართველოს სამედიცინო მედიაპოლდინგს“ ამბულატორიების მშენებლობის დასაწყებად. ამასთან კორცხელის ამბულატორიის რეაბილიტაციასა და აღჭურვას უზრუნველყოფს მედიაპოლდინგი.

4. ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე დევნილთა №I და №II საცხოვრებელი კორპუსების ეზოების გარე განათების სისტემის აღდგენა ამ ეტაპზე ვერ ხერხებულა იმ გარემოების გამო, რომ ის არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას და არ ირიცხება მის ბალანსზე. მერია მოკლე პერიოდში განიხილავს და დასვამს საკითხს აღნიშნული ქონების (გარე განათების სისტემა) მუნიციპალიტეტის ბალანსზე შესაძლო გადაცემის თაობაზე.

საბოლოო ჯამში 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსულობების გადიდებული საპროგნოზო მაჩვენებლების და გადამუშავებული პარამეტრების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 57882.2 ათასი ლარით ანუ პირვანდელი პროექტის მოცულობა, შიდა ცვლილებების გათვალისწინებით, გაიზარდა 382.2 ათასი ლარის მოცულობით.

შემოსულობების ნაწილში შიდა ცვლილებების გათვალისწინებით საგადასახადო შემოსავლები წარმოდგენილია 46133.3 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 7618.9 ათასი ლარის და არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობა 3700.0 ათასი ლარის ოდენობით.

მთლიანობაში ბიუჯეტის მოცულობა მიმდინარე წლის საწყის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 10682.0 ათასი ლარით. აქედან ზრდა ცალკეული დარგების მიხედვით შეადგენს:

1. 2957.5 ათასი ლარით (ყველაზე დიდი მოცულობით) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დარგით;
2. 1902.2 ათასი ლარით განათლების სფერო, მათ შორის ძირითადად 1777.2 ათასი ლარით სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა.
3. 1102. ათასი ლარით კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები ;
4. 505.0 ათასი ლარით ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სფერო მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დარგში რიგი პროგრამები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
5. 1717.7 ათასი ლარით მერიისა და საკრებულოს ხარჯები (ძირითადად მერიის).

1878.9 ათასი ლარი არის გასულ წლებში აღებული საინვესტიციო ვალდებულებათა უზრუნველყოფისათვის.

და ბოლოს, გადამუშავებულ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით, მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით ვერ იქნა ასახული გარკვეული, საჭიროდ მიჩნეული წინადადებები, თუმცა ეს წინადადებები განხილული იქნება საშუალოვადიან პერიოდში.

მუნიციპალიტეტი მომავალი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსური ბაზის განმტკიცების გადიდების და გადასახდელების ნაწილში ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის საკითხს.

550	612.5	
362.5	426	
228.75	293.25	
460	525.5	
450	516.5	
430	497.5	
387.5	456	
430	499.5	
407.5	478	
500	571.5	
640	704	
680	748	
730	803	
760	836	
800	880	
850	935	
8666.25	9782.25	89%